

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
2014 წლის საქმიანობის
ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
პოლიტიკური და ადმინისტრაციული
დახმარების განყოფილება – ტექნიკური
დახმარების განყოფილება – ტექნიკური
დახმარების განყოფილება – ტექნიკური
დახმარების განყოფილება – ტექნიკური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
2014 წლის საქმიანობის
ანგარიში

თბილისი
2015 წელი



გენერალური აუდიტორის მიმართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს თავისი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საჯარო რესურსების ეფექტიანი განკარგვის ხელშეწყობაში. სამსახური თავისი აუდიტორული და არააუდიტორული საქმიანობით, უზრუნველყოფს პარლამენტის ხელშეწყობას საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობაში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიზანი აუდიტორული საქმიანობის შედეგად მოტანილი სარგებლის გაზრდაა. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საგრძნობლად გაიზარდა როგორც ჩატარებული აუდიტების რაოდენობა, ასევე აუდიტორული საქმიანობით ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი და სექტორული დაფარვის მაჩვენებელი.

საჯარო სექტორში ელექტრონული მმართველობის დანერგვით გაზრდილი ინფორმაციული და საკომუნიკაციო უსაფრთხოების რისკების საპასუხოდ 2014 წელს პირველად ჩატარდა ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტი. ასევე, სთ აუდიტის განვითარების ფარგლებში აღსანიშნავია სამწლიანი პროექტი - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განვითარება“, რომელიც მსოფლიო ბანკის დახმარებით განხორციელდება.

2014 წელი გამოირჩეოდა ახალი პროექტების დაწყებითაც. გასულ წელს დაიწყო და 2016 წლამდე გაგრძელდება საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამა (TWINNING), რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მნიშვნელოვანი რეფორმები სას-

ის ინსტიტუციური შესაძლებლობების გასაძლიერებლად. გარდა ამისა, აუდიტორული საქმიანობის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად და აუდიტის პროცესში ტექნოლოგიური გადაწყვეტების გამოყენებით განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადასასვლელად, სამსახურში დაიწყო მნიშვნელოვანი პროექტი აუდიტის მართვის სისტემის (AMS) დასაწერად, რომელიც ნორვეგიის მთავრობის დახმარებით მიმდინარეობს.

2014 წელი აღსანიშნავია იმითაც, რომ გაძლიერდა თანამშრომლობა პარლამენტთან. კერძოდ, გაიზარდა აუდიტების საკომიტეტო განხილვები, ასევე, მოეწყო მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრები, რომლებიც ხელს უწყობდა პარლამენტსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას.

გარდა წინ გადადგმული ნაბიჯებისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინაშე კვლავ დგას ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორებიცაა რეკომენდაციების შესრულების გაუმჯობესება და აუდიტის პროცესში სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა. სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების დაბალი მაჩვენებლიდან გამომდინარე, სამსახური გეგმავს აღნიშნულ პროცესში პარლამენტის როლის გაზრდას. რაც შეეხება სამსახურის საქმიანობაში სამოქალაქო თანამონაწილეობის გაუმჯობესებას, გასულ წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიზნად დაისახა, შეიმუშაოს საზოგადოებასთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის სხვადასხვა ინოვაციური ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას სას-ის საქმიანობაში და ასევე, განსაზღვრავს არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების როლს ამ პროცესში.

წინამდებარე ანგარიში წარმოგიდგენთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2014 წლის საქმიანობას.

ლამა თორდია

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
გენერალური აუდიტორი

სარჩევი

შესავალი	6
აუდიტორული საქმიანობა	10
1.1 ეფექტიანობის აუდიტით მიღწეული შედეგები	12
1.1.1 წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის აუდიტი	12
1.1.2 სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ სანარმოთა ეფექტიანობის აუდიტი	15
1.1.3 მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანობის აუდიტი	18
1.1.4 საირიგაციო სისტემის მართვის ღონისძიებების აუდიტი	20
1.1.5 სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტი	23
1.2 ინფორმაციული სისტემების აუდიტის დანერგვა	26
1.2.1 სახელმწიფო ვალის მართვის ელექტრონული სისტემების ეფექტიანობის აუდიტი	27
1.3 ფინანსური და შესაბამისობის აუდიტების შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი გარემოებები	31
პრიორიტეტი 1: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა და მართვა	31
პრიორიტეტი 2: ინფრასტრუქტურული პროგრამები და ღონისძიებები	37
პრიორიტეტი 3: სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა	41
პრიორიტეტი 4: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ეკონომიკური განვითარება	44
პრიორიტეტი 5: ეფექტიანი სახელმწიფო მართვისა და საჯარო ფინანსების რეფორმის მხარდაჭერა	50
პრიორიტეტი 6: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სისტემა	54
პრიორიტეტი 7: განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერა	56
პრიორიტეტი 8: კულტურისა და სპორტის პროგრამების მართვა	58

პრიორიტეტი 9: სამართალდამცავი უწყებების განვითარების მხარდაჭერა	59
1.4 საჯარო ფინანსების მართვაში არსებული სისტემური ხარვეზები და რეკომენდაციები	63
1.5 აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	68
შესაბამის-ანალიტიკური საქმიანობა	69
2.1 ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წვლილი	69
2.2 სახელმწიფო ფინანსების პოლიტიკის რეფორმის ფარგლებში ევროკავშირის პროგრამის პირობების შესრულება	71
2.3 პუბლიკაციები და უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელოები	72
2.4 მოქალაქეების ჩართულობა აუდიტის პროცესში	73
2.5 საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	74
პოლიტიკური კარტიების დაფინანსების მონიტორინგი	75
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება	78
4.1 ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან	78
4.2 დამოუკიდებლობის ხარისხის განმტკიცება	85
4.3 მართვის სისტემები	86
4.4 ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაძლიერება	88
4.5 ადამიანური რესურსების მართვა	90
4.6 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსები	93
დანართი 1.	95
დანართი 2.	101

შესავალი

საჯარო რესურსების ეფექტიანი განკარგვა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ამ ამოცანის საპასუხოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური (სას) თავისი აუდიტორული და კვლევით-ანალიტიკური საქმიანობით უზრუნველყოფს პარლამენტისა და მთავრობის ხელშეწყობას საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისიაა ხელი შეუწყოს სახელმწიფო მომსახურების გაუმჯობესებასა და საჯარო რესურსების უკეთეს მართვას კანონიერების, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ეფუძნება შემდეგ ძირითად ღირებულებებს:

- ობიექტურობა
- დამოუკიდებლობა
- საჯაროობა
- პროფესიონალიზმი.

აუდიტორული საქმიანობის მიმართულებით აღსანიშნავია, რომ 2014 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ჩატარებული აუდიტების რაოდენობა, ასევე აუდიტებით ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი. გასული წელი ასევე აღსანიშნავია აუდიტისთვისობრივად განსხვავებული ტიპის - ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის დაწერგვით. IT აუდიტით სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს სათანადოდ იქნეს შესწავლილი და შეფასებული ის საინფორმაციო-ტექნოლოგიური გარემო, რომელშიც საჯარო უწყებები ახორციელებენ ძირითად საქმიანობას. 2014 წელს პირველად ჩატარდა კომბინირებული IT აუდიტი შპს - „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში და ასევე, სახელმწიფო ვალის მართვის ელექტრონული სისტემის ეფექტიანობის აუდიტი, რომელსაც პარალელურად ახორციელებდა 12 უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაცია.

კონსტიტუციით განსაზღვრული როლის წარმატებით შესასრულებლად, გასულ წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილი კომისია განახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ აუდიტს, ნაცვლად სამართლებრივი და ორგანიზაციული საქმიანობის, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და შიდა კონტროლის პროცედურების შემოწმებისა.

2014 წელი გამოირჩეოდა ახალი პროექტების დაწყების მიმართულებით:

- საჯარო სამსახურების დამოხილვების პროგრამა (TWINNING), რომლის ფარგლებშიც დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმები სას-ის ინსტიტუციური გაძლიერებისთვის;
- „აუდიტის მართვის სისტემის (AMS) დანერგვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში“, რომლის განსახორციელებლად სას-მა მოიპოვა გრანტი 0.28 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. AMS-ის დანერგვით სამსახური ხელს შეუწყობს აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესს;
- „IT აუდიტის განვითარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში“. მსოფლიო ბანკსა

და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის გასულ წელს გაფორმდა 0.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საგრანტო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს IT აუდიტის დანერგვასა და განვითარებას.

2014 წელი აღსანიშნავია იმითაც, რომ გაძლიერდა თანამშრომლობა პარლამენტთან. კერძოდ, გაიზარდა აუდიტების საკომიტეტო განხილვების რაოდენობა, მოეწყო „მრგვალი მაგიდის“ ფორმატის შეხვედრები, რომლებიც ხელს უწყობდა მაღალი დონის დიალოგის წარმართვას.

ასევე, საჯარო სექტორში მიმდინარე რეფორმების საპასუხოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს ოთხი სტრატეგიული მიმართულებით, კერძოდ:

1. აუდიტორული საქმიანობით პარლამენტის ხელშეწყობა მთავრობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში.
2. მთავრობის ხელშეწყობა ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმების განხორციელებაში.
3. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა.
4. ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება საქმიანობის ხარისხის ასამაღლებლად.


წინამდებარე ანგარიში ეფუძნება მოცემულ 4 სტრატეგიულ მიზანს და წარმოადგენს სამსახურის მიერ 2014 წელს აღნიშნული მიზნების მისაღწევად განხორციელებულ საქმიანობას.

აუდიტორული საქმიანობა

- სამსახურმა ჩაატარა **114 აუდიტი**, მათ შორის:
 - 65 ფინანსური აუდიტი;
 - 43 შესაბამისობის აუდიტი;
 - 5 ეფექტიანობის აუდიტი;
 - 1 ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიანობის აუდიტი.
- აუდიტორული საქმიანობით სამსახურმა **მოიცვა 5.1 მილიარდი ლარი**;
- გამოვლენილი **დარღვევების თანხობრივმა მოცულობამ 210 მილიონი ლარი** შეადგინა;
- ჩატარებული აუდიტების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში **დაბრუნდა 555 ათასი ლარი**;
- შემდგომი რეაგირებისათვის სამართალდამცავ ორგანოებს მიენოდათ **64 ანგარიში**;
- 2014 წელს **პირველად ჩატარდა IT აუდიტი**;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოავლინა საჯარო ფინანსების მართვაში არსებული **89 სისტემური ხარვეზი** და მათ გამოსასწორებლად გასცა **60 რეკომენდაცია**;
- აუდიტორული საქმიანობით 2012-2014 წლებში ცალკეულ უწყებებზე გაცემულ იქნა **745 რეკომენდაცია**.

ექსპერტულ - ანალიტიკური საქმიანობა

- ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში, სამსახურის მიერ პირობების **წარმატებულად შესრულების შედეგად, 1.5 მილიონი ევრო მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში**.
- მომზადდა **3 კვლევითი პუბლიკაცია**.
- აუდიტის პროცესში სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით სამსახურმა შეიმუშავა **ვებპორტალები**:
 - „**ებრძოლე კორუფციას**“;
 - „**დაგეგმე ჩვენთან ერთად**“.
- საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირება ბოლო 2 წლის განმავლობაში წარმატებით გაიარა **85-მა პირმა**.



პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგი

- გენერალური აუდიტორის ინიციატივით შეიქმნა **არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო კომისია**, რომლის ფარგლებში:
 - განხილულ იქნა 20-მდე სარჩელი;
 - განხილულ იქნა გენერალური აუდიტორის 6 ბრძანების პროექტი;
 - შემუშავებულ იქნა ცვლილებების პროექტი პოლიტიკური დაფინანსების მონიტორინგის მეთოდოლოგიაში.
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ **დადებითად შეფასდა** პოლიტიკური პარტიების მონიტორინგის საქმიანობა.
- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნების პერიოდში სამსახურმა შეადგინა **191 სამართალდარღვევის ოქმი**.

სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება


- დაიწყო ინსტიტუციურად მნიშვნელოვანი **3 ახალი პროექტი**:
 - საჯარო სამსახურის დამოუკიდებელი 2-წლიანი პროგრამა (TWINNING) გერმანიისა და პოლონეთის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებთან;
 - 2-წლიანი პროექტი - „აუდიტის მართვის სისტემის დანერგვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში“;
 - 3-წლიანი პროექტი - „IT აუდიტის განვითარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში“.
- **გაგრძელდა მემორანდუმები სტრატეგიულ პარტნიორებთან** 2017 წლამდე - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) და შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისთან (SNAO).
- თანამშრომელთა აზრის კვლევის მიხედვით, თანამშრომელთა **87% კმაყოფილია სას-ში მუშაობით**.
- **გაძლიერდა პარლამენტთან თანამშრომლობა**:
 - საქართველოს პარლამენტში გაიგზავნა 63 აუდიტის ანგარიში;
 - განხორციელდა 6 აუდიტის ანგარიშის საკომიტეტო განხილვა.
- საზოგადოებასთან **ეფექტიანი კომუნიკაციის** ფარგლებში:
 - აუდიტის ანგარიშებისათვის მომზადდა და ვებგვერდზე განთავსდა 50 ვიდეო მიმართვა;
 - მედიატრენინგის ფარგლებში გადამზადდა მედიის 20-მდე წარმომადგენელი;
 - საზოგადოებასთან კონსულტაციების მიზნით, აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებით გაიმართა
- სამსახური განეწვრიანდა INTOSAI/EUROSAI-ს **4 ახალ სამუშაო ჯგუფში**.
- სამსახურმა მოამზადა **3 სტატია საერთაშორისო პროფესიული ჟურნალებისთვის**.

აუდიტორული საქმიანობა


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის მიზანია საბიუჯეტო სახსრების პროდუქტიული, ეკონომიური და ეფექტიანი განკარგვით სახელმწიფო მმართველობის გაუმჯობესება. სამსახური ხელს უწყობს საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების წარმატებით განხორციელებას და ამ პროცესში მისი, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტის როლის განმტკიცებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ყოველი წლის დასაწყისში ადგენს აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტებს, რომლებიც განისაზღვრება დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული მოსაზრებებისა და ინიციატივების, აგრეთვე აუდიტის თემების შერჩევის სხვა კრიტერიუმების¹ საფუძველზე. სამსახური ყოველწლიურად მიზნად ისახავს პრიორიტეტული, რისკზე დაფუძნებული მიდგომით გაზარდოს აუდიტორული საქმიანობის შედეგად მოტანილი სარგებელი. ამ მიმართულებით 2014 წელს, გასულ წელთან შედარებით, საგრძნობლად (31%-ით) გაიზარდა ჩატარებული აუდიტების რაოდენობა, ხოლო აუდიტორული საქმიანობით -ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი და სექტორული დაფარვის მაჩვენებელი.

თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი წლების მიხედვით (მილიონი ლარი)



აუდიტორული საქმიანობით მოცული თანხების სექტორული დაფარვის მაჩვენებელი



აუდიტორული საქმიანობის შედეგად, 2014 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 114 აუდიტი, რომლითაც მოიცვა 5 132 მილიონი ლარი (გარდა ეფექტიანობის აუდიტით მოცული თანხისა - ჯამში 304 მილიონი ლარი), ხოლო ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილმა დარღვევების თანხობრივმა მოცულობამ 210 მილიონი ლარი შეადგინა, მათ შორის :


- შესყიდვების პროცესში შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებული ხარჯი - 58.5 მილიონი ლარი

¹ დიდი მოცულობის საბიუჯეტო თანხები; მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი; არასწორი მართვა; სისტემური რეფორმის საჭიროება; ბოლო პერიოდში არ ჩატარებულა აუდიტი.


- შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად ბიუჯეტში მიუძღარი თაღი სახსრები - 27 მილიონი ლარი
- საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი განკარგვა - 32.3 მილიონი ლარი

ასევე აღსანიშნავია, რომ აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით, სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნდა 555 ათასი ლარი.

დარღვევების თანხობრივი მოცულობა
(მილიონი ლარი)



ჩატარებული აუდიტები ტიპების მიხედვით



აუდიტორული საქმიანობის განვითარების მიმართულებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს:

- ეფექტიანობის აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდას, რაც მნიშვნელოვანია საჯარო რესურსების მართვის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების გასაუმჯობესებლად.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) აუდიტის განვითარებას. აღნიშნული თანამედროვე აუდიტორული მიდგომის მიზანია იმ რისკების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, რომლებმაც ფურცლიდან ელექტრონულ სისტემებზე გადაინაცვლა.
- სისტემური ხასიათის ხარვეზების გამოვლენასა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას, რაც აისახა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებში, როგორც ცენტრალური ბიუჯეტის, ისე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის.
- მოქალაქეთა ჩართულობას აუდიტორულ საქმიანობაში, რაც გულისხმობს საზოგადოების, არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორის თანამონაწილეობის გაზრდას აუდიტის დაგეგმვასა და აუდიტორული საქმიანობის შედეგების რეალიზაციაში.

წინამდებარე ანგარიშის ამ თავში წარმოდგენილია 2014 წელს ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც შესაბამის რეაგირებას საჭიროებენ როგორც ცალკეული უწყებების, ასევე სისტემურ დონეზე.

1.1 ეფექტიანობის აუდიტით მიღწეული შედეგები

საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების პარალელურად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2012 წლიდან, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დაიწყო **ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება**. ეფექტიანობის აუდიტი სწავლობს ორგანიზაციის საქმიანობის ან/და სახელმწიფო პროგრამის მართვის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ძირითად ასპექტებს. ეფექტიანობის აუდიტი საშუალებას იძლევა შეფასდეს კონკრეტული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებებით მიღწეული შედეგები და ამ პროცესში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეკონომიურობა და პროდუქტიულობა, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების დანერგვის პროცესის მიმდინარეობისას.

საანგარიშო წელს გაგრძელდა ეფექტიანობის აუდიტის ფუნქციის გაძლიერებისკენ მიმართული საქმიანობა, რომელიც გულისხმობს როგორც უშუალოდ ჩატარებული აუდიტების რაოდენობისა და ხარისხის ზრდას, ასევე საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წარმომადგენლებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის შედეგად რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის გაუმჯობესებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და მის უცხოელ პარტნიორებთან უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბებული თანამშრომლობის ფორმატის თანახმად, წლიური გეგმის შესრულების პროცესი მიმდინარეობდა შვედეთის აუდიტორული ოფისისა (SNAO) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) ექსპერტებთან მჭიდრო კოორდინაციით. ამ ტიპის თანამშრომლობის მიზანია, ერთი მხრივ, ჩატარებული სამუშაოს მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა სრულად, აუდიტის განმავლობაში (თემის შერჩევიდან ანგარიშის დამტკიცების ჩათვლით) ექსპერტთა ჩართულობის მეშვეობით და, მეორე მხრივ, აუდიტორების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება უშუალოდ საქმიანობის განხორციელების პროცესში.

2014 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის (SNAO) მხარდაჭერით, ჩატარა 5 ეფექტიანობის აუდიტი (ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიანობის აუდიტის გარდა), რომლებიც შეირჩა მათი არსებობისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე.

1. წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის აუდიტი

დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებისთვის, სადაც მარეგულირებელი ინსტრუმენტები და ხარისხის კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს რისკების პრევენციას და დროულ რეაგირებას, მნიშვნელოვანი რისკია დაბალი ხარისხის, არაეფექტიანი და საფრთხის შემცველი ფარმაცევტული პროდუქციის მიმოქცევის ზრდა. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია სამკურნალო საშუალებების ხელმისაწვდომობა.


ხარისხიანი, ეფექტიანი და უსაფრთხო საშუალებებით დროული მკურნალობა, აუმჯობესებს ჯანდაცვის მდგომარეობას და ამცირებს ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურების ისეთ ხარჯებს, როგორიცაა, სასწრაფო გადაუდებელი დახმარება, სტაციონარული ხარჯები - ოპერაცია და გრძელვადიანი ზრუნვა.

საქართველოში წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირებას, მოქმედი მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის საფუძველზე, უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ - „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“. აუდიტის პერიოდი მოიცავდა 2012 წლიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდს.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- არ არის დანერგილი წამლის გვერდითი და უარყოფითი მოვლენების მონიტორინგი (ფარმაცოზემდამდეველობის სისტემა). არ არსებობს პაციენტებთან, სამედიცინო პერსონალთან, ფარმაცევტულ საქმიანობაში ჩართულ ორგანიზაციებთან, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები იმისთვის, რომ მოხდეს ბაზარზე არსებული წამლის უარყოფითი, გვერდითი მოვლენების მონიტორინგი, შესაბამისი პრობლემის აღმოფხვრა და შემდგომი პრევენცია. შედეგად, ქვეყანაში არსებული მარეგულირებელი სისტემა ვერ უზრუნველყოფს წამლის ხარისხის, ეფექტიანობისა და უსაფრთხოების დაცვას.
- საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ის აფთიაქები, სადაც ხდება რეცეპტით გასაცემი (საქართველოში არსებული კლასიფიკაციით – II ჯგუფის წამლები) წამლის რეალიზაცია, საჭიროებენ სპეციალურ ნებართვას², რადგან ამ ტიპის ფარმაცევტული პროდუქტების არასათანადო გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მსგავსი აფთიაქები, სადაც ხდება II ჯგუფის წამლების რეალიზაცია, არ საჭიროებს საქმიანობის ნებართვას და არ ექვემდებარება ნებართვების შესახებ საქართველოს კანონს, შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი რეცეპტით გასაცემი წამლისთვის შენახვის, განთავსებისა და ხარისხის დაცვის სხვა პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს აფთიაქი. ასეთი ტიპის აფთიაქები კი საერთო რაოდენობის თითქმის ¾-ს შეადგენს.

დიაგრამა: სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტები აფთიაქების საერთო რაოდენობის 72%-ს შეადგენს (2831 აფთიაქი)³



² საწმარტო პირობები არეგულირებს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა, აღჭურვა - ტექნიკური ბაზა, სავალდებულო ინვენტარი, სხვადასხვა ტემპერატურული რეჟიმების არსებობა, უსაფრთხოების დაცვა გარემო ფაქტორების უარყოფითი გავლენისგან, სამარტო განყოფილების არსებობა და ა.შ.

³ I. პირველ ჯგუფს განეკუთვნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი, რომელიც გაიცემა რეცეპტით.

II. მეორე ჯგუფს განეკუთვნება ისეთი ფარმაცევტული პროდუქტი, რომლის არასათანადო გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ან/და, რომლის მიღებაც არ არის შესაძლებელი მხოლოდ ინსტრუქციის შესაბამისად, ექიმის დანიშნულების გარეშე და რომელიც გაიცემა რეცეპტით.

III. მესამე ჯგუფს განეკუთვნება ისეთი ფარმაცევტული პროდუქტი, რომლის მიღებაც, ინსტრუქციის შესაბამისად, შესაძლებელია ექიმის დანიშნულების გარეშე და რომელიც გაიცემა ურეცეპტოდ.

- წამლის რეგისტრაციის პროცესში, პროცედურების სიმარტივიდან გამომდინარე, არ ხდება ხარისხის ყველა სტანდარტის დაცვა – წამლის ხარისხის, ეფექტიანობისა და უსაფრთხოების შემოწმება ისეთი მექანიზმებით, როგორიცაა, მაგალითად, წამლის წინასწარი ლაბორატორიული კონტროლი. რეგისტრაციის შემდგომ კი არ ხდება შესაბამის მარეგულირებელთან⁴ კომუნიკაციის დამყარება წამლის უარყოფითი და გვერდითი მოვლენების მონიტორინგის მიზნით. მაგალითად, აქტიური ნივთიერება კეტოკონაზოლის შემცველი პროდუქტის ბაზრიდან ამოღების შესახებ ბრძანება სააგენტომ 8 თვის დაგვიანებით გამოსცა.



- წამლის რეალიზაციის შემდგომი (პოსტ-მარკეტ) კონტროლის ერთ-ერთი მთავარი პროცედურა - ინსპექტირება, უმეტესად იმ ავტორიზებულ აფთიაქებში ხორციელდება, რომლებიც სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული წამლის რეალიზაციას ახდენენ. ძირითადად, შემოწმების მიზეზი წამლის ურეცეპტოდ რეალიზაციის მაღალი მაჩვენებლები და სხვა არსებული სამართალდარღვევებია. თუმცა, ხშირად განხორციელებულ ინსპექტირებებსა და სამართალდამრღვევი აფთიაქებისთვის სანქციების დანესებას, მათ გაუქმებას სასურველი შედეგი არ მოაქვს, რადგან ფარმაცევტული საქმიანობის წამოწყებისთვის ნებართვის გაცემის პროცედურების სიმარტივის გამო, კანონდამრღვევი აფთიაქების მფლობელებს საშუალება აქვთ განაგრძონ საქმიანობა.
- აუდიტის პერიოდში ჩატარებული ინსპექტირებების ანალიზიდან ჩანს, რომ არ მომხდარა საქართველოს რეგიონებში არსებული აფთიაქების წარმომადგენლობითი შერჩევის უზრუნველყოფა, რადგან ინსპექტირებული აფთიაქების 80% მდებარეობდა თბილისში, ხოლო მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში (77%) ინსპექტირება საერთოდ არ ჩატარებულა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კონტროლის ტიპი მხოლოდ შერჩევითია და პერიოდული ინსპექტირებები (რამდენიმე წელიწადში ერთხელ) ყველა მოქმედი აფთიაქისთვის არ ტარდება.

წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებელი სისტემის ანალიზისა და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილია არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

⁴ იმ ქვეყნებში არსებული წამლის ხარისხის, ეფექტიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი უწყებები, რომელთა წამალიც საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული რეჟიმით რეგისტრირდება საქართველოს ზაზარზე მიმოქცევისთვის.

რეკომენდაციები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ „სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს“:


- ▶ დაინერგოს ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობის - სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტების სანებართვო პირობების, ნებართვის მოქმედების ვადებისა და მათი შემდგომი კონტროლის ღონისძიებები;
- ▶ განხორციელდეს ოპერატიული შეტყობინებების, სხვადასხვა მარეგულირებლის მიერ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მუდმივი მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაციის მოპოვება;
- ▶ უზრუნველყოფილ იქნეს ინსპექტირების სისტემის სრულყოფა, რომელიც ორიენტირებული იქნება რისკების სწორად შეფასებასა და აღმოფხვრაზე. რისკებზე დაფუძნებული შემოწმებების გარდა, მოხდეს ასევე პერიოდული ინსპექტირება და გათვალისწინებულ იქნეს გეოგრაფიული მოცვის საკითხები;
- ▶ დაინერგოს ფარმაცოზედამხედველობის სისტემა სამედიცინო პერსონალთან, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან, პაციენტებთან, მწარმოებლებთან, სავაჭრო ლიცენზიის მფლობელებთან აქტიური კომუნიკაციით, კომუნიკაციის მეთოდების შემუშავებით; გატარდეს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები საზოგადოებისთვის, ასევე სამედიცინო პერსონალისთვის.

2. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა ეფექტიანობის აუდიტი

სახელმწიფო საწარმოების მართვის პოლიტიკის, მათ შორის, დაფუძნების კრიტერიუმების არარსებობის გამო, ბოლო 20 წლის მანძილზე (2011 წლამდე) ხდებოდა ისეთი საწარმოების დაფუძნება, რომლებსაც არ ჰქონდათ განსაკუთრებული მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის. აღნიშნული გარემოების შედეგად, 2012 წლისთვის საქართველოში ფუნქციონირებდა 1129 სახელმწიფო საწარმო.

სახელმწიფო საწარმოების მართვისა და განკარგვის მიზნით, 2012 წელს დაფუძნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“. ამავე პერიოდში დაიწყო სახელმწიფო საწარმოების ლიკვიდაცია, გაკოტრება, შერწყმა, მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემა და პრივატიზება. შედეგად, 2014 წლის ოქტომბრის მონაცემებით, დარჩენილი იყო 344 სახელმწიფო საწარმო. ეკონომიკურად ყველაზე მნიშვნელოვან და მომგებიან საწარმოებს ფლობს სს „საპარტნიორო ფონდი“. 310 საწარმო (რომელთა დაახლოებით 75% არ ფუნქციონირებს) რჩება სააგენტოს მმართველობის სფეროში, ხოლო დანარჩენი საწარმოები მართვის უფლებით აქვს გადაცემული სხვადასხვა სამინისტროსა და კერძო, თუ იურიდიულ პირს.

სქემა: სახელმწიფო საწარმოთა მართვის სისტემა⁵



სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გადაწყვიტა, შეესწავლა სახელმწიფო საწარმოების მართვისა და განკარგვის პროცესი და შეეფასებინა, თუ რამდენად გამართული და ეფექტიანია არსებული სისტემა. ამ მიზნით შესწავლილ იქნა საწარმოთა მართვის შემდეგი საკითხები:

- ▶ ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა;
- ▶ მენეჯმენტის შრომის ანაზღაურება;
- ▶ საწარმოთა პრივატიზება;
- ▶ დივიდენდების მობილიზების პროცესი.

აუდიტმა მოიცვა 2012 წლიდან 2014 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდი. სახელმწიფო საწარმოთა მართვის სფეროში არსებული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი სისტემური ნაკლოვანებები:

- სახელმწიფოს, როგორც საწარმოთა მმართველი პარტნიორის პოლიტიკა და სტრატეგია, ნათლად განსაზღვრული ხედვითა და მიზნებით, არ არის ჩამოყალიბებული. შესაბამისად, არ არის შემუშავებული და დანერგული საწარმოთა დაარსების კრიტერიუმები და არ არის განსაზღვრული ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საწარმოების სია.
- არ არსებობს კორპორაციული მმართველობის კოდექსი, სადაც ასახული იქნებოდა საწარმოთა მართვის ძირითადი პრინციპები და საფუძვლები.
- არსებული სიტუაციის ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ საწარმოთა მართვა ხდება დეცენტრალიზებულად, რეპორტიინგი და საქმიანობის შეფასების სისტემა არ არის

5 არსებული 344 სახელმწიფო საწარმოდან, სააგენტოს დაქვემდებარებაშია 310. 10 საწარმო ეკუთვნის სს „საპარტნიორო ფონდს“, საიდანაც 4 - მართვის უფლებით აქვს გადაცემული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს. გარდა ამისა, სამინისტროებს მართვის უფლებით გადაცემული აქვთ კიდევ 13 საწარმო. დარჩენილი 11 საწარმო მართვის უფლებით აქვთ გადაცემული სხვადასხვა კერძო (6) და საჯარო (5) სამართლის იურიდიულ პირებს.

სრულყოფილი და უნიფიცირებული. შედეგად, არ არსებობს ერთიანი მონაცემები სახელმწიფო საწარმოების აქტივებისა და საქმიანობის შესახებ.

- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმო იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურისა და სსიპ - შემოსავლების სამსახურის შესაბამის მონაცემებთან სააგენტოს საწარმოთა ბაზის შედარებისას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აღმოაჩინა 75 სახელმწიფო საწარმო, რომელთა შესახებ ინფორმაცია სააგენტოს არ მოეპოვებოდა.
- მომგებიანი საწარმოების წმინდა მოგების განაწილების მიზნით შექმნილი კომისია იკრიბება არარეგულარულად. შედეგად, სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდის განსაზღვრა ხდება დაგვიანებით და ამასთან, არ არის მიღებული ზომები ბიუჯეტში გადასარიცხი თანხების დროულად მობილიზებისთვის, რაც ამცირებს სახელმწიფოს მიერ დივიდენდების სახით მიღებულ სარგებელს.

არსებული პრაქტიკის შერჩეულ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მიზანშეწონილია არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

რეკომენდაციები სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს:

- ▶ განსაზღვროს სახელმწიფო საწარმოების დაფუძნების კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მოხდება ქვეყნისათვის უკვე არსებული მნიშვნელოვანი საწარმოების სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ შენარჩუნება.
- ▶ აქტიურად გაუწიოს კოორდინაცია სამინისტროებზე მართვის უფლებით გადაცემულ საწარმოებს და აქტიურად განახორციელოს სახელმწიფოს, როგორც პარტნიორის უფლებამოსილება.
- ▶ უზრუნველყოს რეპორტირების სისტემის უნიფიცირება და ანგარიშის ნიმუშის შემუშავება, რომელსაც ყველა სახელმწიფო საწარმო რეგულარულად წარუდგენს მმართველ ორგანოს. მიღებული ანგარიშების საფუძველზე, სააგენტოში მოხდეს კონსოლიდირებული ანგარიშის შედგენა, სადაც აგრეგირებულად იქნება წარმოდგენილი სახელმწიფოს (სააგენტოს, სამინისტროების) მმართველობაში მყოფი საწარმოების წლიური შედეგები.
- ▶ შეიმუშაოს კონკრეტული რეგულაცია/ინსტრუქცია, რომელიც დაარეგულირებს სახელმწიფო საწარმოებში მენეჯმენტის ანაზღაურების (ხელფასი, პრემია) საკითხს.

ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროს:

- ▶ საწარმოების წმინდა მოგების განაწილების მიზნით შექმნილი კომისია შეიკრიბოს რეგულარულად (ყოველწლიურად), რათა დროულად მოხდეს ბიუჯეტში მისამართი თანხების მობილიზაცია.
- ▶ შემუშავდეს ქმედითი მექანიზმი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც საწარმოს მენეჯმენტის მხრიდან არ ხდება გამოცხადებული დივიდენდის ბიუჯეტში დროულად ჩარიცხვა.

3. მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანობის აუდიტი

დღესდღეობით, საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის ერთადერთ ფორმას წარმოადგენს მათი ნაგავსაყრელზე განთავსება. ქვეყანაში 56 მოქმედი მუნიციპალური ნაგავსაყრელია. მათი უმრავლესობა საბჭოთა კავშირის დროსაა რეგისტრირებული, არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და მათი ექსპლუატაციის ვადა გასულია. ნარჩენების შეგროვების, გატანისა და ნაგავსაყრელზე განთავსების სისტემის ფუნქციონირების მხრივ, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა თბილისში.

ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ხარვეზების არსებობა პირდაპირ აისახება ბუნებრივ გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე; გარდა ამისა, იგი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მნიშვნელოვანი პუნქტია. ამ შეთანხმების მიხედვით, გრძელვადიან პერსპექტივაში, აღნიშნული სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი იქნებიან მუნიციპალიტეტები ან კერძო კომპანიები, ხოლო ამჟამად, თბილისსა და რეგიონებში არსებობს მართვის განსხვავებული სისტემები. თბილისში ნარჩენების მართვა შედის შპს „თბილსერვის ჯგუფის“ კომპეტენციაში. რეგიონებში ამ პასუხისმგებლობას იხანძრებენ მუნიციპალიტეტები და შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, ხოლო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – მუნიციპალიტეტები და შპს „სანდასუფთავება“.

აუდიტმა მოიცვა 2012 წლიდან 2014 წლის ჩათვლით პერიოდი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა საქართველოში მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის კუთხით არსებული მდგომარეობა:

- ▶ დედაქალაქში ნარჩენების ტრანსპორტირება-ლოჯისტიკა.
- ▶ ნარჩენების გატანის მომსახურების მოსაკრებელი.
- ▶ ძველი, ახალი და სტიქიური ნაგავსაყრელების პრობლემატური საკითხები.
- ▶ მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის შეფასების შედეგად გამოვლინდა:
 - მარშრუტებზე ნაგავმზიდების რაოდენობა არაოპტიმალურადაა განაწილებული. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ არ ხდება ნარჩენების სავარაუდო მოცულობის განსაზღვრა. თითო ცვლაში ნაგავმზიდები დადგენილ მარშრუტზე სულ მცირე 2 შემოვლას ახორციელებენ, ხოლო ბოლო შემოვლის დროს მანქანები საშუალოდ 70%-ით ცარიელი ბრუნდებიან. შედეგად, იზრდება მომსახურების ხარჯი.
 - არსებობს ორი – დილის და საღამოს ცვლა. დილის ცვლის მარშრუტები უმეტეს შემთხვევაში განსხვავებულია საღამოს ცვლისგან, ხოლო ყოველ მარშრუტს განსხვავებული მანქანა ემსახურება. ორ ცვლაში სხვადასხვა მანქანის მუშაობა მნიშვნელოვნად ზრდის ცვეთისა და რემონტის ხარჯებს. პირველი ცვლის მანქანების მეორე ცვლაში განმეორებით გამოყენებისას, მცირდება კონკრეტულ რაიონში საჭირო მანქანების ჯამური რაოდენობა, მაგრამ არ მცირდება საწვავის, ცვეთისა და ხელფასის ხარჯი. მეორე ცვლაში მანქანების რაოდენობის შემცირებით, წელიწადში შესაძლებელია საშუალოდ 1,082.2 ათასი ლარის დაზოგვა.
 - ნარჩენების შეგროვება-გატანის შემდეგ ხორციელდება მათი განთავსება ნაგავსაყრელებზე. მიუხედავად პასუხისმგებელი კომპანიების მიერ ჩატარებული კეთილმოწყობის
 - ღონისძიებებისა, ძველი ნაგავსაყრელების უმეტესობა კვლავ მოუწყობელი რჩება, რაც გარემოს მუდმივი დაბინძურების წყაროს წარმოადგენს. ნაგავსაყრელებზე ირღვევა

ოპერირების მოთხოვნები, ხოლო გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ არ ხდება სახელმწიფო კონტროლი გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულებაზე, როგორცაა, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება.

- რაიონებსა და სოფლებში არ არსებობს ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება, შესაბამისად, არ დგას ურნები და მოსახლეობა იძულებულია ნარჩენები განათავსოს მის მიერვე შერჩეულ ტერიტორიაზე. შედეგად, იქმნება უკანონო (სტიქიური) ნაგავსაყრელები, მოსახლეობა ნარჩენებს განათავსებს წყალში, მდინარის ნაპირებზე, რკინიგზის გასწვრივ. მსგავსი ნაგავსაყრელები არ არის შემოღობილი, ამიტომ ადამიანებსა და ცხოველებს თავისუფლად შეუძლიათ ამ ტერიტორიაზე შესვლა. უკონტროლოდ განთავსებული ნარჩენები გამოყოფენ ჯანმრთელობისთვის მავნე შენაერთებს, რაც აბინძურებს წყალსა და ნიადაგს. საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს სტიქიური ნაგავსაყრელებით უწევს სარგებლობა.

არსებული მიგნებების საფუძველზე, შესაბამისი სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

საქართველოს გარემოსა და გუნაბრივი რესურსების დაცვის სამინისტროს:

- ▶ სამინისტროს ზედამხედველობით, ძველ მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე განხორციელდეს გარემოს დაბინძურების მდგომარეობის შეფასება და ხარვეზების გამოსწორება პასუხისმგებელი კომპანიების მიერ; წინააღმდეგ შემთხვევაში, დაწესდეს შესაბამისი სანქციები. სამინისტრომ რეგულარულად განახორციელოს კონტროლი ნაგავსაყრელზე.
- ▶ განხორციელდეს მუნიციპალიტეტების მიერ ნარჩენების დასუფთავების, დასუფთავებული ადგილების რეაბილიტაციისა და თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ღონისძიებების ინიცირება, ზედამხედველობა და კონტროლი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

- ▶ საქართველოს დიდ ქალაქებში, სადაც არსებობს ნარჩენების მართვის მომსახურება (ქ. თბილისის გარდა), სამინისტრომ უზრუნველყოს ნაგავმზიდების მუშაობის განრიგის დანერგვა, რომელიც ოპტიმალურად გადაანაწილებს ტექნიკას და უზრუნველყოფს მომსახურებას მინიმალური დანახარჯით.


პას „თბილისარვის ჯგუფს“:

- ▶ კომპანიამ ჩაატაროს სტატისტიკური ანალიზი, რომლის საფუძველზეც დადგინდება, თბილისის რომელი უბანი საშუალოდ რამდენ ტონა/კუბ.მ ნარჩენს გამოიმუშავებს დღიურად, ასევე, მარშრუტების მიხედვით განთავსებული კონტეინერების რა მოცულობა ივსება ყოველდღიურად.
- ▶ სპეციალური ტექნიკის ოპტიმალურად განაწილების მიზნით, მოხდეს განრიგის ცვლების გადახედვა და მანქანების ოპტიმიზაცია. პირველი ცვლის მანქანების განმეორებით გამოყენება მეორე ცვლაში, დაზოგავს კომპანიის მიმდინარე ხარჯებს და არსებული მოცულობით მყარი ნარჩენების გადაზიდვა შესაძლებელი იქნება შემცირებული ტექნიკის რაოდენობით.

4. საირიგაციო სისტემის მართვის ღონისძიებების აუდიტი

2012 წლის ბოლოდან სოფლის მეურნეობის დარგი ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა და შესაბამისად, სახელმწიფომ ფინანსური, საკანონმდებლო, საინვესტიციო და სხვა სახის მექანიზმებით აღნიშნული დარგის განვითარების სტიმულირება აქტიურად დაიწყო. ამ ღონისძიებათა კომპლექსის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს საირიგაციო სფეროს რეაბილიტაცია და მისი უკეთესი პრაქტიკის მიხედვით მართვა წარმოადგენს.

გრაფიკი: საირიგაციო სფეროს სახელმწიფო დაფინანსება წლების მიხედვით




საირიგაციო ქსელის ფიზიკურ აღდგენასა და მისი მართვის ინსტიტუციურ მოწესრიგებას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის დარგის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. მზარდი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს იმპორტის ჩანაცვლებას, საექსპორტო პროდუქციის ზრდას, მომიჯნავე გადამამუშავებელი დარგების განვითარებასა და საოჯახო მეურნეობების/ფერმერთა შემოსავლების მატებას.

ქვეყნის განვითარებისთვის დარგის ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ საირიგაციო სისტემის მოწესრიგებისა და ფუნქციონირებისთვის გამოყოფილი დაფინანსების არსებითობისა და ასევე, იმ ინდიკატორების გათვალისწინებით, რომლებიც საირიგაციო სისტემის მართვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებენ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გადაწყვიტა ჩატარებინა აღნიშნული სფეროს ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც 2012 წლიდან 2014 წლის 1 აგვისტომდე პერიოდს მოიცავს. აუდიტის ობიექტს წარმოადგენდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი შპს - საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა პროგრამის შემდეგი ნაკლოვანებები:

- საირიგაციო მომსახურების გამოყენებისა და მომსახურების გადასახადის ამოღების მაჩვენებელი მიმდინარე ეტაპზე საკმაოდ დაბალია. საირიგაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მთავარ მიზანს ფერმერული და საოჯახო მეურნეობებისათვის საირიგაციო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა არსებითი სხვაობა გასარწყავებული ფართობისა და მეურნეობების მიერ მომსახურების ფაქტობრივად გამოყენებულ მაჩვენებლებს შორის.

ბრუნეტი: შპს-ის საოპერაციო და ფინანსური მაჩვენებლები 2013 და 2014 წლებისათვის: გრაფიკზე მოცემულია ინფორმაცია გასარწყავებული ფართობის, განეული მომსახურების, ამოღებული მომსახურების გადასახადის შესახებ (2014 წლის მონაცემები წარმოდგენილია 15 სექტემბრის მდგომარეობით)



- შპს „გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ ოთხი ტერიტორიული ორგანოს - სისტემური სამმართველოს შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ შპს-ს აუდიტის პერიოდში არ ჰქონდა შემუშავებული და პრაქტიკაში დანერგილი პროცედურები, რომლებიც საირიგაციო მომსახურების საიმედო და სამართლიან მიწოდებას უზრუნველყოფდა. აღნიშნული პროცედურების არქონისა და საირიგაციო არხებში წყლის მარეგულირებელი ინფრასტრუქტურის/სარეგულაციო ფარების სუსტი კონტროლის გამო, საირიგაციო მომსახურება მომხმარებლებს მიეწოდებოდათ არაპროდუქტიულად და არათანაბრად: არხის სათავე ნაგებობასთან მიმდებარე მიწის ნაკვეთები მოიხმარდნენ საკუთარ საირიგაციო საჭიროებაზე გაცილებით მეტ წყალს, მაშინ, როდესაც არხის შუა და ბოლო მონაკვეთებზე წყლის მიწოდება არასაკმარისი და არასაიმედო იყო.

- სარწყავი სეზონის განმავლობაში რეალისტური და სამართლიანი წყალმომარების გრაფიკის შემუშავების შემთხვევაში, რომელიც დაეფუძნება წყლის განაწილების უკეთეს პრაქტიკას, შესაძლებელი იქნებოდა წყლის უფრო რაციონალური განაწილება. აღნიშნული, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა არხის შუა და ბოლო მონაკვეთებზე მდებარე ნაკვეთების პროდუქტიულობის ზრდას უკეთესი საირიგაციო მომსახურების შედეგად.

2013 წელს მორწყულ ფართობზე ზემოთ მოყვანილი მართვის პრინციპების განხორციელების შედეგად, შესაძლებელი იქნებოდა 1 ჰა-ზე საშუალოდ 900 ლარის დამატებითი შემოსავლის მიღება, ყველა შესაბამისი დამატებითი ხარჯის მიკუთვნების და ფულის დროში ღირებულების გათვალისწინებით. ამდენად, მხოლოდ „ხრამარხის“ მეორე და მესამე მესამედის მორწყულ ფართობებზე, კონსერვატიული გაანგარიშებით, მეურნეობების მიერ ბალახის მაგივრად იონჯის კულტივირების შემთხვევაში, შესაძლებელია 641 ათასი ლარის ღირებულების დამატებითი შემოსავლის მიღება. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ შპს-ის მიერ რაციონალური დაგეგმვის, უმნიშვნელო კაპიტალური დანახარჯებისა (სარეგულაციო ფარების შეკეთება) და წყლის უკეთესი კონტროლის პირობებში, შესაძლებელი იქნება ფერმერთა შემოსავლის საგრძნობი ზრდა.

- აუდიტის პერიოდში თანმიმდევრული სახელმწიფო საირიგაციო პოლიტიკა განსაზღვრული არ ყოფილა, რომელიც მკაფიოდ ჩამოაყალიბებდა საირიგაციო პოლიტიკის მიზნებსა და მათ თანაფარდობას. საირიგაციო სექტორის ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუდიტის პერიოდში სახელმწიფო თითქმის მთლიანად აფინანსებდა შპს „გაერთიანებული სამელიორაციო კომპანიის“ როგორც კაპიტალურ, ისე

მიმდინარე ხარჯებს. მიუხედავად შპს-ის წინაშე მდგარი ორი, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნისა: მოგების მაქსიმალური და ხელმისაწვდომი, აგრეთვე საიმედო საირიგაციო მომსახურების მიწოდება, მის მმართველ პარტნიორს – სამინისტროს არ განუსაზღვრავს, ამ ორი მიზნის რა თანაფარდობაა სასურველი სახელმწიფოსთვის. კერძოდ, არ არის განსაზღვრული, რა ფინანსური და საოპერაციო შედეგია (შემოსავალი, მორწყული ფართობი და ა.შ.) მისაღები გასარწყავებული ფართობის (და აქედან გამომდინარე, კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების) ზრდის პარალელურად. აღნიშნული მაჩვენებლების განსაზღვრა შესაძლებელს გახდის ამ სფეროში კონკრეტული მიზნის დასახვასა და მასთან მიმართებაში პროგრესის შეფასებას.

- საირიგაციო მომსახურების მოქმედი ტარიფის სტრუქტურა არ შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკით მიღებულ პრინციპებს, მოუქნელია და შესაბამისად, არ ქმნის სტიმულებს რაციონალური წყალმომარების პრინციპების დასაწერად. გარდა ამისა, მოქმედი ტარიფის ოდენობა არ არის გაანგარიშებული მომსახურების მიწოდების რეალური ხარჯების მიხედვით. აღნიშნული განპირობებულია საირიგაციო ქსელის ექსპლუატაციის რეალური ხარჯების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობითა და სატარიფო მეთოდოლოგიის არარსებობით.
- აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების განხორციელების შედეგად, არსებული წყლის რესურსის უკეთ განაწილების გზით გაიზრდება საირიგაციო მომსახურების ხელმისაწვდომობა საოჯახო მეურნეობებისათვის/ფერმერებისათვის. ამასთანავე, საირიგაციო პოლიტიკის მიზნების დაკონკრეტებისა და შესაბამისი მმართველობითი ღონისძიებების (სატარიფო, საორგანიზაციო და სხვა) განხორციელების შედეგად, გაუმჯობესდება საირიგაციო სისტემის ეკონომიკური და ეკოლოგიური სიცოცხლისუნარიანობა.

რეკომენდაციები შპს „გაერთიანებული საგელიორაციო სისტემების კომპანია“ და მასში შიშვალ სისტემურ სამმართველოებს:

- ▶ შპს-მ გამოსცეს სახელმძღვანელო ინსტრუქცია სისტემური სამმართველოებისთვის, რომელსაც ისინი დაეყრდნობიან, როგორც წლიური დაგეგმვისა და გრაფიკების შედგენის, ასევე წყალმომარებლებთან ურთიერთობის დასარეგულირებლად და სადაც გათვალისწინებული იქნება ირიგაციის სერვისის ძირითადი პრინციპები/მიზნები, დროულობის, საიმედოობისა და თანასწორობის ჩათვლით.
- ▶ შპს-მ უზრუნველყოს სისტემური სამმართველოების ორგანიზაციული შესაძლებლობების ზრდა, რაც შესაძლებელს გახდის წყალმომარების ოპტიმალური გრაფიკების შედგენას მოსახლეობის ჩართულობის პირობებში, ასევე საბაზისო ჰიდრომეტრიის პრინციპებისა და მართვის მიღებული პრაქტიკის დაცვას წყლის განაწილებისას.
- ▶ სისტემურმა სამმართველოებმა და შპს-მ უზრუნველყონ იმ მინიმალური აუცილებელი ინვესტირების განხორციელება, რომელიც საშუალებას მისცემს სისტემურ სამმართველოებს განახორციელონ წყლის ელემენტარული ფიზიკური კონტროლი (ფარების შეკეთება და ხელყოფისგან დაცვა) და მისი გაზომვა, რაც განაპირობებს წყლის სამართლიან გადანაწილებასა და წყლის პროდუქტიული განაწილების შედეგად არხის შუა და ბოლო ნაწილებში ნაკვეთების მქონე ფერმერების შემოსავლების ზრდას.

- ▶ შპს-მ შეიმუშაოს ტარიფის მოქნილი სტრუქტურა, რომელიც შესაბამისობაში იქნება უკეთესი პრაქტიკით აპრობირებული ტარიფის სახეობებთან და ხელს შეუწყობს წყლის რაციონალურ ხარჯვას თანამედროვე საირიგაციო სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

5. სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტი

სახელმწიფო ვალი ქვეყნის ფინანსური მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სახელმწიფო ვალის აღების ძირითად მოტივს საბიუჯეტო გადასახდელების დაფინანსება წარმოადგენს, რომლის მიზანია მოსახლეობის სახელმწიფო სერვისებით უწყვეტი უზრუნველყოფა. არასაკმარისი ფინანსური რესურსების პირობებში, სახელმწიფო ვალის აღება იძლევა შესაძლებლობას, თავიდან იქნეს აცილებული სხვადასხვა საინვესტიციო პროექტის შეჩერება, გადასახადების ზრდა ან/და მიმდინარე გადასახდელების შემცირება, რაც უარყოფითად აისახება სხვადასხვა სოციალური პროგრამების განხორციელებაზე. შედეგად, გონივრული ფინანსური მმართველობის პირობებში, სახელმწიფო ვალი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ერთ-ერთი ინსტრუმენტი, თუმცა, სახელმწიფო ვალის არაეფექტიანმა მართვამ შესაძლოა ქვეყანა ეკონომიკური ზრდის ნაცვლად, კრიზისამდე მიიყვანოს. სახელმწიფო ვალის ზრდასთან დაკავშირებული საფრთხეებისა თუ რისკების არაჯეროვნად შეფასებამ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მიიყვანა სავალო კრიზისამდე. აქედან გამომდინარე, ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის გონივრული მართვა.

„სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ მთავრობის ანგარიშებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენების ფარგლებში სახელმწიფო ვალის მართვასთან დაკავშირებული რიგი საკითხების შესწავლისას იდენტიფიცირებულმა რისკებმა და ბოლო პერიოდში საზოგადოების მხრიდან აღნიშნული საკითხისადმი გაზრდილმა ინტერესმა, განაპირობა სას-ის მიერ სახელმწიფო ვალის მართვის აუდიტის ჩატარება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტი პირველად ჩატარდა. საკითხის აქტუალობას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ ბოლო პერიოდში სახელმწიფო ვალის ნაშთი იზრდება.

აუდიტის ობიექტი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა ფინანსთა სამინისტროს მიერ 2010-2014 წლებში სახელმწიფო ვალის მართვის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები.

აუდიტი მიზნად ისახავდა დაედგინა, რამდენად უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალის მართვის არსებული პრაქტიკა სახელმწიფო ვალის მდგრადობას საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში და რამდენად ხდება, სახელმწიფო ვალის აღებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ეკონომიკური პრინციპის გათვალისწინება. გარდა ამისა, აუდიტის ერთ-ერთ მიზანი იყო სახელმწიფო ვალის ნაშთის დადასტურება. აღნიშნული მიმართულებით, საქართველოს ეროვნული ბანკიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია სახელმწიფო ხაზინის საღარე და სავალუტო ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის სახელმწიფო აუდიტის სამსახურისადმი მოწოდება შეფერხდა ფინანსთა სამინისტროს მხრიდან, რის შედეგადაც აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო აუდიტორული რწმუნება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა სახელმწიფო ვალის მართვაში არსებული შემდეგი ნაკლოვანებები:

საქართველოს სახელმწიფო ვალის პორტფელში არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოს ნილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკრედიტო ვალდებულებები. შედეგად, საწარმოს გადახდისუუნარობის/დეფოლტის შემთხვევაში, არსებობს სახელმწიფო აქტივების მოცულობის შემცირების ან/და ვალდებულებების ზრდის რისკი, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობაზე. ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სახის ანალიზში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ვალდებულებები გათვალისწინებული არ არის, ქმნის იმის რისკს, რომ არაჯეროვნად იქნება შეფასებული სახელმწიფო ვალის მდგრადობასთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეები თუ რისკები.

აუდიტის პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ ჰქონდა შემუშავებული სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგია. საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის შემუშავება მნიშვნელოვანი წინაპირობაა საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. სტრატეგიის დოკუმენტის არარსებობა განსაკუთრებით საყურადღებოა საკრედიტო რესურსების მოზიდვის კუთხით არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, რაც საშუალო და გრძელვადიან პერიოდში შეღავათიანი საკრედიტო რესურსით სარგებლობის შეზღუდვით გამოიხატება.

საკრედიტო რესურსის მოზიდვის ეტაპზე არ ხორციელდება სხვადასხვა დაფინანსების წყაროს მიერ შემოთავაზებული საკრედიტო პირობების ანალიზის დოკუმენტირება. მთავრობის განკარგულების პროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათებში მოცემული ინფორმაცია ვერ უზრუნველყოფს მთავრობის მიერ სესხის აღების პროცესის გამჭვირვალობასა და უფლებამოსილი პირების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული არაოპტიმალური პირობებით სახელმწიფო ვალის აღება.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ვალის დამახასიათებელი რისკების შეფასებასა და ვალის მდგრადობის ანალიზის ჩატარებას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი, რაც წარმოშობს იმის რისკს, რომ ვერ მოხდება მოსალოდნელი საფრთხეების დროული იდენტიფიცირება და მათი პრევენცია. თუმცა, დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს თან დაერთო მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი.

ფინანსთა სამინისტროში არ არსებობს ფორმალური სახელმძღვანელო ან მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილი იქნება, თუ როგორ და რა მეთოდით უნდა ხდებოდეს დასაგეგმი წლისათვის სავალო საჭიროების დადგენა. ფინანსთა სამინისტროს ფარგლებში პროცესი რეგულირდება სამინისტროს დებულებით, თუმცა, აღნიშნული მიმართულებით პროცესში ჩართული დეპარტამენტების ფუნქციები, გარდა სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტისა, განსაზღვრული არ არის და შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი დეპარტამენტი რაზეა პასუხისმგებელი. შედეგად, დასაგეგმი წლისათვის სავალო საჭიროების განსაზღვრის პროცესი არ მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული და ფორმალურად დამტკიცებული წესებისა თუ პროცედურების მიხედვით. აუდიტის შედეგად გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები ფინანსთა სამინისტროს:

- ▶ უზრუნველყოს საბიუჯეტო დოკუმენტებში სახელმწიფო სექტორის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების სრულყოფილი ასახვა, ვალდებულებების შესაბამისი მფლობელებისა და მახასიათებლების მითითებით.
- ▶ უზრუნველყოს სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური ანალიზების ჩატარების პროცესში, პირობითი ვალდებულებების მოცულობისა და მათთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინება.
- ▶ შეიმუშაოს სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგია, რომელიც შესაბამისობაში იქნება ქვეყნის განვითარების საერთო სტრატეგიასთან და უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.
- ▶ მთავრობის განკარგულების პროექტზე თანდართულ მასალებთან ერთად წარადგინოს სესხის აღებასთან დაკავშირებული დეტალური ანალიზის ამსახველი დოკუმენტები, სადაც ნათლად იქნება მოცემული სხვა ალტერნატიული დაფინანსების წყაროებთან მიმართებაში არსებული პირობებით სესხის აღების უპირატესობა.
- ▶ უზრუნველყოს ვალის მდგრადობის სრულყოფილი ანალიზის რეგულარულად (საბიუჯეტო წლის განმავლობაში არანაკლებ ერთხელ) ჩატარება და სისტემატურად განახორციელოს სახელმწიფო ვალის არსებული პორტფელის შესაბამისი რისკების მონიტორინგი.
- ▶ საქართველოს ეროვნულ ბანკთან კოორდინაციით, შეიმუშაოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სტრატეგია და გაანალიზდეს ის პოტენციური ღონისძიებები (სტიმულები), რომლებიც ხელს შეუწყობს ბაზრის განვითარებას.

1.2 ინფორმაციული სისტემების აუდიტის დანერგვა

2014 წლიდან, საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების პარალელურად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო **აუდიტის თვისობრივად განსხვავებული ტიპის - ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის მიმართულების განვითარება**. IT აუდიტი სწავლობს ორგანიზაციის ელექტრონული სისტემების უსაფრთხოებას, ელექტრონულ მონაცემთა მთლიანობასა და კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთანავე, აღნიშნული აუდიტის მიმართულება საშუალებას იძლევა გაანალიზდეს, რამდენად უზრუნველყოფს ორგანიზაციაში დანერგილი ინფორმაციული სისტემები ორგანიზაციული მიზნების მიღწევას არსებული რესურსების პროდუქტიული გამოყენების გზით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის დანერგვა და განვითარება ხელს შეუწყობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის მასშტაბის გაზრდას, აუდიტორული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას და დროის რესურსის დაზოგვას. ყოველივე ზემოაღნიშნული კი უზრუნველყოფს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებასა და შესაბამისად, საჯარო ფინანსების უკეთესად მართვას.

2014 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა პროფესიული გაძლიერების კუთხით მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციების (INTOSAI) მიერ ორგანიზებულ სასერტიფიკაციო პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს აუდიტორების გადამზადებას ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მიმართულებით. 3-ეტაპიანი პროგრამა მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტებს: პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების საპილოტო აუდიტი, რომელსაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლები საერთაშორისო ექსპერტების ზედამხედველობის ქვეშ ჩატარებენ.

ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განვითარების მიზნით, მსოფლიო ბანკსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის გაფორმდა ნახევარი მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საგრანტო ხელშეკრულება პროექტზე - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განვითარება“. პროექტი 3-წლიანია და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისათვის საჭირო ინფორმაციული სისტემის დანერგვა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის IT აუდიტორების შესაძლებლობების განვითარება;
- პროექტის მართვა.

აღნიშნული კომპონენტების ფარგლებში, სას შეიძენს ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისათვის საჭირო ინფრასტრუქტურასა და სპეციალიზებული აუდიტორული პროგრამების პაკეტებს; ამასთანავე, ძირითადი რესურსები მიმართული იქნება სას-ის IT აუდიტორების პროფესიული შესაძლებლობების ზრდისაკენ, რაც გულისხმობს საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტების მოწვევას, რომლებიც ჩატარებენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ტრენინგკურსებს, ინფორმაციული უსაფრთხოების, დიდი მოცულობის მონაცემთა ანალიზის, თაღლითობის გამოვლენისა და IT აუდიტის სხვადასხვა მიმართულებით.

2014 წელს პირველად ჩატარდა კომბინირებული IT აუდიტი შპს - „სახელმწიფო ელექტრო-

სისტემის“ შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში და სახელმწიფო ვალის მართვის ელექტრონული სისტემის ეფექტიანობის აუდიტი. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების აუდიტი პარალელურად წარიმართებოდა 12 უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მიერ.

1. სახელმწიფო ვალის მართვის ელექტრონული სისტემების ეფექტიანობის აუდიტი

ელექტრონული მმართველობის (E-Governance) ინტენსიური დანერგვის ეტაპზე, საჯარო ფინანსების მართვის სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება და განვითარება ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. აღნიშნული ინფორმაციული სისტემები კრიტიკულ როლს თამაშობს საჯარო დანესებულებების ბიზნესპროცესებში, რაც თავისთავად გავლენას ახდენს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის სერვისის მიწოდებაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების ეფექტიანობის საკითხები 2010-2014 წლებში. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია სახელმწიფო ვალის მართვაზე. 2014 წლის ნოემბრის მონაცემებით, სახელმწიფოს მთლიანი ვალის პორტფელი შეადგენს 10,397.4 მილიონ ლარს (მოსალოდნელი მშპ-ის 35.7%).


საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ვალის მართვისათვის იყენებს სამ სხვადასხვა ინფორმაციულ სისტემას - 1. ვალის მართვისა და ფინანსური ანალიზის სისტემა (DMFAS), რომელიც შემუშავებულია გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მიერ; 2. სახელმწიფო ვალის მართვისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა (eDMS), რომლის შემუშავება მიმდინარეობს სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ და 3. საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა (DMNAT), რომელიც შემუშავებულ იქნა სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ.

სახელმწიფო ვალის მართვის პროცესში ინფორმაციული სისტემების როლიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამასთანავე, ინფორმაციული უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეესწავლა სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების მართვის არსებული პრაქტიკა.

ფინანსთა სამინისტრომ, სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის (PFM) რეფორმის ფარგლებში, შეიმუშავა 2009-2013 და 2014-2017 წლების სტრატეგიული და ყოველწლიური სამოქმედო გეგმები, სადაც სამინისტროს ორგანიზაციულ მიზნებთან ერთად მოცემულია შესაბამისი IT გადაწყვეტილებები (solutions). სტრატეგიის ძირითადი მიზანია, ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა საჯარო ფინანსების მართვის ინფორმაციული სისტემის (PFMS) შექმნა. როგორც აუდიტის მსვლელობისას გახდა ცნობილი, არსებული მდგომარეობიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, სამინისტროს გადაწყვეტილებებში აშკარაა სტრატეგიული მიზნების გადაფარვები. აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ DMFAS 6.0-ის შეძენისა და eDMS-ის განვითარების მიზანი იყო სახელმწიფო ვალის პორტფელის ერთ სისტემაში ასახვა და მართვა. თუმცა, მიმდინარე ეტაპისათვის სახელმწიფო საგარეო და სამინაო ვალი სხვადასხვა სისტემაში იმართება, რაც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია DMFAS-ის მხარდაჭერისათვის ყოველწლიურ ხარჯებთან, ხოლო, მეორე მხრივ,

eDMS-ის განვითარებისათვის საჭირო ფინანსურ რესურსებთან. ყოველივე ზემოაღნიშნული იმის შედეგია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრატეგია სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების მიმართულებით შეიცავს სტრატეგიული მიზნების გადაფარვებს.

გრაფიკი: სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების შემუშავებისა და დანერგვის დროის ჩარჩო



სახელმწიფო ვალის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ვალის ანალიზი. ფინანსთა სამინისტროს მიერ DMFAS-ის განახლებული ვერსიის შექმნის მთავარი მიზანი იყო სახელმწიფო ვალის მართვის პროცესში მაღალი ანალიტიკური ფუნქციონალის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტისა და სსიპ -საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგები DMFAS 6.0 ვერსიის ფუნქციონალური და ტექნიკური, სახელმწიფო ვალის სტატისტიკისა და პორტფელის ანალიზის მიმართულებებით. მიუხედავად ამისა, დეპარტამენტი არ იყენებს პროგრამაში ჩაშენებულ სენსიტიურობის ანალიზის მოდულს, რომელიც საშუალებას იძლევა გაანალიზდეს სახელმწიფო ვალის პორტფელის სენსიტიურობა საპროცენტო განაკვეთის ან/და ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებასთან მიმართებაში. ამასთანავე, პროგრამაში არ იყენებენ ვალის მდგრადობის ანალიზისა (DSM+) და რისკების შეფასებისათვის საჭირო ფუნქციონალურ მოდულებს. შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს მიერ აღნიშნული მიმართულებით განსაზღვრული მიზნები ვერ იქნა მიღწეული.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების განვითარებას (eDMS), მხარდაჭერასა და სისტემურ ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ -საფინანსო-ანალიტიკური სამსახური. შესაბამისად, საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უნდა განახორციელოს სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმების დაცვის მონიტორინგი. კერძოდ, სამინისტროს მხრიდან არ ხდება აუდიტის ჟურნალების (ლოგირების) რეგულარული მონიტორინგი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სისტემური და მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორების საქმიანობის ზედამხედველობა. გარდა ამისა,

სერვისის მონიტორინგის ფარგლებში ინფორმაციულ სისტემებში არსებული რისკებისა და ნაკლოვანებების გამოსავლენად, ფინანსთა სამინისტროს არ ჩაუტარებია სერვისის მიმწოდებლის აუდიტი (გარე ან შიდა აუდიტი). შესაბამისად, სამინისტროს არ გააჩნია რწმუნება, რომ უზრუნველყოფილია სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციულ სისტემებში დაცული ინფორმაციის უსაფრთხოება.

ამასთანავე, სამინისტროს არ გააჩნია მონიტორინგის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც შეაფასებს მისთვის მიწოდებული მომსახურების ხარისხს. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს შორის არ არსებობს სერვისის ხარისხისა და მიწოდების (SLA) ფორმალური დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც სამინისტროს შესაძლებლობა ექნებოდა, სერვისის მიმწოდებელთან შეთანხმებით, განესაზღვრა კრიტერიუმები და შეეფასებინა მიწოდებული სერვისის ხარისხი.

ელექტრონულ სისტემებში არსებული ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის კონტროლების ეფექტიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზოგადი კონტროლის გარემო, მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ადამიანური ფაქტორი და შესაბამისი კონტროლები (სისტემებზე ლოგიკური წვდომის კონტროლები). კერძოდ, სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციულ სისტემებში ლოგიკური წვდომის კონტროლების გარემოს შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ eDMS-ში გამოყენებული ლოგიკური წვდომის კონტროლები და მაკომპენსირებელი მექანიზმები უზრუნველყოფენ სისტემის ტრანზაქციებისა და ოპერაციების აღრიცხვიანობასა და მიკვლევადობას. რაც შეეხება DMFAS-ს, სისტემას გააჩნია ტექნიკური შესაძლებლობა, უზრუნველყოს განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვიანობა და მიკვლევადობა, თუმცა აღნიშნული, პრაქტიკაში არ ხორციელდება.

სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციულ სისტემებში არსებული ნაკლოვანებების გათვალისწინებით და მოცემული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები:

- ▶ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განსაზღვროს სტრატეგიული ხედვა სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების მიმართულებით. კერძოდ, ჩამოყალიბდეს სამინისტროს მოთხოვნები სახელმწიფო ვალის მართვის IT გადაწყვეტის მიმართ და შესაბამისად, შეირჩეს არსებული ინფორმაციული სისტემებიდან სახელმწიფო ვალის მართვისათვის ოპტიმალური სისტემა;
- ▶ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ელექტრონულ გარემოში არსებული სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების ოპერაციული სისტემისა და მონაცემთა ბაზების აუდიტის ყურნალების რეგულარული მონიტორინგი;
- ▶ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის დასკვნაზე დაყრდნობით მიიღოს რწმუნება, რომ სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური უზრუნველყოფს სამინისტროს IT სისტემების მონაცემთა უსაფრთხოებას;

▶ სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მოთხოვნით, DMFAS-ის სისტემურმა ადმინისტრატორმა შეუზღუდოს წვდომა სისტემის მომხმარებლებს არაპერსონიფიცირებულ ანგარიშებზე (ანგარიშები, რომლებიც არ არის განსაზღვრული კონკრეტული პირებისათვის), რომ არ მოხდეს არაავტორიზებული წვდომა სისტემაზე. ამასთანავე, დეპარტამენტის მოთხოვნით გააქტიურდეს DMFAS-ის აუდიტის მოდული სისტემის აუდიტის კვალის წარმოებისათვის.

1.3 ფინანსური და შესაბამისობის აუდიტების შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი გარემოებები


ფინანსური აუდიტით სახელმწიფო აუდიტის სამსახური გასცემს დამოუკიდებელ დასკვნას იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა აუდიტის ობიექტის საქმიანობა და ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს: რამდენად გამართულია ბუღალტრული აღრიცხვა, რამდენად უზრუნველყოფილია ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობა და ფუნქციონირებს თუ არა შესაფერისი შიდა კონტროლის სისტემა. **შესაბამისობის აუდიტის მიზანია** აუდიტის ობიექტის ოპერაციებისა და საქმიანობის შეფასება მოქმედ კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო და საგრანტო მოთხოვნებთან, ორგანიზაციულ პოლიტიკასთან და პროცედურებთან შესაბამისობაში.

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტებით სამსახური უზრუნველყოფს არა მხოლოდ ფინანსურ ანგარიშგებასა და სახელმწიფო სახსრების განკარგვის კანონიერებასთან დაკავშირებული ხარვეზების გამოვლენას, არამედ შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას მათ გამოსასწორებლად.

წინამდებარე ანგარიშის ამ ნაწილში მოცემულია კონკრეტული უწყებების დონეზე აუდიტების შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი შედეგები⁶.

პრიორიტეტი 1: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა და მართვა

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა და მართვის მიმართულებით, სას-მა მოიცვა 249,462 ათასი ლარი



6 სას-ის მიერ 2014 წელს ჩატარებული აუდიტების სრული ჩამონათვალი იხილეთ პირველ დანართში.

სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი

► მნიშვნელოვანი სხვაობა საწყის საპრივატიზებო საფასურსა და პრივატიზებული ქონების საბაზრო ღირებულებას შორის

– სააგენტოს მიერ 2012-2013 წლებში ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებულია 354 ობიექტი. საპრივატიზებო ქონების საბაზრო ღირებულებას განსაზღვრავენ დამოუკიდებელი აუდიტორები, რომელთაც შემდგომში სააგენტო იყენებს საპრივატიზებო საფასურის დასადგენად. უმეტეს შემთხვევებში, მნიშვნელოვანი სხვაობებია აუდიტორული კომპანიების მიერ განსაზღვრულ საბაზრო ღირებულებებსა და ობიექტების საბოლოო გასაყიდ ღირებულებებს შორის.

– კერძო აუდიტორების მიერ განსაზღვრულ საბაზრო ღირებულებას სხვადასხვა მოცულობით ემატება გარკვეული ფასი და ასეთი სახით სააგენტოს მიერ განისაზღვრება საწყისი საპრივატიზებო საფასური. კეროდ, 2012 წელს, 38 შემთხვევაში საბაზრო ღირებულებებზე სააგენტოს მიერ დამატებული ფასები მერყეობს 2%-დან 289%-მდე, ხოლო 2013 წელს 233 შემთხვევაში - 1%-დან 1220%-მდე. ასეთ შემთხვევებში, სააგენტოს მიერ გამოყენებული ღირებულების გაზრდის საერთო მიდგომა ან რაიმე სახის ჩამოყალიბებული წესი, სააგენტომ ვერ წარმოადგინა.

რეკომენდაცია:

სააგენტომ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს ერთიანი წესი, რომლის მიხედვითაც მოხდება ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების დადგენა.

► აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები

– თბილისში, ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე 2,780.5 კვ.მ ფართობის ხუთი ერთეული შენობა-ნაგებობა და მათზე წილობრივად დამაგრებული (2,641.5 კვ.მ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პრივატიზებულია ნაგებობების დემონტაჟის პირობით, 1,300.0 ათას ლარად (1 კვ.მ - 492 ლარი), ხოლო ფაქტობრივად 1 კვ.მ-ის ფასი აღნიშნულ ტერიტორიაზე საშუალოდ 700-800 აშშ დოლარს შეადგენს;

– თბილისში, კაიროს ქუჩაზე მდებარე 4,362 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 8 ერთეული შენობა-ნაგებობა - 1,589.12 კვ.მ საერთო ფართობით, ობიექტი აუდიტორთა მიერ შეფასებულია 420.0 ათას ლარად, აუქციონზე კი გატანილია 175.0 ათას ლარად.

– თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 2,000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საპრივატიზებო განაცხადის შესაბამისად, მიწის ნაკვეთი მდებარეობს თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულ რეკრეაციულ ზონაში. აუდიტის დასკვნის თანახმად, 2000 კვ.მ-დან 1,110 კვ.მ წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას. ეკონომიკის მინისტრის ბრძანების მიხედვით, სარეკრეაციო ზონაში შესაძლებელია სარეკრეაციო ზონის ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფი შენობა-ნაგებობების არსებობა. აუქციონის პირობებით განსაზღვრული არ არის აღნიშნულ ნორმასთან შესაბამისობის მიზნით დაწესე-

ბული მოთხოვნები. განსაზღვრულია მხოლოდ, არანაკლებ 1,500.0 ათასი ლარის ინვესტიციის განხორციელება;

– მთავრობის განკარგულების საფუძველზე, ფიზიკურ პირს საკუთრებაში გადაეცა ქ. მარნეულში, მდებარე 1,947 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული სამი შენობა-ნაგებობა - 886 კვ.მ განაშენიანების ფართობით. სანაცვლოდ, აღნიშნულმა ფიზიკურმა პირმა სახელმწიფოს გადასცა მის საკუთრებაში არსებული ქ. მარნეულში მდებარე 98,357 კვ.მ და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ არაფლოში მდებარე 50,000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთები. აუდიტორულ დასკვნებში არ არის სრულყოფილად ასახული ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შეფასების კრიტერიუმები.

► **მნიშვნელოვანი განსხვავება აუდიტორულ დასკვნაში არსებულ მონაცემებსა და წარმოდგენილ ფოტომასალას შორის**

– სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებულია 3,426 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 2 შენობა-ნაგებობა. აუდიტორული დასკვნის თანახმად, მიწის ნაკვეთზე არსებული შენობებისგან ფაქტობრივად დარჩენილი იყო ნანგრევები და შეფასდა მხოლოდ მიწის ნაკვეთი, თუმცა წარმოდგენილ ფოტოებზე მოცემულია საკმაოდ დიდი მოცულობის ბეტონის ფილების კონსტრუქცია. სააგენტოს მიერ საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა - 33.0 ათასი ლარის ოდენობით. შეუძლებელია სააგენტოს მიერ განსაზღვრული საწყისი საპრივატიზებო საფასურის სრულყოფილი ანალიზი, რადგან არ არის დადგენილი მიწაზე არსებული ნაგებობის საბაზრო ღირებულება.

რეკომენდაცია:

სააგენტომ უზრუნველყოს მის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივის სრულყოფილი შეფასება საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრამდე.

► **რეკრეაციულ ზონაში მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზება შესაბამისი პირობების გარეშე**

– სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებულია რეკრეაციულ ზონაში მდებარე 2,000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, საპრივატიზებო განაცხადის შესაბამისად. აუდიტის დასკვნის თანახმად, 2,000 კვ.მ-დან 1,110 კვ.მ წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას. ეკონომიკის მინისტრის ბრძანების⁷ მიხედვით, სარეკრეაციო ზონაში შესაძლებელია სარეკრეაციო ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი შენობა-ნაგებობების არსებობა. აუქციონის პირობებით განსაზღვრული არ არის აღნიშნულ ნორმასთან შესაბამისობის მიზნით დაწესებული მოთხოვნები. განსაზღვრულია მხოლოდ, არანაკლებ 1,500.0 ლარის ინვესტიციის განხორციელება.

7 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი.

რეკომენდაცია:

სააგენტომ რეკრეაციულ ზონაში მდებარე მიწის ნაკვეთების პრივატიზებისას დეტალურად მიუთითოს აუქციონის პირობები, რაც გულისხმობს საპრივატიზებო ტერიტორიის შემდგომი გამოყენებისას კონკრეტული მოთხოვნების განსაზღვრას. აღნიშნული მოთხოვნები მიზანშეწონილია, ორიენტირებული იყოს სარეკრეაციო ტერიტორიის საზოგადოებისათვის სასარგებლო მიზნით გამოყენებაზე.

შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები

- 2013 წელს განხორციელებულია აუდიტორული მომსახურებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აზომვითი სამუშაოების შესყიდვა, რომელთა ჯამური სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 480.3 ათას ლარს, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულება – 166.0 ათას ლარს. აღნიშნული სხვაობა შეადგენს 65%-ს, რაც სავარაუდო ღირებულებების არაჯეროვან განსაზღვრაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია:

სააგენტომ მომსახურების შესყიდვამდე ჩაატაროს ბაზრის კვლევა, განსაზღვროს შესასყიდი მომსახურების/საქონლის სავარაუდო ღირებულება, საბაზრო ფასის გათვალისწინებით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2011-2013 წლების შესასრულებელი აუდიტი

ხარვეზები დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესში

- სამინისტროში არსებული დევნილთა მონაცემთა ბაზებიდან შერჩეული ერთობლიობის ფარგლებში დადგინდა შემთხვევები, როდესაც რეალურად არსებულმა დევნილ ოჯახებმა ფორმალურად გაყოფის გზით სახელმწიფოსაგან მიიღო და დაუკმაყოფილდათ სხვადასხვა შეთავაზება:
 - ხუთ ოჯახს, რომლებიც იმყოფებოდნენ ერთი სარეგისტრაციო ნომრის ქვეშ, საკუთრებაში გადაეცა ერთზე მეტი საცხოვრებელი ფართობი;
 - გამოვლინდა 6 შემთხვევა, როდესაც ერთ ოჯახზე გაიცა როგორც ერთჯერადი კომპენსაცია, ასევე განხორციელდა საცხოვრებელი ბინის დაკანონება;
 - 13 ოჯახზე ზედმეტად გაცემულმა კომპენსაციის თანხამ შეადგინა 130,000 აშშ დოლარი;
 - საცხოვრებელი ფართობები დაკანონებული ჰქონდა 4 ისეთ ოჯახს, რომელთაც შეუწყდათ დევნილის სტატუსი.

რეკომენდაცია:

სამინისტრომ შეიმუშაოს კონტროლის ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ან კომპენსაციის გაცემას, ან საცხოვრებელი ფართობების დაკანონებას. ასევე, სამინისტრომ უზრუნველყოს დევნილი ოჯახების ზუსტი რაოდენობის იდენტიფიცირება, რათა არ მოხდეს ერთ ოჯახზე რამდენიმე საცხოვრებელი ფართის დაკანონება.

► **არ დასტურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან გახარჯული შესყიდული სანვავის მიზნობრიობა**

- ვერ დასტურდება 130.4 ათასი ლარის ღირებულების სანვავის ხარჯის მიზნობრიობა; ხარჯებში ჩამოწერილი 59.8 ათასი ლარის ბენზინის სანვავის მიღება არ დასტურდება სამინისტროს თანამშრომელთა ხელმოწერებით. ასევე, ზედმეტად არის ხარჯად აღიარებული ბენზინის სანვაგი (500 ლიტრი) ღირებულებით - 1.2 ათასი ლარი;
- 2011-2012 წლებში სანვაგი აღიარებულია ხარჯად და ჩამოწერილია იმ ავტომანქანებზე, რომლებიც არ იყო სამინისტროს საკუთრებაში/სხვა სახით სარგებლობაში, შესაბამისად, არ იყო აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაშიც. აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ გახარჯულია 61.9 ათასი ლარის სანვაგი.

რეკომენდაცია:

სამინისტრომ დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შესაბამისი უფლებამოსილი პირების ავტორიზაციით უზრუნველყოფს სანვავის რაციონალურ და მიზნობრივ ხარჯვას

► **შესყიდვების დაგეგმვაში არსებული ხარვეზების შედეგად ზედმეტად გადახდილი სახსრები**

- 2011-2012 წლებში იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ადგილებიდან ახალ საცხოვრებელ ადგილებში საოჯახო ნივთების გადაზიდვის სატრანსპორტო მომსახურებაზე სამინისტროს მიერ გამარტივებული წესით გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1,085 ათასი ლარი. სამინისტროს მხრიდან ამ პერიოდში მოცემულ მომსახურებაზე არსებული საბაზრო ფასის გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო სულ მცირე, 654.4 ათასი ლარის მოცულობის საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა

რეკომენდაცია:

შესყიდვის განხორციელებამდე სამინისტრომ განახორციელოს ბაზრის კვლევა, რათა დადგინდეს შესასყიდი საქონლის/მომსახურების რეალური საბაზრო ფასი და თავიდან იქნეს აცილებული სახსრების არაეკონომიური განკარგვა.

► შესყიდვების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად ზედმეტად გადახდილი სახსრები

– სამინისტრომ ორი ელექტრონული ტენდერის შედეგად ხელშეკრულება გააფორმა ორ სხვადასხვა მიმწოდებელთან, ქ.თბილისის ვარკეთილის რაიონის №185-ე საჯარო სკოლაში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით. სამუშაოების შესრულებიდან ერთი წლის შემდეგ, სამინისტრომ გამარტივებული წესით გააფორმა ხელშეკრულება სულ სხვა მიმწოდებელთან, იმავე საჯარო სკოლაში სამუშაოების შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა 132.7 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებას, რაც სამინისტროს მხრიდან არაეკონომიურ ხარჯს წარმოადგენს, ვინაიდან წინა მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი 3 წელს შეადგენდა.

რეკომენდაცია:

გამარტივებული შესყიდვის მოსამზადებელ ეტაპზე განხორციელდეს ბაზრის კვლევა, რათა დადგინდეს შესასყიდი საქონლის/მომსახურების რეალური საბაზრო ფასი და თავიდან იქნეს აცილებული სახსრების არაეკონომიური განკარგვა. ბაზრის კვლევის შედეგებში აღინიშნოს შეხედულებები, მოსაზრებები, კრიტერიუმები და ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მიხედვითაც მოხდა კონკრეტული მიმწოდებლის შერჩევა.

► საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი განკარგვა

– სამინისტროს მიერ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, 2013 წელს გაფორმებული ორი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულდა უხარისხო სამუშაოები. აღნიშნულ სარეკონსტრუქციო-სამონტაჟო მომსახურებაზე არაეფექტიანად განეულმა ხარჯმა 1,920.0 ათასი ლარი შეადგინა.


– 2011-2012 წლებში ქ. გორში, სამინისტროს ცენტრალური აპარატის შენობის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე განეულმა ხარჯმა შეადგინა 4,046.0 ათასი ლარი. შენობის სარემონტო სამუშაოები დასრულდა 2012 წლის 30 ივნისს, სამინისტროს აპარატის გადასვლა ქ. გორში არ განხორციელებულა, ხოლო 2012 წელს აღნიშნული შენობა მთავრობის განკარგულებების საფუძველზე გადაეცა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს.

რეკომენდაცია:

არსებული ფინანსური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, ინსპექტირების ჯგუფის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიწოდებული საქონლის/მომსახურებისა და სამუშაოების ხარისხის შესაბამისობის მონიტორინგის სისრულე და უწყვეტობა.

პრიორიტეტი 2: ინფრასტრუქტურული პროგრამები და ღონისძიებები

ინფრასტრუქტურული პროგრამებისა და ღონისძიებების მიმართულებით, სას-მა მოიცვა 1,845,414 მილიონი ლარი



საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი

▶ შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები

- რეგიონებში მიმდინარე ნაპირსამაგრი და სარეაბილიტაციო სამუშაოების ტენდერში, რომელთა ჯამურმა სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 721.4 ათასი ლარი, გამარჯვებული კომპანიების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
- მესტიის შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოების (სამუშაოთა ღირებულება - 4,645.0 ათასი ლარი) შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული წესით. მთავრობის განკარგულების საფუძველზე ავანსის სახით მიმწოდებელმა მიიღო 1,858.0 ათასი ლარი, ხოლო სამუშაოები დაიწყო 45 დღის დაგვიანებით;
- გუდაურის ტერიტორიაზე საგზაო, წყალმომარაგებითი, საკანალიზაციო და გარე განათებით სამუშაოებზე შემსრულებელთან გაფორმდა 3,510.0 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, შპს-ს სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2011 წლის 31 დეკემბრამდე. კონტრაქტორს ავანსის სახით გადაერიცხა 1,404.0 ათასი ლარი გადაერიცხა 10 აგვისტოს, თუმცა სამუშაოები ფაქტობრივად დაიწყო ერთი თვის დაგვიანებით, ხოლო საბოლოოდ სამუშაოები დაასრულდა დაახლოებით 9 თვის დაგვიანებით;

- გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე, საბაგიროს ტექნომსახურების პუნქტის სამშენებლო და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებზე, საერთო ღირებულებით 2,500.0 ათასი ლარი, გამოიცა მთავრობის განკარგულება, რომლის საფუძველზეც შესყიდვა, შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, განხორციელდა გამარტივებული წესით. შესაბამისი ხელშეკრულება, გაფორმდა 3 თვის დაგვიანებით;
- გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით შესასრულებელი დამატებითი სამუშაოების, საერთო ღირებულებით 1,040.0 ათასი ლარი, შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული წესით. ხელშეკრულება გაფორმდა 139 დღის შემდეგ; ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოები დაიწყო 44 დღის შემდეგ; ავანსის გადარიცხვიდან (416.0 ათასი ლარი) სამუშაოები დაიწყო 26 დღის შემდეგ; სამუშაოების შესრულებას სულ დაჭირდა 55 დღე. ამასთან, სამუშაოთა კომისიური მიღების აქტს ხელს არ აწერს მესამე მხარე, „გუდაურის განვითარების ფონდის“ წარმომადგენელი;
- დეპარტამენტმა 2012 წლის სექტემბერში, გამარტივებული წესით შეისყიდა 6,099.0 ათასი ლარის ღირებულების საგზაო ტექნიკა. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტს საგზაო ტექნიკის შესაძენად საჭირო თანხა გამოეყო 2012 წლის მაისში. 2012 წლის მაისიდან 2012 წლის სექტემბრამდე პერიოდში, შესაძლებელი იყო შესყიდვის ტენდერის გზით განხორციელება, რასაც მაღალი კონკურენციის პირობებში, შესაძლოა დაეზოგა საბიუჯეტო სახსრები;
- სოფელ გომბორში ნაპირსამაგრი სამუშაოების ტენდერში (სავარაუდო ღირებულება - 96.7 ათასი ლარი) გამარჯვებული კომპანიის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ არის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი. აღსანიშნავია, რომ სამუშაოების მთელი მოცულობა შეასრულა ქვეკონტრაქტორმა, რითაც დაირღვა სატენდერო მოთხოვნები. ასევე, პრეტენდენტმა უსაფუძვლოდ მიიღო ნაპირსამაგრი სამუშაოებში კვალიფიკაცია, რომელიც მნიშვნელოვანია ტენდერებში მონაწილეობისას და წარმოადგენდა პრეტენდენტის შერჩევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს;
- ანაკლიაში ინდივიდუალური პროექტირების ხის კონსტრუქციის საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოები, საერთო ღირებულებით - 11,487.3 ათასი ლარი, ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე გაგრძელდა დაახლოებით 8 თვით;
- ანაკლიის საფეხმავლო ხიდის განათების მოწყობის სამუშაოები, საერთო ღირებულებით - 550.0 ათასი ლარი, ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე გაგრძელდა დაახლოებით 5 თვით;
- თეთნულდის სათხილამურო კომპლექსთან მისასვლელი გზის სამშენებლო სამუშაოები, ჯამური ღირებულებით - 4,440.0 ათასი ლარი, ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე გაგრძელდა დაახლოებით 11 თვით;
- 67.3 ათას ლარად შესყიდულია 2,401 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება. 17.7 ათასი ლარი გადახდილია ღობის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით. აღსანიშნავია, რომ კომპენსაციის თანხის განსაზღვრისთვის გამოყენებული ანალოგი არ შეესაბამება წარმოდგენილ ფოტომასალაზე ასახულ ღობეს. გარდა ამისა, საინვენტარიზაციო ფორმაში მითითებული ღობის სიგრძე შეადგენს 220 მეტრს, ფაქტობრივად ანაზღაურებულია 153 მეტრი (აღსანიშნავია, რომ ფაქტობრივად ღობის სიგრძე 153 მეტრია);
- 2013 წლის 29 ივლისს 78.5 ათას ლარად შესყიდულია 3,299 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება. 45.5 ათასი ლარი გადახდილია ხეხილის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით. თუმცა, წარმოდგენილი ფოტომასალით არ დასტურდება აღნიშნულ ნაკვეთზე ზემოთ მითითებული ღირებულების ხეხილის არსებობა.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2010-2012 წლების შესაბამისობის აუდიტი

► წყალმომარაგებასა და წყალარინებით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზები

- კომპანიას არ მოეპოვება წყალსატევებში წყალარინების ქსელიდან ჩამდინარე სითხის გამწმენდი ნაგებობები და არ ხორციელდება აღნიშნული სითხის განმედიითი სამუშაოები. შესაბამისად, ირლვევა საქართველოში მოქმედი სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები;
- რიგ შემთხვევებში, წყლის დაცვის მიზნით, არასრულყოფილია ან საერთოდ არ არის შექმნილი სანიტარიული დაცვის ზონები სათავე ნაგებობებსა და სათავე ნაგებობებიდან ჩამოდინარე წყლისთვის შექმნილ რეზერვუარებთან;

რეკომენდაცია:

კომპანიამ მოახდინოს ჩამოდინარე სითხის სათანადო განმედიის უზრუნველყოფა და სრულყოფილად დაიცვას სანიტარიული წესები და ნორმები. ასევე, კომპანიამ უზრუნველყოს სანიტარიული დაცვის ზონების ჩამოყალიბება⁸, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჰიგიენური ნორმების დარღვევით გამოწვეული საფრთხეები.

► ქსელზე დაერთებიდან მიღებული შემოსავლები

- 21 შემთხვევაში, კომპანიამ ვერ წარმოადგინა ახალაშენებულ ობიექტებში განთავსებული და აბონენტად დარეგისტრირებული იურიდიული პირების წყალსადენ-წყალარინებზე დაერთების ტექნიკური პირობები და დაერთების გადასახადის დარიცხვის საბუთები. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ქსელზე დაერთებიდან მიღებული შემოსავლების სისრულე და რეალობა.

რეკომენდაცია:

კომპანიამ უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა და მოახდინოს დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოება.

► მიღება-ჩაბარების აქტების არარსებობა

- მიღება-ჩაბარების აქტები არ არის გაფორმებული კომპანიის დაფუძნებისას სანესდებო კაპიტალის შესავსებად გადმოცემულ 57,887 ათასი ლარის ღირებულების ქონებაზე, კაპიტალის შესავსებად მინიჭებულ 23,834 ათასი ლარის ღირებულების ქსელებსა და 37,009 ათასი ლარის ღირებულების ნაგებობებზე.

8 საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“, მუხლი 21. http://moe.gov.ge/files/kanonmdebloba/kanonebi_2013/8_kanoni.pdf

რეკომენდაცია:

კომპანიამ უზრუნველყოს ყველა ოპერაციის დოკუმენტურად გაფორმება, რათა შესაძლებელი იქნეს მათი რეალურობის დადასტურება.

► **პირგასამტეხლოს დაუკისრებლობის შედეგად ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები**


- მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის 73 დღით დაგვიანების გამო, მომწოდებელზე არ მოხდა 30.6 ათასი ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრება.
- მომწოდებლის მიერ კომპანიისათვის მიწოდებული ქლორის ოდენობამ, ნაცვლად ხელშეკრულებით განსაზღვრული 99 ტონისა, შეადგინა მხოლოდ 12.6 ტონა (შესაბამისად, ანაზღაურდა მოწოდებული რაოდენობა). კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულების რაიმე ცვლილება და არც მიმწოდებელს დაკისრებია პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე.

რეკომენდაცია:

კომპანიამ განახორციელოს ხელშეკრულების სათანადო, დასაბუთებული კორექტირება ცვლილების აუცილებლობისას, ხოლო სხვა შემთხვევაში მოახდინოს სათანადო რეაგირება მომწოდებლების მიერ ხელშეკრულების დარღვევაზე და დააკისროს შესაბამისი პირგასამტეხლო.

პრიორიტეტი 3: სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიმართულებით, სას-მა მოიცვა 668,489 ათასი ლარი



სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2013 წლის ფინანსური აუდიტი

► შესყიდვების პროცესთან დაკავშირებული სხვა დარღვევები

- 2013 წლის 8 თებერვალს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი 54 ერთეული მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ დღგ-ის ჩათვლით შეადგინა 1,465,000 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა და გაიმარჯვა, ხელშეკრულება გაფორმდა 1,445,040 ლარზე.
- სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების მიხედვით, მიწოდების ვადა განისაზღვრა 15 კალენდარული დღით. შემჭიდროვებულ ვადებში მიწოდების მოთხოვნა, შესაძლოა ვერ უზრუნველყოფდეს შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას, რადგან 15 კალენდარულ დღეში ამ რაოდენობის ავტომობილის იმპორტი საკმაოდ მცირე ვადაა, რის გამოც მინიმალური იქნებოდა შანსი იმისა, რომ ტენდერში მონაწილეობა მიეღო ისეთ პრეტენდენტს, რომელსაც წინასწარ უკვე შეკვეთილი არ ექნებოდა აღნიშნული ოდენობისა და სპეციფიკაციის ავტომანქანა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ტენდერი დასრულდა 2013 წლის 5 მარტს, ხელშეკრულება გაფორმდა 6 მარტს და იმავე დღეს მოხდა 44 ერთეული ავტომანქანის მიწოდება.

ა(ა)იკ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი

▶ აქტივების მართვაში არსებული სხვა დარღვევები

– სააგენტოს არ შეუნახავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შესახებ GPS სისტემის მიერ დაფიქსირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია. შესაბამისად, შეუძლებელია სანჯავის ხარჯვის მიზნობრიობის დადგენა.

▶ საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული სხვა ხარვეზები

– წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს ვის გაენია სასტუმრო და საბანკეტო მომსახურება შპს „ინტურისტ პალასში“ (ქ. ბათუმი). შესაბამისად, გაწეული ხარჯის მიზნობრიობის დადგენა შეუძლებელია.

– სააგენტოში არ არსებობს დოკუმენტი „თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაციის პროექტის“ ფარგლებში ინფორმირებულ ფერმერთა ვინაობის შესახებ. შედეგად, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს რწმუნებას პროექტის განხორციელებით მიღწეული შედეგის შესახებ.

– ქ. ბერლინში გამოფენის მოწყობის მიზნით წარმოდგენილია 2 ინვოისი, საერთო თანხით - 175,000 ევრო, რომელთაგანაც არც ხელშეკრულებაა გაფორმებული და არც მიღება-ჩაბარების აქტია შედგენილი. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოთქვას მოსაზრება აღნიშნული 364,931 ლარის ოდენობის ხარჯის რეალობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

▶ აქტივების აღრიცხვაში არსებული ხარვეზები

– 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ნაშთის სახით ერიცხება 23 ერთეული - 10.1 ათასი ლარის ღირებულების ზურგსაკიდი შესასხურებელი აპარატი, რომლებიც ნაცვლად შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონლის ანგარიშისა, აღრიცხულია ძირითადი აქტივების ანგარიშზე.

რეკომენდაცია:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აღნიშნული აქტივები აღრიცხოს შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონლის ანგარიშზე.

▶ შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევით განხორციელებული პროგრამა

– სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზების ქვეპროგრამა, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით განხორციელდა და მიღებული შედეგები არ შეესაბამება პროგრამით დასახულ მიზნებს. ამასთან პროექტის ფარგლებში გახარჯული თანხა - 79.0 ათასი ლარი, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი რისკის შემცველია.

რეკომენდაცია:

პროექტის ფარგლებში შექმნილ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებს მიეცეს რეკომენდაცია, გაატარონ ღონისძიებები „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვების მიზნით.

► **პროგრამის განხორციელებისას დარღვეული საკანონმდებლო მოთხოვნები**

- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ლაბორატორიული კვლევის პროგრამის განხორციელებისას დარღვეულია კანონმდებლობის მოთხოვნები. სარეალიზაციოდ გამოტანილი პროდუქციის ფალსიფიცირების ფაქტების გამოვლენისას, სამინისტრო შემოიფარგლა მხოლოდ რეალიზაციისაგან მიღებული ხელნერილით, რომელიც ადასტურებდა შემდგომში ფალსიფიცირებული პროდუქციით ვაჭრობისაგან თავის არიდებას.

რეკომენდაცია:

შემდგომში, ანალოგიური პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №447 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლის და ნიმუშის აღების წესის“ მოთხოვნები.

► **დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებული ხარჯი**

- სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში“ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით შესყიდულია 9.2 ათასი ლარის ღირებულების საწვავი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება აღნიშნული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების მდგომარეობა და შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი ერთობლივი შემოსავალიდან გამოქვითვას არ ექვემდებარება.

- ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრში“, „მემცენარეობის დარგში თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობისა“ და „მეცხოველეობის დარგში ხელოვნური განაყოფიერების დანერგვის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამების ფარგლებში შესყიდულია 25.0 ათასი ლარის 13,510 ლიტრი საწვავი. აღნიშნული საწვავის პროგრამის მიზნებისათვის გამოყენება დოკუმენტურად არ დასტურდება. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ გვაძლევს საშუალებას, გამოვთქვათ მოსაზრება საწვავის მიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით.

► **ხელშეკრულებაში კანონდარღვევით განხორციელებული ცვლილება**

- ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებაში კანონდარღვევით განხორციელდა ცვლილება, რის საფუძველზეც გაიზარდა საავანსო ანგარიშსწორების წესით თანხის გაცემის ზღვრული მოცულობა. შედეგად, შემსრულებელს თავდაპირველად განსაზღვრულ ავანსზე სახელშეკრულებო თანხიდან დამატებით გადაერიცხა 58.7 ათასი ლარი.

► შესყიდვებთან დაკავშირებული ხარვეზები

– ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრში“ გამოვლინდა ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას საკვალიფიკაციო მონაცემების არასამართლიანად განსაზღვრის ფაქტები. ამასთან, სატენდერო კომისიის მუშაობაში შეინიშნება საკითხებისადმი არაერთგვაროვანი მიდგომისა და სამშენებლო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვაში ფართო მასშტაბის ცვლილებების ფაქტები, რაც შესყიდვების არასათანადოდ დაგეგმვა-წარმართვაზე მიუთითებს.

► აქტივების არასათანადო მართვა

– ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრში“, აგროტექნოლოგიური ნორმების დაუცველობის შედეგად ხშირია სხვადასხვა ჯიშის ნერგების დიდი რაოდენობით გახმობის ფაქტები. წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, გამხმარია 41 832 ძირი – 38.6 ათასი ლარის ღირებულების ნერგი.


რეკომენდაცია:

დანედეს სისტემატური კონტროლი ვაზის ნერგის წარმოების შესახებ მომწოდებელთან გაფორმებული შეთანხმების შესრულების მიმდინარეობაზე.

პრიორიტეტი 4: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ეკონომიკური განვითარება


ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ეკონომიკური განვითარების მიმართულებით, სას-მა მოიცვა 104,774 ათასი ლარი

მოცვის მაჩვენებელი




- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ეკონომიკური განვითარება
- მთლიანი მოცვა

შედეგების განაწილება



- აქტივების არაპროდუქტიული და არაეფექტური განკარგვა
- შესყიდვების არამიზნობრივი განკარგვა
- საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი და არაეფექტიანი განკარგვა
- შესყიდვების არამიზნობრივი განკარგვა

რუკა: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მოცვა



ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

► მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების არასათანადო კონტროლის გამო მუნიციპალიტეტის მიერ ზედმეტად ანაზღაურებული მომსახურების ხარჯები

– მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის გზით მომწოდებლისგან შეისყიდა ბაღდათი-ვანი-დაფნარის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 960.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ იქნა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აუდიტორული შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მომწოდებელს ზედმეტად აუნაზღაურდა 24.4 ათასი ლარი.

რეკომენდაცია:

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები მომწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მუდმივი მონიტორინგის მიზნით, მათ შორის, მოახდინოს ფაქტობრივი და ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების ხარჯების შესაბამისობის დადგენა.

► მოქმედი კანონმდებლობის სანინალმდეგოდ, საკრებულოს დეპუტატებზე გაცემული პრემიები

– საკრებულოს არაანაზღაურებად დეპუტატებზე, 2012-2013 წლებში პრემიის სახით ჯამში გაიცა 13.3 ათასი ლარი. არაანაზღაურებად წევრებზე პრემიის გაცემა ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

► **არ ხორციელდება სახელშეკრულებო პირობების დარღვევისთვის შესაბამისი საჯარიმო სანქციების ბიუჯეტში მიმართვა**

- სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობისათვის მუნიციპალიტეტმა მომწოდებლებს საჯარიმო სანქციის სახით დააკისრა 186.8 ათასი ლარი, თუმცა არ განხორციელდა ქმედითი ღონისძიებები აღნიშნული თანხის ბიუჯეტში ჩასარიცხად.

რეკომენდაცია:

მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ქმედითი ღონისძიებების განხორციელება საჯარიმო სანქციის სახით დარიცხული თანხის ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღება.

გორის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

► **მუნიციპალიტეტის მიერ საწვავის არაეკონომიური განკარგვა**

- 2012-2013 წლებში გორის მუნიციპალიტეტში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირებზე გაცემულია სულ 109.5 ათასი ლიტრი საწვავი. აღნიშნული რაოდენობიდან 30.9 ათასი ლიტრი მუნიციპალიტეტის გამგეობაში გაცემულია ზღვრული ლიმიტების დაწესების გარეშე. აღნიშნული გარემოება საწვავის არაეკონომიური ხარჯვის მნიშვნელოვან რისკფაქტორს წარმოადგენს.

რეკომენდაცია:

მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ავტომანქანებისთვის საწვავის გამოყოფაზე ზღვრული ლიმიტების დაწესება და დაზოგოს საბიუჯეტო სახსრები.

► **საიჯარო ქირის გადაუხდელობითა და საურავის დაურიცხველობით ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები**

- 2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის მიუღებელი საიჯარო ქირა შეადგენდა 40.5 ათას ლარს, ხოლო 2014 წლის 1-ლი იანვრისათვის - 83.1 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი არ აღრიცხავს და არ იყენებს გადაუხდელ თანხაზე საურავის დარიცხვის მეთოდს. საურავის გათვალისწინებით, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში გადაუხდელობა საიჯარო ქირამ 200.0 ათას ლარზე მეტი შეადგინა.

რეკომენდაცია:

მუნიციპალიტეტმა გაატაროს ქმედითი ღონისძიებები არგადამხდელ მოიჯარეთა მიმართ და საიჯარო დავალიანების ამოღების მიმართულებით.

► **არ ხორციელდება სახელშეკრულებო ვადების დარღვევისთვის შესაბამისი სანქციების ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღება**

- სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობისათვის, მუნიციპალიტეტს ჯამში მომწოდებლებისთვის საჯარიმო სანქციის სახით უნდა დაერიცხა 912.0 ათასი ლარი, რაც არ განხორციელებულა.

რეკომენდაცია:

მუნიციპალიტეტმა მომწოდებლებისთვის უზრუნველყოს საჯარიმო სანქციების დარიცხვა და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარება, თანხების ბიუჯეტში მისამართად.

ოფიციალური მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

► **სოციალური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარვეზები**

- 2013 წელს სოციალური პროგრამებიდან აუთვისებულია 41.3 ათასი ლარი იმ პირობებში, როდესაც უფასო სასადილოს მომსახურების 5 პრეტენდენტს უარი ეთქვა ბენეფიციარად აღრიცხვაზე აყვანასთან დაკავშირებით, პროგრამის დაფინანსების უკმარისობის გამო (1 ბენეფიციარზე გათვალისწინებულია დღიურად 1.68 ლარი);
- მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურს არ გააჩნია იმ პირთა ელექტრონული ბაზა, რომელთაც გაენიათ ერთჯერადი დახმარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მაღალია რისკი, რომ ერთჯერადი დახმარებები ბენეფიციარებზე წლის განმავლობაში გაიცეს მრავალჯერ;
- 2012-2013 წლებში „სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის თანადაფინანსების“ პროგრამით გახარჯულია 72.0 ათასი ლარი. პროგრამა ითვალისწინებდა ა(ა)იპ „მომავლის სხივი“ მყოფი, უკიდურესად შეჭირვებული ბავშვების ორჯერადი კვებით უზრუნველყოფას. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მუნიციპალიტეტის მიერ ფაქტობრივად დაფინანსებულია „მომავლის სხივის“ თანამშრომლების შრომის ანაზღაურება და სხვა ხარჯები.

რეკომენდაცია:

აუთვისებელი ასიგნებები უფრო მეტად უნდა მოხმარდეს სოციალურად დაუცველი პირების საჭიროებებს. ასევე, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ეფექტიანი მექანიზმი ბენეფიციარებზე განეული დახმარებების დუბლიკაციის თავიდან ასაცილებლად. მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს პროგრამების განხორციელება დასახული მიზნების შესაბამისად.

► **მომსახურების შესყიდვის შედეგად მომწოდებლებზე ზედმეტად ანაზღაურებული ხარჯები**

- მუნიციპალიტეტსა და მომწოდებელს შორის გაფორმდა ხელშეკრულება 820.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ითვალისწინებდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შეასრულა ქვეკონტრაქტორმა, რომელსაც აუნაზღაურდა 779.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს 820.0 ათასი ლარის ნაცვლად, შემსრულებლისთვის ფაქტობრივი ხარჯის დოკუმენტების საფუძველზე უნდა აენაზღაურებინა 779.0 ათასი ლარი. ზემოაღნიშნულის შედეგად, *მომწოდებლისათვის ზედმეტად ანაზღაურებულია 41.0 ათასი ლარი*;

რეკომენდაცია:

მუნიციპალიტეტმა შესყიდვების განხორციელებამდე ჩაატაროს ბაზრის კვლევა, რათა თავიდან იქნეს აცილებული საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური განკარგვა.

თვითმმართველ ქალაქ ფოთის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

► **ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები**

- ქ. ფოთის საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული აქვს პარკირებისთვის განკუთვნილი ტერიტორიები - საერთო ფართობით, დაახლოებით 10 ათას კვ.მ აღნიშნულ ტერიტორიებზე ფუნქციონირებს ფასიანი პარკინგი. ქ. ფოთის მერიას ეს ადგილები არ აქვს იჯარით გაცემული და, შესაბამისად, შემოსავალს ვერ იღებს არსებული ავტოსადგომებიდან. აღნიშნული გამო, *მერიამ დაკარგა შემოსავალი, დაახლოებით წლიური 42.3 ათასი ლარის ოდენობით*.
- ქ. ფოთის ტერიტორიაზე მოძრავი სამარშრუტო ტაქსები და ავტობუსები, რომლებიც ემსახურებიან მგზავრთა შიდა გადაყვანას, 2012-2013 წლებში არ იხდიდნენ საკრებულოს მიერ განსაზღვრულ სალიცენზიო მოსაკრებელს. შედეგად, *ფოთის მერიამ ვერ მიიღო დაახლოებით 82.2 ათასი ლარის შემოსავალი*.

რეკომენდაცია:

მერიამ უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული ქონების ექსპლუატაციის შედეგად შემოსავლების ბიუჯეტში მიმართვა.

► **აქტივების არაეფექტიანი მართვა**

- 2012 წელს ქ. ფოთში დამონტაჟებული 294 ცალი მწვანე სანათის (საერთო ღირებულებით 119.7 ათასი ლარი) 80% დაზიანდა სამუშაოების დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, ტროტუარების სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას. მერიას არ ჰქონდა შემუშავებული შესაბამისი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული ზიანის თავიდან აცილებას.

რეკომენდაცია:

მერიამ უზრუნველყოს განსახორციელებელი სამუშაოების სათანადო დაგეგმვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაგეგმვის ხარვეზების შედეგად გამოწვეული ზიანი.

► საბიუჯეტო რესურსების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები

– მერიის მიერ 2012-2013 წლებში პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაზე სუბსიდიით გაცემულია 361.5 ათასი ლარი. იმ პირობებში, როდესაც ქ.ფოთი საკუთარი შემოსავლების სიმცირის გამო, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, მიზანშეწონილი არ არის პოლიციის ადგილობრივი განყოფილების ხარჯების გაწევა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ხარჯების გაწევა სახელმწიფო ბიუჯეტის პრეროგატივაა.

► მერიის მიერ მომწოდებლის საქმიანობის არასათანადო კონტროლის შედეგად მოსახლეობის მიერ დამატებითი გაწეული ფინანსური სახსრები

– 2012-2013 წლებში თვითმმართველ ქ. ფოთს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მომწოდებელთან მრავალსართულიანი სახლების ლიფტების მოვლა-პატრონობის მომსახურების გაწევის მიზნით, საერთო ღირებულებით 96.5 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ სახელშეკრულებო ღირებულება ითვალისწინებდა ლიფტების გამართულად ფუნქციონირების ხარჯებს მთელი წლის განმავლობაში. მიუხედავად აღნიშნულისა, მომწოდებელმა ქ. ფოთთან შეთანხმების გარეშე, მოსახლეობას დაუწესა ლიფტით სარგებლობის მომსახურების საფასური. ლიფტების ფასიანი მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2012-2013 წლებში შეადგინა 95.0 ათასი ლარი. შესაბამისად, ერთი და იმავე მომსახურების დაფინანსება ხორციელდება როგორც ქალაქის მერიის, ისე თავად მოსახლეობის მიერ.

რეკომენდაცია:

მერიამ ქმედითი მონიტორინგის მექანიზმის შემუშავებით, რომელიც უზრუნველყოფს მიმწოდებლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, მიაწოდოს მოსახლეობას სრულყოფილი ინფორმაცია სერვისის პირობების შესახებ. აღნიშნული გზით თავიდან იქნება აცილებული ზედმეტი ოდენობის რესურსების გადახდა.

► შესყიდვების დაგეგმვასა და განხორციელებაში არსებული ხარვეზების შედეგად საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიური განკარგვა

– ქ. ფოთის მერია, რიგ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს შესასყიდი სამუშაოების სავარაუდო ღირებულების სწორ გაანგარიშებას, რის შედეგადაც სამუშაოების შესყიდვა ხორციელდება საბაზრო ღირებულებაზე არაგონივრულად მაღალი ფასით. კონკრეტულად, რამდენიმე შემთხვევაში მერიის მიერ კონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებამ საგრძნობლად გადააჭარბა კონკრაქტორების მიერ იმავე სამუშაო შესრულების მიზნით ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებას. კონტრაქტორებსა და ქვეკონტრაქტორებს შორის დაფიქსირებულმა ჯამურმა სხვაობამ შეადგინა 432.5 ათასი ლარი.

– 2012 წელს ქ. ფოთში განხორციელდა შენობა-ნაგებობების მეტალოკრამიტით გადახურვის სამუშაოები. მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვებში 1 კვ.მ მეტალო-კრამიტის გადახურვის ღირებულებები მერყეობს 15-დან 34.7 ლარამდე. თუმცა, მიმწოდებლებმა, თავის მხრივ, აღნიშნული სამუშაოები შეასრულებინეს ქვეკონტრაქტორებს და მათთვის ანაზღაურებული თანხებიდან გამომდინარე, მეტალოკრამიტის სახურავის მონყობის საბაზრო ფასი, დაახლოებით 15-17 ლარს შეადგენს. შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის მიერ სამუშაოს შემსრულებლებზე გადახდილი 74.6 ათასი ლარი წარმოადგენს არაეკონომიურ ხარჯს.


რეკომენდაცია:

მერიამ შესაბამისმა სამსახურმა ჩაატაროს ბაზრის კვლევა, რათა ფლობდეს ინფორმაციას მომსახურების საბაზრო ფასების შესახებ და, შესაბამისად, უზრუნველყოს მომსახურების შესყიდვა მაქსიმალურად დაბალ ფასად.

პრიორიტეტი 5: ეფექტიანი სახელმწიფო მართვისა და საჯარო ფინანსების რეფორმის მხარდაჭერა


ეფექტიანი სახელმწიფო მართვისა და საჯარო ფინანსების რეფორმის მხარდაჭერის მიმართულებით, სას-მა მოიცვა 628,730 ათასი ლარი

მოცვის მაჩვენებელი



- ეფექტიანი სახელმწიფო მართვისა და საჯარო ფინანსების რეფორმის მხარდაჭერა
- მთლიანი მოცვა

შედეგების განაწილება



- შესყიდვების არამიზნობრივი განკარგვა
- შესყიდვების არაეფექტური განკარგვა
- საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი და არაეფექტიანი განკარგვა

სსიპ „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ 2011 – 2013 წლების შესაბამისობის აუდიტი

► ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარვეზები

– 2012 წლის პირველ კვარტალში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სააგენტოს გამოეყო 50.0 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფის მოთხოვნისას არ არის დასაბუთებული გაუთვალისწინებელი გადასახდელების წარმოშობის მიზეზი და დამატებით სახსრების გამოყოფის აუცილებლობა, მაშინ, როდესაც სააგენტოს ჰქონდა საკმარისი რესურსი დაგეგმილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად. საბიუჯეტო წლის პირველივე კვარტალში სააგენტომ აუთვისებლობის გამო 253.0 ათასი ლარი გადაიტანა მე-2 კვარტალში, ხოლო მე-2 კვარტალიდან მე-3 კვარტალში - 370.6 ათასი ლარი. შესაბამისად, სააგენტოს მიერ უსაფუძვლოდ არის მოთხოვნილი და შემდეგომ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 50.0 ათასი ლარი.

რეკომენდაცია:

სააგენტომ, მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოითხოვოს სარეზერვო ფონდიდან დამატებითი სახსრების გამოყოფა. ამასთანავე, საბიუჯეტო ასიგნებების აუთვისებლობის თავიდან ასაცილებლად, ბიუჯეტი დაგეგმოს საანგარიშგებო წლის საჭიროებებიდან გამომდინარე

► მომუშავეთა რიცხოვნობის დაუსაბუთებელი ზრდა

– შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა 2012 წლის ოქტომბერში გაიზარდა 5-დან 70 ერთეულამდე და შეადგინა საშტატო რიცხოვნობის 35%. 2012 წლის 16 ოქტომბრის №1874 განკარგულებით, სააგენტოზე არ გავრცელდა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეზღუდვა და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა განისაზღვრა 70 ერთეულით, აქედან, 38 პირი აყვანილია „სპეციალისტის“ თანამდებობაზე. სააგენტოს მიერ ზემოაღნიშნულ მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით არ არის განსაზღვრული თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს დეტალური აღწერა. სააგენტომ ასევე ვერ წარმოადგინა სამუშაოს აღწერის დოკუმენტები. 2012 წელს აღნიშნულ შტატგარეშე მომსახურეთა ანაზღაურებაზე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებიდან გაიხარჯა 166.8 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯის განევის მიზნობრიობა დაუსაბუთებელია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

► საბიუჯეტო რესურსების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად ზედმეტად გადახდილი სახსრები

– აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მყარი ნარჩენების მართვის პროექტის შესრულების მიზნით, 2013 წელს განხორციელებული რიგი ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ

ვერ მოხერხდა პროექტის სამუშაო ვარიანტის შემუშავება და შესაბამისად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან მიღებული სესხის აუთვისებელ ნაწილზე, ვალდებულების გადასახადის სახით გადახდილია სულ 118.6 ათასი ლარი. 2011, 2012 და 2013 წლებში, შესაბამისად, 51.0 ათასი, 34.0 ათასი და 33.6 ათასი ლარი.

რეკომენდაცია:

სამინისტრომ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მყარი ნარჩენების მართვის პროექტის განხორციელებისათვის, რათა არ გაგრძელდეს ვალდებულების გადასახადის სახით საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი გამოყენება.

► პირგასამტეხლოს დაუკისრებლობის შედეგად ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები

ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილება პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ, არ იქნა გამოყენებული, რის გამოც ვერ მოხდა 157.7 ათასი ლარის დამატებითი შემოსავლის ბიუჯეტში მიმართვა. ამასთან, საცხოვრებელი კორპუსების ექსპლუატაციაში მიღების მიუხედავად, ისინი სრულად არ გადაეცათ მობინადრეებს. სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მობინადრეთა შერჩევის გაჭიანურების შედეგად კორპუსების დაცვის მომსახურებისათვის დამატებით გაიხარჯა 51.6 ათასი ლარი.

რეკომენდაცია:

საბიუჯეტო სახსრების მაქსიმალური მობილიზებისა და რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად, სრულად იქნეს დაცული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები. ამასთანავე, დაჩქარდეს საცხოვრებელი კორპუსების მობინადრეებზე გადაცემა

► გრანტით გამოყოფილი სახსრების არაეფექტიანი განკარგვა

„აჭარის მყარი ნარჩენების“ პროექტის ფარგლებში ნაგავსაყრელის პოლიგონის მშენებლობისათვის გაფორმდა ახალი ხელშეკრულება საინჟინრო და საზედამხედველო მომსახურების შესყიდვის შესახებ. აღნიშნული მომსახურების შესყიდვა საჭირო გახდა ნაგავსაყრელის პოლიგონის მშენებლობისათვის ახალი ადგილის გამოყოფასთან დაკავშირებით და ფაქტობრივად, წინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინჟინრო-საზედამხედველო სამუშაოები გამოუსადეგარი გამოდგა, რამაც გრანტის სახით გამოყოფილი 1,009.2 ათასი ევროს არაეფექტიანი ხარჯვა გამოიწვია.

რეკომენდაცია:

უზრუნველყოფილ იქნეს პროექტის ფარგლებში საგრანტო და საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება.

► ქონების აღრიცხვისა და კონტროლის სისუსტეები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების აღრიცხვის, ფლობისა და მართვის სფეროში არასათანადო კონტროლის შედეგად, გვხვდება ქონების არამართლზომიერი გა-

მოყენებისა და არასრული აღრიცხვის ფაქტები. ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ვერ ხერხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 238.0 ათასი ლარის ღირებულების ქონების ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენა, რაც აღნიშნული ქონების მითვისების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი რისკის შემცველია.

რეკომენდაცია:

სრულად აღირიცხოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონება და დაწესდეს კონტროლი მისი მართლზომიერი გამოყენების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სარგებლობაში გადაცემული ქონების დაცვისა და გამოყენების მდგომარეობას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური აუდიტი

▶ აქტივების აღრიცხვაში არსებული ხარვეზები

– ბალანსის საცნობარო მუხლში - „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“, აღრიცხული იყო 1,642.9 ათასი ლარის აქტივების დანაკლისები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენდა სამინისტროზე შემდგომი განკარგვის მიზნით გადმოცემულ, რიგი ორგანიზაციების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, მათ ბალანსზე რიცხულ საომარი მოქმედებების შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიაზე (ზემო აფხაზეთში) დარჩენილ და სხვა დაკარგულ (დატაცებულ) ქონებას. ზემოაღნიშნული აქტივების დანაკლისის თანხების არსებული აღრიცხვა ვერ უზრუნველყოფდა ბიუჯეტის ბალანსის აღრიცხვის უტყუარობას, ვინაიდან შესაბამის მუხლში უნდა აღრიცხულიყო ორგანიზაციის მიერ დროებით, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობანი, ხოლო 1,642.9 ათასი ლარის დანაკლისები უნდა აღრიცხულიყო შესაბამის საბუღალტრო ანგარიშზე და საბალანსო მუხლში - „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“;


– სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება ვერ ასახავდა ასევე რეალურ მდგომარეობას სამინისტროს კუთვნილი ავტომანქანების რაოდენობასა და ღირებულებებთან დაკავშირებით, ვინაიდან სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსში ერთობლივად იყო აღრიცხული, როგორც სამინისტროს აპარატის კუთვნილი ექსპლუატაციაში მყოფი 3 ერთეული ავტომანქანა, საბალანსო ღირებულებით - 26.6 ათასი ლარი, ასევე მხარჯავი დაწესებულებებიდან გადმოცემული - საპრივატიზაციო რეჟიმში მყოფი 7 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, საბალანსო ღირებულებით - 8.3 ათასი ლარი. შედეგად, სამინისტროს 2013 წლის ბოლოს, ბალანსის მუხლი - „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“, არასწორად ჰქონდა გაზრდილი 8.3 ათასი ლარით.

რეკომენდაცია:

არაფინანსური აქტივების აღრიცხვა სამინისტრომ უნდა განახორციელოს მოქმედი წესის შესაბამისად და უზრუნველყოს შესაბამისი საბუღალტრო გატარებების კორექტირება.

პრიორიტეტი 6: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სისტემა

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სისტემის მიმართულებით, სას-მა მოიცვა 45,171 ათასი ლარი



ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის 2010-2012 წლების შესაბამისობის აუდიტი

► საბიუჯეტო რესურსების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად ზედმეტად გადახდილი სახსრები

– ფსიქიატრიული დაწესებულებების მიერ ხდებოდა არაპირდაპირი ხარვეზების (ადმინისტრაციის ხელფასი, სხვა დანარჩენი ხარჯი) დაუსაბუთებელი მიკუთვნება მწვავე სტაციონარული მომსახურების კომპონენტზე. შედეგად, 2011-2012 წლებში ბიუჯეტიდან ზედმეტად ანაზღაურდა 242.6 ათასი ლარი;

– 2010-2011 წლებში სს „მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის“ მიერ შპს „№5 საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანებისათვის“ მომწოდებლისადმი „ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა ერთი და იმავე მომსახურების ანაზღაურების დუბლირება. ზედმეტად ანაზღაურებულია 10.8 ათასი ლარი.

რეკომენდაცია:

საბიუჯეტო პროგრამული თანხების არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია სოციალური მომსახურების სააგენტომ ჯეროვნად მოახდინოს ფსიქიატრიული დაწესებულებების მიერ წარდგენილი ხარჯების ანალიზი თითოეული კომპონენტის მიხედვით.

► **შესყიდვების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად ზედმეტად გადახდილი სახსრები**


– დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული დანყვეტილების შედეგად სს „მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტმა“ 2010-2011 წლებში მედიკამენტების შესყიდვა განახორციელა ფასთა კოტირებისა და ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, რის გამოც მოცემულ პერიოდში იდენტური დასახელების მედიკამენტების შესყიდვაზე 2012 წელთან შედარებით (როდესაც შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით) *ზედმეტად გადახდილმა თანხამ შეადგინა 69.0 ათასი ლარი.*

რეკომენდაცია:

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრმა“ და შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრმა“ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში შესყიდვის საშუალებების შერჩევის დროს უნდა მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილება. დასაბუთების ვალდებულება განპირობებულია სახელმწიფო საწარმოების საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით. დასაბუთებაში უნდა აღინიშნოს შეხედულებები, რომელთაც სახელმწიფო საწარმო დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს.

პრიორიტეტი 7: განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერა

განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერის მიმართულებით, სას-მა მოიცვა 146,398 ათასი ლარი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი

► სახელფასო დანამატისა და პრემიის გაცემის მატერიალური მტკიცებულებების არარსებობა

არ არსებობს უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე ზეგანაკვეთური სამუშაოს და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციის შესრულებისთვის სახელფასო დანამატის (986.3 ათასი ლარი) და პრემიის (325.9 ათასი ლარი) გაცემის მატერიალური მტკიცებულებები, შესაბამისად, ვერ დასტურდება ზედმეტად გაცემული თანხის საფუძვლიანობა და მართლზომიერება.

რეკომენდაციები:

შემუშავდეს ფუნქციური სახელფასო დანამატის გაცემის სახელმძღვანელო, რითაც განისაზღვრება ზეგანაკვეთური სამუშაოს აღრიცხვისა და ანაზღაურების წესი;

შემუშავდეს განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის/სამსახურებრივი ფუნქციების წარმატებით შესრულების შეფასების ინდიკატორების სისტემა;

პრემიების დარიცხვა მოხდეს არგუმენტირებული მატერიალური საფუძვლების გათვალისწინებით;

აკადემიური პერსონალის მიერ საკონსულტაციო საათების აღრიცხვისა და მისი რეალობის დადგენის მიზნით, შემუშავდეს საიმედო და ეფექტიანო კონტროლის მექანიზმი;

შემუშავებული იქნეს კრიტერიუმების სისტემა, რომელთა მიხედვით შეფასდება აკადემიური პერსონალის მიერ გაწეული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

► სწავლების ხარისხის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები

– უნივერსიტეტი არ ახდენს შრომის ბაზრისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების არეალის ანალიზს, რის შედეგებსაც უნდა ეფუძნებოდეს ფაკულტეტების პრიორიტეტულობისა და თითოეულ ფაკულტეტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრა. ამასთან, ხშირ შემთხვევებში, სახელმძღვანელო ლიტერატურა მოძველებულია, ხოლო მისი ავტორი და საგნის ლექტორი ერთი და იგივე პიროვნებაა.

რეკომენდაციები:

გაუმჯობესდეს არსებული სასწავლო პროგრამები, კურიკულუმები და სილაბუსები. განახლდეს სასწავლო ლიტერატურა, დარგის უახლესი მიღწევებისა და საერთაშორისო აღიარების გათვალისწინებით;

ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა რეგულარულად ჩაატაროს კვლევები, გამოკითხვები და მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობა, სასწავლო პროცესის სუსტი და ძლიერი მხარეები;

გაუმჯობესდეს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, რათა სტუდენტებს მიეცეთ საშუალება, მიიღონ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლება.

► საბიუჯეტო სახსრების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად ზედმეტად გადახდილი თანხები

– უნივერსიტეტის მიერ ზედმეტად მიღებულმა სახელმწიფო სასწავლო/სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხამ შეადგინა 74.0 ათასი ლარი.


რეკომენდაცია:

გონივრული პერიოდულობით განხორციელდეს კომუნიკაცია უნივერსიტეტსა და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის, რათა გაუმჯობესდეს კონტროლის გარემო და მინიმუმამდე იქნეს შემცირებული სასწავლო/სასწავლო სამაგისტრო გრანტების არასწორად ჩარიცხვის რისკი;

- უნივერსიტეტმა უზრუნველყოს არასწორად ჩარიცხული სასწავლო/სამაგისტრო გრანტის თანხის კორექტირება/უკან დაბრუნება.

პრიორიტეტი 8: კულტურისა და სპორტის პროგრამების მართვა

კულტურისა და სპორტის პროგრამების მართვის მიმართულებით, სას-მა მოიცვა 197,971 ათასი ლარი



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2011-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

► მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები


- 2011-2012 წლებში სამინისტროსთვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფეხბურთის მოედნების მშენებლობის მიზნით გამოყოფილი თანხებიდან ფოთის, გორის, ქობულეთის, დუშეთის, თელავისა და სამტრედიის სტადიონებზე ჩატარებული სამუშაოები 392.4 ათასი ლარით ნაკლებია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ღირებულებაზე. აღსანიშნავია, რომ აუდიტის ანგარიშის საფუძველზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ სტადიონების მშენებლობაზე ზედმეტად დახარჯული თანხებიდან ბიუჯეტში დაბრუნებულ იქნა 369.6 ათასი ლარი. ბიუჯეტში დასაბრუნებელმა თანხამ შეადგინა 22.8 ათასი ლარი.

რეკომენდაცია:

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ხარჯების ანაზღაურება, მხოლოდ რეალურად ჩატარებული სამუშაოების შესაბამისად. სამინისტრომ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ბიუჯეტში თანხების დასაბრუნებლად.

პრიორიტეტი 9: სამართალდამცავი უწყებების განვითარების მხარდაჭერა

სამართალდამცავი უწყებების განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით, სას-მა მოიცვა 93,573 ათასი ლარი



იუსტიციის სამინისტროს აპარატის 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი

► სსიპ - სტრატეგიული განვითარების სააგენტოს შექმნითა და ლიკვიდაციით საბიუჯეტო რესურსების არაპროდუქტიული განკარგვა

— საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით 2012 წლის 19 აპრილს შეიქმნა სსიპ - სტრატეგიული განვითარების სააგენტო, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და იუსტიციის სამინისტროების მიერ განსაზღვრული ცალკეული ტურისტული, საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება სამინისტროს პრიორიტეტს არ წარმოადგენდა. შესაბამისად, წლის ბიუჯეტის კანონში აღნიშნული პროგრამული კოდი გათვალისწინებული არ ყოფილა. სააგენტოს ფინანსური უზრუნველ-

ყოფის მიზნით, სამინისტროს ბიუჯეტის პროგრამულ კლასიფიკაციაში დაემატა პროგრამული კოდი და მთავარი პროკურატურის ასიგნებებიდან, სააგენტოს პროგრამულ კოდზე 205.7 ათასი ლარი იქნა გადატანილი. აღნიშნული თანხა დაზუსტების შედეგად შემცირდა 141.7 ათას ლარამდე, საიდანაც 140.2 ათასი ლარი (81.4%) გაიხარჯა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით. გარდა ამისა, სსიპ - სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების პერიოდში, ქალაქ ლაზიკას პროექტთან დაკავშირებით, იურიდიული მომსახურებისთვის კომპანია - Dechert Georgia LLC-ს 2012 წლის 19 დეკემბერს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სამინისტროს აპარატის ასიგნებებიდან გადაერიცხა 214.0 ათასი ლარი. სააგენტო ლიკვიდირებულ იქნა 2012 წლის 14 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. შესაბამისად, სსიპ - სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ფუნქციონირებისათვის არაპროდუქტიულად გაიხარჯა 354.2 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრები.

რეკომენდაცია:

სამინისტრომ საბიუჯეტო სახსრები მიმართოს პრიორიტეტული ღონისძიებების დასაფინანსებლად, რათა თავიდან იქნეს აცილებული საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიული განკარგვა.

► იუსტიციის სახლების მშენებლობებთან დაკავშირებული დაგეგმვისა და შესრულების ხარვეზები

— იუსტიციის სამინისტროს პრიორიტეტების ფარგლებში კაპიტალური პროექტის მიზანი იყო 9 იუსტიციის სახლის ფილიალის სამშენებლო-საპროექტო სამუშაოების შესრულება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, მათი საოფისე ტექნიკითა და ინვენტარით უზრუნველყოფა. იუსტიციის სახლების სამშენებლო სამუშაოების დასრულება დაგეგმილი იყო 2012 წლის ბოლოსთვის. აღნიშნული პერიოდისთვის სამშენებლო სამუშაოები ნაწილობრივ განხორციელდა ფოთისა და ხაშურის იუსტიციის სახლებზე, ხოლო ახალქალაქისა და ბოლნისის იუსტიციის სახლების მშენებლობებისათვის სამუშაოები საერთოდ არ განეულა. განუხორციელებელი პროექტების სანაცვლოდ, დაფინანსდა ლაგოდეხის, წყალტუბოს, ჭიათურის, მცხეთისა და ლაზიკის გეგმით გაუთვალისწინებელი სამშენებლო სამუშაოები, სულ 10,768.2 ათასი ლარის ოდენობით. ზემოხსენებული სახლებიც 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამინისტროს ბალანსზე ირიცხება, ორ საბალანსო ანგარიშზე, როგორც შენობა/ნაგებობები და დაუმთავრებელი აქტივები. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომ იუსტიციის სახლების მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება რეგულირდებოდა მთავრობის განკარგულებებით, ვადებისა და მოცულობების მითითების გარეშე. შესაბამისად, მთავრობის მიერ გამოცემული 8 განკარგულებიდან მხოლოდ 4 განკარგულებაშია მოცემული ასაშენებელი იუსტიციის სახლის ფილიალის დასახელება (თბილისი, ფოთი, ზუგდიდი, ბათუმი, ქუთაისი, დაბა მესტია)⁹. ხოლო სხვა შემთხვევებში დაუსაბუთებელია საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მიზანი.

9 თბილისი, ფოთი, ზუგდიდი - მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №467 განკარგულება; დაბა მესტია - მთავრობის 2011 წლის 11 მარტის №560 განკარგულება; ქ. ქუთაისი - მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №14 განკარგულება; ქ. ბათუმი - მთავრობის 2011 წლის 24 მაისის №1108 განკარგულება.

რეკომენდაცია:

სამინისტრომ საბიუჯეტო სახსრების მიმართვა განხორციელოს პრიორიტეტული პროექტების განხორციელებლად, მხოლოდ დასაბუთებული სამართლებრივი აქტების საფუძველზე. სამინისტრომ უზრუნველყოს სამშენებლო-საპროექტო სამუშაოების დროული განხორციელება.

► **ავტომანქანების ჩანაცვლებით საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიური განკარგვა**

– 2011-2012 წლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდა ავტომანქანების ჩანაცვლება, რადგან აღნიშნული ჩანაცვლება მოხდა შუამავალი კომპანიის საშუალებით. შედეგად, სამინისტროს მიერ არაეკონომიურად გახარჯულია 59.4 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ვაჭრობისას (კონკურენციის პირობებში) შესაძლებელი იქნებოდა ტენდერში უპირატესობის მოსაპოვებლად პრეტენდენტების მიერ ფასების დაწევით ეკონომიის მიღწევა. ასევე, ექსპერტის მიერ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად შეფასებული ჩანაცვლებული ავტომანქანების რეალიზაციით მიმწოდებელმა კომპანიამ მიიღო 16.2 ათასი ლარის მოგება.

რეკომენდაცია:

იუსტიციის სამინისტროს აპარატმა უზრუნველყოს ელექტრონული ვაჭრობის ჩატარების საფუძველზე საბიუჯეტო რესურსების დაზოგვა.

► **საბიუჯეტო სახსრების კომერციული ბანკის ანგარიშზე გადატანის შედეგად რესურსების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები**

– 2011 წლის 30 დეკემბერს, იუსტიციის სახლების დაფინანსების მიზნით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ და სსიპ -სამოქალაქო რეესტრის სააგენტოებს გამოეყო 30 მლნ ლარი (თანაბარნილად 15 მლნ ლარი). აღნიშნული თანხები, თითოეულ სსიპ-ს ჩაერიცხა კომერციულ ბანკში გახსნილ კუთვნილ ანგარიშებზე, რაც აისახა მათ საკუთარ შემოსავლებში. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ვერ იქნება წარდგენილი და პროცენტების კაპიტალიზაციიდან მიღებული შემოსავალიც დაუსაბუთებელია. შედეგად, სსიპ - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2011 წლის ფაქტობრივი შემოსავალი შეადგენდა არა 73.8 ათას ლარს, არამედ 58.8 ათას ლარს, ხოლო სსიპ - საჯარო რეესტრის სააგენტოს ფაქტობრივი შემოსავალი 41.1 ათასი ლარის ნაცვლად შეადგენდა 26.1 ათას ლარს. 2011 წლის ბოლოს, სამინისტროსთვის აღნიშნული თანხის -30 მლნ ლარის, მობილიზება შესაძლებელი გახდა სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულების აუთსისებელი თანხების რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში გადატანით. სანაცვლოდ, 2012 წელს სამინისტროს ზემოაღნიშნული სსიპ-ებისთვის იმავე მიზნებისათვის დამტკიცებული ასიგნებებიდან, 22 თებერვალს განხორციელდა 25 მლნ ლარის აღდგენა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში. შედეგად, სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღო არა 30 მლნ ლარი, არამედ 35 მლნ ლარი.

რეკომენდაცია:

იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საბიუჯეტო სისტემის ყოვლისმომცველობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ძირითადი პრინციპების დაცვა, რათა საბიუჯეტო სახსრები გაიხარჯოს გამჭვირვალედ, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად განკარგვას.

► **შავ სიაში რეგისტრირებულ მენარმესთან გაფორმებული კონტრაქტის შედეგად ზედმეტად გადახდილი სახსრები**

– სამინისტროს მიერ 2011 წელს შავ სიაში რეგისტრირებულ მენარმესთან გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმდა ხელშეკრულება, პროკურატურის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-დასუფთავების მომსახურებისათვის. ხელშეკრულების თანახმად, საშუალო თვიური ღირებულება განისაზღვრა 9.3 ათასი ლარით. იგივე მომსახურება 2012 წელს სამინისტრომ შეიძინა ტენდერის ფორმით და ამ შემთხვევაში მომსახურების საშუალო თვიური ღირებულება განისაზღვრა 5.4 ათასი ლარით. შესაბამისად, შესყიდვის გამარტივებული ფორმა 74%-ით აღემატებოდა სატენდერო ვაჭრობის შედეგად განსაზღვრულ ფასს.

რეკომენდაცია:

იუსტიციის სამინისტრომ სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს კანონმდებლობის სრული დაცვით, რათა თავიდან იქნეს აცილებული შავ სიაში დარეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირებთან ხელშეკრულების გაფორმება, რაც ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების რისკს წარმოქმნის.

► **აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები**

– სამინისტროს მიერ იუსტიციის სახლების მშენებლობის პერიოდში, 7 იუსტიციის სახლის შემთხვევაში, ერთი და იგივე იუსტიციის სახლი, სხვადასხვა განმახორციელებლის მიერ ნაწილი აღრიცხულია როგორც დამთავრებული შენობა/ნაგებობა და ნაწილი - როგორც დაუმთავრებელი აქტივი. ხშირ შემთხვევაში კონკრეტული იუსტიციის სახლის ფილიალის მშენებლობაში მონაწილეობდა სამინისტროს სისტემის 2-4 სუბიექტი (თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში დამფინანსებელი ასევე სამინისტროს სისტემის გარეთ არსებული ორგანიზაციებიც იყვნენ), რაც იწვევს იუსტიციის სახლების აღრიცხვიანობის, ექსპლუატაციაში მიღებისა და უძრავი ქონების სახელმწიფო რეგისტრაციის საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს. 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, იუსტიციის სახლების უმრავლესობა არ არის დარეგისტრირებული როგორც სახელმწიფო ქონება და არ არის გადაწყვეტილი სარგებლობის უფლების მოსარგებლეზე გადაცემის საკითხი.

რეკომენდაცია:

იუსტიციის სამინისტრომ დაიცვას საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილება „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“.

1.4 საჯარო ფინანსების მართვაში არსებული სისტემური ხარვეზები და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული და საექსპერტოანალიტიკური საქმიანობების განხორციელებისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არა მარტო ცალკეული უწყებების, არამედ საჯარო მმართველობის ერთიანი სისტემის გაუმჯობესებას.

საჯარო ფინანსების მართვის პროცესში გამოვლენილ სისტემური ხასიათის პრობლემებსა და მათ გამოსასწორებლად გასატარებელ ღონისძიებებს სამსახური შეჯამებულად წარუდგენს პარლამენტს თავის ანგარიშებში:

- **მოხსენება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ** საქართველოს მთავრობის წლიური ანგარიშის თაობაზე;
- **დასკვნა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე** და მოხსენება მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

2014 წელს განხორციელებული აუდიტორული და ანალიტიკური საქმიანობების შედეგად, საჯარო ფინანსების მართვაში გამოვლენილი სისტემური ხასიათის ხარვეზები და მათ გამოსასწორებლად გაცემული რეკომენდაციები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

მოხსენება 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზე მოხსენების მომზადებით მიზნად ისახავს, შეაფასოს საქართველოს მთავრობის ანგარიშში წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის სიზუსტე და სისრულე. საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მოხსენებაში ასევე წარმოდგენილია მნიშვნელოვანი საკითხები სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის, ბიუჯეტის მომზადებისა და დამტკიცების, რესურსების მართვის, პროგრამული ბიუჯეტის, საჯარო სექტორში ინფორმაციული სისტემებისა და აღრიცხვა-ანგარიშების მიმართულებით. შედეგად, აღნიშნული მოხსენების ფარგლებში, საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში გამოვლენილ იქნა 65 სისტემური ხასიათის ხარვეზი და გაცემულ იქნა 44 რეკომენდაცია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ყურადღება იქნა გამახვილებული ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა:

► **მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელთან მიმართებაში ჩამორჩენით ხასიათდება.** ნომინალურ გამოხატულებაში ყველაზე მასშტაბური შეუსრულებლობით ხასიათდება მოგების გადასახადი, რომელიც ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელს 83 მლნ ლარით ჩამორჩა. მოგების გადასახადის მობილიზებასთან დაკავშირებულ შესაძლო სირთულეებზე, ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე.

► **„დივიდენდების“ მუხლით შემოსავლების დაგეგმვასა და მობილიზებასთან დაკავშირებით შეინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები.** 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მისამართი დივიდენდების წლიური გეგმა 55 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა, მაშინ როცა ფაქტობრივმა შესრულებამ მხოლოდ 219 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის 0.4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს, სახელმწიფო ნილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის სხდომა არ ჩატარებულა, ხოლო გასულ წელს, აღნიშნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებების შესრულება მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება.

► **2014 წლის დასასრულს შეინიშნებოდა ბიუჯეტიდან განეული გადასახდელების მკვეთრი ზრდის ტენდენცია.** დეკემბრის თვეში განეული გადასახდელების ჯამური მოცულობა 11 თვის საშუალო თვიური მაჩვენებლის 183%-ს შეადგენს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, წლის ბოლოსათვის აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების მასშტაბური ხარჯვა ქმნის რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკს.

► **მხარჯავი დანესებულებების დონეზე არსებითი ხასიათის ხარვეზები შეინიშნება ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესისა და შესყიდვების მართვის კუთხით.** წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საბიუჯეტო ორგანიზაციების პროგრამებს/ ქვეპროგრამებს შორის ასიგნებების მასშტაბური და ხშირი გადანაწილებები. ასევე, საბიუჯეტო ორგანიზაციის ასიგნებებში განხორციელებული ცვლილებებით შემცირდა ცალკეული პროგრამებისათვის გათვალისწინებული სახსრები და მათი მიმართვა სხვა პროგრამებზე, თუმცა უწყების მხრიდან ვერ საბუთდება აღნიშნული გადანაწილების აუცილებლობა და მისი უპირატესობა ასიგნების გადანაწილების არსებულ ფორმატთან მიმართებაში. შესყიდვების დამტკიცებულ გეგმებში ხორციელდებოდა ხშირი და მასშტაბური ცვლილებები; მხარჯავი უწყებების მიერ სათანადოდ არ ტარდებოდა ბაზრის წინასწარი კვლევა; ტენდერი ცხადდებოდა ისეთ საქონელზე, რომლის შესყიდვის საჭიროება, ტენდერის შემდგომი პროცედურების გათვალისწინებით, უწყების წინაშე არ იდგა; საბიუჯეტო ორგანიზაციების სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციაში არსებული ხარვეზები ან/და საჭიროების დაგვიანებით განსაზღვრა, ხდებოდა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით შესყიდვების გამარტივებული ფორმით განხორციელების მიზეზი, რამდენადაც დროში იზღუდება ელექტრონული ტენდერის პროცედურების ჩატარება.

► **ხარვეზები შეინიშნება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან განეული დანახარჯების მიმართულებით.** მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საბიუჯეტო სახსრები მიიმართებოდა ცალკეული მხარჯავი დანესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ან ცალკეული მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად, სრულყოფილი

დასაბუთების გარეშე, რაც ეჭვქვეშ აყენებს აღნიშნული ხარჯების სარეზერვო ფონდის რესურსით დაფინანსების აუცილებლობას. ასევე, აღსანიშნავია, რომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მუნიციპალიტეტებს შორის ალოკაცია არათანაბარზომიერებით ხასიათდება. ხარვეზები შეინიშნება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების შერჩევის, დაგეგმვის, განხორციელებისა თუ მონიტორინგის ეტაპებზე, რაც პროექტების დაგვიანებით და ხარვეზებით შესრულების უმთავრეს განმაპირობებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.

▶ **საგარეო წყაროებიდან მიღებული სესხის აუთენტიკურ ნაწილზე ხორციელდება ვალდებულების გადასახადის გადახდა.** საგარეო საკრედიტო რესურსით დაფინანსებული გარკვეული პროექტების ფარგლებში შეფერხებებით მიმდინარეობდა დაგეგმილი თანხების ხარჯვა და შესაბამისად, პროექტების განხორციელება. შედეგად, სესხის აუთენტიკურ ნაწილზე ბიუჯეტიდან განეულ იქნა სესხის მომსახურებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები, ვალდებულების გადასახადის სახით.

▶ **მხარჯავი დაწესებულებების დონეზე რიგი ხარვეზები შეინიშნება აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით.** ხშირია ფინანსურ ანგარიშგებებში „ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების“ მუხლის არასწორად აღრიცხვის შემთხვევები; სამინისტროების ნაერთ ბალანსში აღრიცხული დებიტორულ/კრედიტორული დავალიანებების დიდი ნაწილი ხანდაზმული დავალიანებებია, რომელთა იდენტიფიცირება ან ვერ ხერხდება, ან დაბრუნებას არ ექვემდებარება, მათი ჩამოწერა კი ფერხდება, რადგან ხშირად უწყებების მიერ არ ტარდება მოთხოვნების/ვალდებულებების ინვენტარიზაცია; ასევე, შეინიშნება სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ უწყებებს შორის წარმოშობილი დავალიანებების ცალმხრივად აღრიცხვის შემთხვევები.

▶ **პროგრამული ფორმატით წარმოდგენილი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში არსებითი ხარვეზებით ხასიათდება.** რიგ შემთხვევებში ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, პროგრამულ დანართში წარმოდგენილი პროგრამების/ქვეპროგრამების შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები არ შეესაბამება პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, ხოლო ანგარიშგების ეტაპზე მხარჯავი დაწესებულებების მიერ პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულების შესახებ ინფორმაცია არასრულყოფილი სახით არის წარმოდგენილი.

▶ **საჯარო სექტორში ინფორმაციული სისტემების მართვის მიმართულებით გამოვლენილ იქნა სისტემური ხასიათის ხარვეზები.** აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს 39 კრიტიკული ინფორმაციული სისტემიდან, მხოლოდ 8%-ში მიმდინარეობს აქტიური პროცესები ინფორმაციული უსაფრთხოების საკანონმდლო მოთხოვნების შესასრულებლად. ამასთანავე, განსაკუთრებით საყურადღებოა, კრიტიკულ ინფორმაციულ სისტემებში სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების კონტროლის აქტიური მექანიზმების დანერგვის საჭიროება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ინფორმაციული აქტივებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვა.

დასკვნა 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტზე (როგორც პირველ, ისე საბოლოო ვარიანტებზე)

სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამზადებს დასკვნას¹⁰ მთავრობის მიერ წარმოდგენილი მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონ-

10 დასკვნა მომზადებულია მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტით - „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით.

პროექტით გათვალისწინებული გადასახდელებისა და შემოსულობების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ვალდებულების შესასრულებლად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ეყრდნობა შემდეგ კრიტერიუმებს:

- უზრუნველყოფს თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომელთაც ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე, ამავე დროს, საფუძვლიანი და კანონიერი, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია სათანადოდ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად, ხოლო ყველა არსებითი დაშვება, ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში გამოვლინდა 24 სისტემური ხასიათის ხარვეზი, რომლებზეც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა 16 რეკომენდაცია. დასკვნაში ხაზგასმულ იქნა შემდეგი ძირითადი გარემოებები:

► **მაკროეკონომიკური პროგნოზების რეალურობა.** მაკროეკონომიკურ დაშვებებზე/პროგნოზებზე დაყრდნობით ყალიბდება ქვეყნის საშუალოვადიანი ფისკალური გეგმა და შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის ძირითადი პარამეტრები. „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტზე თანდართული „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით“ (BDD) მოცემული მაკროეკონომიკური პროგნოზები, მიმდინარე წლის ტენდენციებისა და ალტერნატიული წყაროების საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, რეალისტურად შეიძლება შეფასდეს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მაკროეკონომიკური ინდიკატორის პროგნოზი განსხვავდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული პროგნოზებისაგან და რიგ შემთხვევებში, დამატებით დასაბუთებას საჭიროებს.

► **„ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის“ დოკუმენტი.** 2015 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტთან ერთად წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ, რაც გულისხმობს ალტერნატიული მაკროეკონომიკური სცენარებისა და მათი ბიუჯეტის პარამეტრებზე შესაძლო გავლენის ანალიზსა და მიმოხილვას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, წარმოდგენილი ინფორმაციის სრულყოფისათვის მიზანშეწონილია, მოცემული დოკუმენტი მოიცავდეს ალტერნატიული სცენარების შესაბამისი მაკროეკონომიკური დაშვებების საფუძვლიანობის ანალიზსაც.

► **საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების რეალისტურობა.** გასული სამი წლის 8 თვის შესრულების ნილობრივი მაჩვენებლების, მიმდინარე წლის 8 თვის ტენდენციებისა (ექსტრაპოლაციის მეთოდზე) და წარმოდგენილი მაკროეკონომიკური დაშვებების გათვალისწინებით, 2015 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული ცალკეული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დამატებით დასაბუთებას საჭიროებს.

- ▶ **პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების ოდენობის ზრდა ან იმავე მოცულობით შენარჩუნება დაბალი ათვისების პირობებში.** ცალკეული პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის, რომლებიც მიმდინარე საბიუჯეტო წლის 8 თვის განმავლობაში ათვისების დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა, 2015 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებულია ასიგნებების მოცულობის ზრდა ან იმავე დონეზე შენარჩუნება. რიგ შემთხვევებში, სხვაობა მიმდინარე წლის ათვისების ტენდენციასა და მომავალი წლის გეგმას შორის, შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მთავრობის პრიორიტეტებს ან სტრუქტურულ ცვლილებებსა და დისკრეციულ გადაწყვეტილებებთან, თუმცა 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვისას, სხვა მიზეზებთან ერთად მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს მიმდინარე წლის შესრულების ტენდენციები და მათთან დაკავშირებული ხარვეზები, რათა თავიდან იქნეს აცილებული წლის განმავლობაში გეგმების ხშირი კორექტირებები და უზრუნველყოფილ იქნეს ათვისების შესაბამისობა განსაზღვრულ გეგმასთან.
- ▶ **პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების ოდენობის უსაფუძვლო ზრდა.** 2015 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტით წარმოდგენილი ცალკეული ქვეპროგრამებისათვის განსაზღვრულ იქნა ასიგნებების მნიშვნელოვანი ზრდა 2014 წელთან შედარებით, თუმცა გაურკვეველია რის საფუძველზე იგეგმება აღნიშნული ზრდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ კანონპროექტის პროგრამული დანართით წარმოდგენილი ქვეპროგრამების მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები, გასული წლის იდენტურია.
- ▶ **პროგრამულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული ხარვეზები.** საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების, ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადების დანერგვის პროცესთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში მოცემულია 2015 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართის ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი პროგრამულ ფორმატში უკვე მეოთხე წელია მზადდება, პროგრამულ დანართში კვლავ შეინიშნება მნიშვნელოვანი ხასიათის ხარვეზები პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების ფორმირებისას, რაც ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგების ეტაპზე დასახული შედეგების შესრულების შეფასებას ართულებს. ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, დასკვნაში მოცემულია რეკომენდაციები არსებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის“ გაუმჯობესების მიმართულებით.

1.5 აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა


აუდიტორული საქმიანობის შედეგად სახელმწიფო აუდიტის სამსახური, გარდა დარღვევებისა და ხარვეზების გამოვლენისა, ამზადებს რეკომენდაციებს სახელმწიფო მმართველობის გასაუმჯობესებლად და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური და ეფექტიანი მართვის მისაღწევად.

ბოლო 3 წლის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაიცა 745 რეკომენდაცია. 2012-2014 წლებში რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი, აუდიტის ობიექტების წერილობითი პასუხის მიხედვით, 28%-ს შეადგენს, ხოლო რეაგირების მაჩვენებელი - 69%-ს.

რეკომენდაციების შესრულების დაბალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის კვლავ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს აუდირებული ობიექტების მხრიდან რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის ზრდა. ამ მიმართულებით სასაგებმავს როგორც რეკომენდაციების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე აღნიშნულ პროცესში პარლამენტის როლის გაზრდას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაციები მიმართულია შემდეგი სახის დარღვევების გამოსასწორებლად: შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები, აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები, ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები და სხვ. (იხ. დიაგრამა)

2014 წელს გაცემული რეკომენდაციები



ექსპერტულ-ანალიტიკური საქმიანობა

აუდიტორული საქმიანობის გარდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს პარლამენტსა და აღმასრულებელ ორგანოს აწვდის რეკომენდაციებსა და რჩევებს ნორმატიული აქტების შესახებ, სახელმწიფო პროგრამების, საჯარო ფინანსების მართვის სისტემის რეფორმასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. ამასთანავე, ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობით, სას ხელს უწყობს კორუფციისაგან თავისუფალი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებას.

სას საჯარო ფინანსების მართვაში მიმდინარე რეფორმების ფარგლებში უზრუნველყოფს პარლამენტის მხარდაჭერას მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესებაში. ამ მიმართულებით, 2014 წელს სამსახურმა საკანონმდებლო და საერთაშორისო პროფესიული სტანდარტების შესაბამისად გასცა **29 რეკომენდაცია**, რომელთაგან გათვალისწინებულია - 8.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მონაწილეობს საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების მაკოორდინირებელი ორგანიზაციებისა და 3 პროფესიული საბჭოს¹¹ საქმიანობაში. სასმა 2014 წელს მაკოორდინირებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში **მოამზადა 10 ანგარიში**:

- სახელმწიფო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს წარუდგინა 2 სამოქმედო გეგმა და შესრულების 2 ანგარიში;
- ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების სამოქმედო გეგმა და შესრულების 2 ანგარიში;
- ეროვნულ ანტიკორუფციულ საბჭოს წარუდგინა 2015-2016 წლების სტრატეგიული გეგმა და 2010-2013 წლების შესრულების ანგარიში;
- ევროკავშირის დელეგაციას წარუდგინა შუალედური ანგარიში „სახელმწიფო ფინანსების პოლიტიკის რეფორმის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში პირველი ტრანშის გამოყოფასთან დაკავშირებით პირობების შესრულებაზე.

2.1 ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წვლილი

წარმომადგენლობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში

2008 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახური წარმოდგენილია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში.

ანტიკორუფციული პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახური თანამშრომ-

¹¹ სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის საკოორდინაციო საბჭო, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭო, ეროვნული ანტიკორუფციული საბჭო.

ლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელთან (OECD-ACN) და „სახელმწიფოთა ჯგუფთან კორუფციის წინააღმდეგ“ (GRECO), რომელიც აფასებს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების კანონმდებლობასა და მათ ანტიკორუფციულ სტრატეგიას და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

2014 წელს OECD-ACN-ის ანგარიშგების ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, საქართველომ წარადგინა პროგრესის შესახებ ორი ანგარიში (აპრილი და სექტემბერი) OECD-ACN-ის საქართველოს მესამე რაუნდის შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებაში. **პროგრესი დაფიქსირდა ფინანსური ანგარიშებისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედეგების შემოწმების გამჭვირვალობის საკითხთან დაკავშირებით.**

ასევე მიმდინარეობდა მუშაობა GRECO-ს რეკომენდაციების შესრულების შესახებ სიტუაციური ანგარიშის მოსამზადებლად, რომელსაც GRECO-ს პლენარულ სხდომაზე, 2015 წლის ივნისში განიხილავენ. კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის შეფასებით, **სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან დაკავშირებული 10 რეკომენდაციიდან, 9 რეკომენდაციის შესრულებასთან მიმართებაში პროგრესი უკვე ამ ეტაპისთვის იქნა მიღწეული, მათ შორის, 3 რეკომენდაცია სრულად შესრულებულად ჩაითვალა.**

თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან

ანტიკორუფციული პოლიტიკის ფარგლებში სამსახური ასევე თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან აუდიტის შედეგად გამოვლენილი კორუფციული გარიგებებისა და შესაძლებლობების აღმოსაფხვრელად. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული აუდიტების შედეგად, გამოიკვეთა სხვადასხვა მაღალი რისკის შემცველი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა, შეიცავდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. შემდგომი რეაგირებისათვის **სამართალდამცავ ორგანოებს მიენოდათ 64 ანგარიში¹².**

კონფერენცია - „საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის გამოწვევები“

კონფერენციის - „საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის გამოწვევები“ ფარგლებში, გენერალურმა აუდიტორმა ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლზე ქვეყნის ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელებაში. კონფერენცია ევროკავშირისა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინიციატივითა და ორგანიზებით მოეწყო და მისი მთავარი მიზანი იყო, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის მიღწევებისა და გამოწვევების შეფასება

ელექტრონული პორტალები

კორუფციასთან ბრძოლის გასაძლიერებლად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2014 წელს შეიმუშავა ელექტრონული პორტალი - „**ებრძოლე კორუფციას**“¹³, რომლის მიზანია საჯარო სექტორში შესაძლო თაღლითობისა და კორუფციის შემთხვევების გამოვლენა და მათი

¹² იხილეთ დანართი 2.

¹³ <http://www.sao.ge/fightcorruption/>

შემდგომი პრევენცია. აღნიშნული ვებგვერდის ფუნქციონირებით, სას ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას საჯარო სექტორის რისკიანი უწყებების იდენტიფიცირებაში და აუდიტის პროცესში აღნიშნული რისკების გათვალისწინებას. ვებგვერდის მეშვეობით თითოეულ მოქალაქეს საშუალება აქვს, სურვილის შესაბამისად, კონფიდენციალურობის დაცვით, სამსახურს გაუზიაროს მის ხელთ არსებული ინფორმაცია საჯარო ფინანსების სფეროში არსებული კორუფციის შესახებ. თითოეული შეტყობინება, ანალიზის შემდგომ გახდება აუდიტისთვის მნიშვნელოვანი თემების შერჩევის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი.

ქვეყნის ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ფარგლებში, გასულ წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ასევე მიზნად დაისახა თანამშრომლებისთვის ეთიკური გარემოს გაძლიერების მექანიზმების დანერგვა. კერძოდ, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, სამსახურმა შეიმუშავა პროფესიული საქმიანობის ღირებულებების **დეკლარირების ელექტრონული პორტალი**. აღნიშნული ინსტრუმენტით, სას-ის თანამშრომლები ყოველწლიურად ადასტურებენ სამსახურის ღირებულებებისადმი ერთგულებას. ასევე, აღსანიშნავია, რომ საქმიანობის ეთიკური სტანდარტებისა და ღირებულებების ყოველდღიურ საქმიანობაში დამკვიდრება მნიშვნელოვანია აუდიტორული საქმიანობის სპეციფიკიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე.

2.2 სახელმწიფო ფინანსების პოლიტიკის რეფორმის ფარგლებში ევროკავშირის პროგრამის პირობების შესრულება

საქართველოში სახელმწიფო ფინანსების სექტორში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ევროკავშირმა სახელმწიფო ფინანსების სისტემის რეფორმის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს 2014-2017 წლებისთვის გამოუყო 19 მილიონი ევროს ოდენობის ბიუჯეტის მხარდაჭერი გრანტი. ყოველი ტრანშის გადმოორიცხვა დამოკიდებულია ხელისუფლების მიერ წინასწარ შეთანხმებული წინაპირობების დაკმაყოფილებაზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა, ბიუჯეტის შედგენა, ფინანსური აღრიცხვა, გაუმჯობესებული შიდა და გარე აუდიტის მექანიზმები და საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება.

2015 წელს განსაზღვრული 5.2 მილიონი ევროს ოდენობის პირველი ტრანშიდან **1.5 მილიონი ევრო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმატებით შესრულებული წინაპირობების**¹⁴ შედეგად გადმოორიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესრულებული აქტივობებიდან აღსანიშნავია **პოლიტიკის დოკუმენტი**, რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტსა და ევროკავშირის დელეგაციას. პოლიტიკის დოკუმენტში გაანალიზებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საკანონმდებლო მანდატი უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებთან შესაბამისობის კუთხით და მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით, კერძოდ:

¹⁴ საქართველოში სახელმწიფო ფინანსების პოლიტიკის რეფორმის (PFPR) მხარდაჭერის ევროკავშირის პროგრამის პირობების მატრიცის 5.1 პუნქტის მიხედვით, 2015 წლისთვის განსაზღვრული პირობები.

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის კონსტიტუციურ - სამართლებრივი გარანტიების განსამტკიცებლად:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, მისსავე კონსტიტუციურ მანდატთან დაკავშირებით, მიეცეს მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატისა და დამოუკიდებლობის გარანტიების განმსაზღვრელ საკანონმდებლო აქტს, მიენიჭოს ორგანული კანონის სტატუსი.

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახური განთავისუფლდეს პოლიტიკური დაფინანსების რეგულირების ვალდებულებისგან;
- შემოსავლების აუდიტთან დაკავშირებით, დაიხვეწოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილების განმსაზღვრელი საკანონმდებლო რეგულაციები. ამ მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სრული დაშვება უნდა ჰქონდეს საგადასახადო და საბაჟო დოკუმენტაციასთან, ინდივიდუალური საგადასახადო საქმეების შესწავლის ჩათვლით.

2.3 პუბლიკაცია და უპატიოსი პრაქტიკის სახელმძღვანელოები

სახელმწიფო აუდიტის სამსახური განაგრძობს უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელოებისა და პუბლიკაციების მომზადებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელოები მიზნად ისახავს საჯარო მმართველობის ხელშეწყობას, სახელმწიფო სექტორში არსებული პროცესებისა და აქტუალური საკითხების შესახებ საერთაშორისო გამოცდილების სრულყოფილი და დეტალური ანალიზით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გასულ წელს *მომზადდა 3 კვლევითი პუბლიკაცია* საჯარო ფინანსების მართვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით:

1. „სახელმწიფო საშინაო ვალის ფინანსური ინსტრუმენტები“. პუბლიკაცია მიზნად ისახავს განვითარებული ფინანსური ბაზრების მქონე ქვეყნების გამოცდილებისა და მათ მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების სპეციფიკის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობას. დოკუმენტში განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, კანადის, ახალი ზელანდიის, იაპონიის, ავსტრალიისა და შვედეთის საშინაო ვალის ინსტრუმენტები. პუბლიკაციაში წარმოდგენილი სახელმწიფო საშინაო ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა, მიუთითებს ამ კუთხით არსებულ მრავალფეროვან საერთაშორისო გამოცდილებაზე, რომლის გაცნობაც და საჭიროებისამებრ გათვალისწინებაც, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის.

2. „ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი: ასპექტები საერთაშორისო გამოცდილებიდან“. პუბლიკაცია მიზნად ისახავს საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის გასაუმჯობესებლად საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას. პუბლიკაციაში მიმოხილულია როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის ცალკეულ თეორიულ ასპექტებს, ასევე აღნიშნული მიმართულებებით წარმატებული საბიუჯეტო სისტემის მქონე ქვეყნების პრაქტიკულ გამოცდილებაც.

3. „ფულადი რესურსების მართვა“. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის განხორციელებაში ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია ფულადი რესურსების მართვა. პუბლიკაციაში განხილულია აღნიშნული პროცესის ყველა ეტაპი და განვითარებადი ქვეყნების წინაშე არსებული გამოწვევები. დოკუმენტი ასევე მიმოიხილავს ფულადი რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, მათ შორის, საბიუჯეტო ნაშთის განკარგვის ძირითად მახასიათებლებს და საქართველოს გამოცდილებას აღნიშნული მიმართულებით.

2.4 მოქალაქეების ჩართულობა აუდიტის პროცესში

საჯარო ფინანსების მართვის სფეროში სამოქალაქო თანამონაწილეობის გაუმჯობესებისათვის, სას მიზნად ისახავს სხვადასხვა ინოვაციური მეთოდისა და ინსტრუმენტის მეშვეობით მოქალაქეების, არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდას სამსახურის საქმიანობაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიისა და „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში არსებული ვალდებულებების წარმატებით შესასრულებლად გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, აუდიტის პროცესში სამოქალაქო ჩართულობის გასაზრდელად და ღია მმართველობის პრინციპების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასულ წელს აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. კერძოდ, სას-მა შეიმუშავა მოქალაქეთა ჩართულობის ელექტრონული საშუალებები, რომელთა მეშვეობით დაინტერესებული მხარეები შეძლებენ აუდიტორული საქმიანობის გაუმჯობესებას - „დაგეგმე ჩვენთან ერთად“ და „ებრძოლე კორუფციას“ ვებპორტალების გამოყენებით, მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა პირდაპირ და ირიბად წვლილი შეიტანონ საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებაში.

აუდიტორულ საქმიანობაში მოქალაქეების ჩართულობის კუთხით, გასულ წელს ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები, პრეზენტაციები და კონფერენცია, რომელთა მიზანი იყო როგორც ეფექტიანობის აუდიტების თემების შერჩევა, ასევე აუდიტების შედეგად გამოვლენილი დარღვევების სამოქალაქო სექტორისთვის გაცნობა. შეხვედრებში მონაწილეობდნენ 10-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია და მედიის წარმომადგენლები, რომლებიც ინტენსიურად იყვნენ ჩართულნი საჯარო ფინანსების მართვაში არსებული გამოწვევების განხილვაში.

გარდა ამისა, გასულ წელს მსოფლიო ბანკის ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და უმაღლესი აუდიტორული ორგანოების წარმომადგენლებმა. შეხვედრის ფარგლებში საფუძველი ჩაეყარა მრავალმხრივი თანამშრომლობის გაძლიერებას - არსებული გამოწვევების/პერსპექტივების მუდმივი ანალიზისა და მოქალაქეთა თანამონაწილეობის გასაზრდელად სხვადასხვა პროექტის განხორციელებას. სას-მა ასევე გამოთქვა სურვილი, შეიმუშაოს საზოგადოებასთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის ფორმატი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას სას-ის საქმიანობაში და ასევე, განსაზღვრავს არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების როლს ამ პროცესში. თანამშრომლობის ფარგლებში სამსახური მიზნად ისახავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიის მომზადებას, რითაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მექანიზმების ინსტიტუციონალიზაციას.

2.5 საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

2011 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სისტემაში ჩამოყალიბდა სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია და საჯარო სექტორს უწევს პროფესიულ-საგანმანათლებლო, საექსპერტო-ანალიტიკურ და აუდიტორულ მომსახურებას.

საჯარო აუდიტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ინსტიტუტი ასრულებს საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირებას, უზრუნველყოფს ტრენინგების მომზადებასა და გადამზადებას, რითაც ხელს უწყობს ამ სფეროში მომუშავე აუდიტორთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

სერტიფიცირება საჯარო აუდიტის ინსტიტუტის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სერტიფიცირების მიზანია, კანდიდატის საჯარო აუდიტის სფეროში კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული ცოდნის შეფასება და საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მინიჭება. საჯარო აუდიტის ინსტიტუტი ერთადერთია საქართველოში, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, უფლებამოსილია განახორციელოს საჯარო სექტორის აუდიტის სფეროში მომუშავე აუდიტორთა სერტიფიცირება და საჯარო აუდიტის სწავლება.

2014 წელს ინსტიტუტის მიერ ორჯერ განხორციელდა საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების გაწევის მსურველ პირთა სერტიფიცირება. სერტიფიცირების საკვალიფიკაციო კურსი ბოლო 2 წლის განმავლობაში გაიარა 112-მა პირმა, რომელთაგან 85-მა წარმატებით ჩააბარა სასერტიფიკაციო გამოცდა და გადაეცათ საჯარო სექტორის აუდიტორის 5-წლიანი სერტიფიკატი.

2014 წელს ინსტიტუტმა **ჩაატარა შემდეგი ტრენინგ კურსები:**

- ეფექტიანობის აუდიტის ტრენინგი;
- ფინანსური აუდიტის ტრენინგი;
- შიდა აუდიტის ტრენინგი;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების აღრიცხვა;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;

ინფორმაციული სისტემების კონტროლი და აუდიტი.

ზემოაღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო და კვალიფიკაცია აიმაღლა 158-მა პირმა, მათ შორის, 75% სახელმწიფო აუდიტის თანამშრომელი იყო.

ინსტიტუტი აგრეთვე ახორციელებს **საექსპერტო, კვლევით, საკონსულტაციო და საჯარო სექტორის აუდიტორულ მომსახურებას**. ამ კუთხით გასულ წელს **განხორციელდა 5 პროექტი**.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტმა 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად (8-ჯერ) შეუმცირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მისი სუბსიდირების გზით დაფინანსება და ძირითადად თვითდაფინანსების გზით ფუნქციონირებდა. აღნიშნული მიდგომა გაგრძელდა 2015 წლის ინსტიტუტის ბიუჯეტის დაგეგმვისას და ინსტიტუტი 2015 წლიდან სრულ თვითდაფინანსებაზე გადავიდა.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგი


პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობას. ამ მიზნით, 2011 წლის ბოლოს გატარდა პოლიტიკური გაერთიანებებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების სისტემის რეფორმა, რის შედეგადაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს განესაზღვრა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის ფუნქცია. მონიტორინგი წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია, ხელი შეუწყოს პოლიტიკური დაფინანსების სფეროში კორუფციის რისკის მინიმუმამდე დაყვანას. შესაბამისი ნორმატიული აქტებით ასევე განისაზღვრა პოლიტიკური პარტიების ვალდებულება ფინანსური ანგარიშგების (წლიური დეკლარაციები, საარჩევნო კამპანიის დეკლარაციები, მიმდინარე დეკლარაციები), შემოწმარების/საწევრო შენატანებისა და სხვა დეტალების წარმოდგენის შესახებ.

2014 წლის ივნისში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები, რომლის გამჭვირვალედ, სამართლიანად ჩატარებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა საარჩევნო პროცესის მონიტორინგი.


2014 წლის არჩევნებში დარეგისტრირებული იყო 1 143 საარჩევნო სუბიექტი, რომელთაგან კანდიდატურების მოხსნის შემდგომ, არჩევნების დღისათვის დარჩა 20 პოლიტიკური პარტია, 4 საარჩევნო ბლოკი და 821 საინიციატივო ჯგუფი. აღნიშნულ პირებს უკვე 14 აპრილიდან გააჩნდათ ვალდებულება, 3 კვირაში ერთხელ, წინასწარ განერილი გრაფიკით წარმოედგინათ 3 დეკლარაცია, ხოლო არჩევნების დასრულების შემდგომ - ჯამური პერიოდის ფინანსური ანგარიში.

არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტებს მიღებული აქვთ 11,959.5 ათასი ლარის შემოსავალი, ხოლო ჯამურმა ხარჯმა შეადგინა 11,860.8 ათასი ლარი. კერძოდ:

ხარჯების გადანაწილება 2014 წლის არჩევნებში '000



შემოსავლების გადანაწილება 2014 წლის არჩევნებში '000



- | | | | |
|-------------------------------------|---------------------|-------------------------------------|---------------------|
| ქართული ოცნება | ახალი მემარჯვენეები | ქართული ოცნება | ახალი მემარჯვენეები |
| ერთიანი ნაციონალური მოძრაობა | პატრიოტთა ალიანსი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა | პატრიოტთა ალიანსი |
| გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა | სხვა დანარჩენი | გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა | სხვა დანარჩენი |

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პერიოდში შესწავლილი საქმეების შედეგად, ასევე სხვადასხვა - მესამე პირების მიერ წარმოდგენილი საჩივრების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეადგინა 191 სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც გაეგზავნა სასამართლოს შემდგომი რეაგირებისთვის. სამსახურის მიერ გამოვლენილი დარღვევები შეეხებოდა ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულების დარღვევებსა და აკრძალული შემოწირულობების განხორციელების ფაქტებს, რომლებზეც გამოყენებულ იქნა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სანქციები. კერძოდ, **სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების შედეგად, ჯარიმების რაოდენობამ სულ შეადგინა 95.1 ათასი ლარი.**

საარჩევნო პროცესისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს პოლიტიკურ გაერთიანებებთან და საერთაშორისო გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა (IFES) და ევროკავშირის კომისიის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, რომლებიც ეხებოდა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის მექანიზმებისა და მეთოდოლოგიის გაუმჯობესების საკითხებს.

გენერალური აუდიტორის ინიციატივით შეიქმნა¹⁵ **არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო კომისია**, რომელიც საარჩევნო პერიოდში ყოველკვირეულად მართავდა შეხვედრებს. კომისია განიხილავდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოძიებულ შესაძლო კანონდარღვე-

15 2014 წლის 22 აპრილს.

ვის ფაქტებს და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ განხორციელებული მოკვლევის შესახებ ინფორმაციებს. საანგარიშო პერიოდში კომისიის ფარგლებში:

- განხილულ იქნა 20-მდე სარჩელი და ინფორმაცია შესაძლო დარღვევის შესახებ.
- განხილულ იქნა გენერალური აუდიტორის 6 ბრძანების პროექტი, რომლებმაც დაარეგულირა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა.
- შემუშავებულ იქნა ცვლილებების პროექტი „პოლიტიკური დაფინანსების მონიტორინგის მეთოდოლოგიაში“, რომელიც დამტკიცდა გენერალური აუდიტორის ბრძანებით. დოკუმენტში დეტალურად გაიწერა პოლიტიკური დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვადები და ადმინისტრაციული საქმისწარმოების შიდა პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს კიდევ უფრო გამჭვირვალე ფუნქციონირებისა და მონიტორინგის შესაძლებლობას.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებით, შეფასებები მომზადდა ყველა მსხვილი არჩევნების სადამკვირვებლო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ (მაგალითად: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სამართლიანი არჩევნები - ISFED და „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“), რომელთა ანგარიშებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის მიერ შესრულებულმა სამუშაომ მიიღო დადებითი შეფასება და თითოეული მათგანის მიერ ხაზგასმულ იქნა სამსახურის მიერ მიღწეული პროგრესი.

2014 წელს სამსახურმა საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით განახორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. **გენერალური აუდიტორის ბრძანება - „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2014 წლის არჩევნებისათვის საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“.** აღნიშნული ბრძანება შემუშავდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის შედეგად და შედეგად, დარეგულირდა საარჩევნო კამპანიისათვის მნიშვნელოვანი რამდენიმე დეტალი.
2. **სამუშაო შეხვედრები და პრეზენტაციები საარჩევნო სუბიექტებისთვის.** ჩატარდა 12 სამუშაო შეხვედრა და პრეზენტაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სადაც დაინტერესებულ პირებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურში საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად წარმოსადგენი ინფორმაციების შესახებ.
3. **სამსახურის „ცხელი ხაზი“.** საანგარიშო პერიოდში 24 საათის განმავლობაში ფუნქციონირებდა სამსახურის „ცხელი ხაზი“, რომელსაც დაემატა ზარის დალოდებისა და ავტომოპასუხის სერვისები. 2014 წელს სულ შემოვიდა 850-მდე ზარი.
4. **კორესპონდენცია.** პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურმა 2014 წელს გაგზავნა 2 600 კორესპონდენცია/წერილი, ხოლო მიიღო - 4 550. ყველა მათგანს მოჰყვა კანონშესაბამისი რეაგირება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება

4.1 ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის უმთავრესი ამოცანაა, საზოგადოებასა და დაინტერესებულ მხარეებთან ნდობის ხარისხის ამაღლება და გამჭვირვალე, ღია მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა. აღნიშნული პროცესის სრულყოფილი და თანმიმდევრული კოორდინაციის მიზნით, გასულ წელს განახლდა კომუნიკაციის სტრატეგია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობაში დაინტერესებული მხარეების ჩართვა, საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მუდმივი გაცვლა და განახლება სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ამ მიმართულებით, გასულ წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს პარლამენტთან, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მედიასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრიორიტეტია საქართველოს პარლამენტთან აუდიტორული საქმიანობის შედეგებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შესახებ სისტემატური და დროული კომუნიკაცია. საკანონმდებლო ორგანოსა და სას-ის თანამშრომლობის ეს ფორმა დეპუტატებს საშუალებას აძლევთ, სიღრმისეულად გაეცნონ სახელმწიფო სექტორის ცალკეულ სფეროსა თუ უწყებაში არსებულ რისკებსა და მიმდინარე ტენდენციებს.

გასულ წელს, რიგ საკითხებში, კიდევ უფრო გაღრმავდა თანამშრომლობა საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებასა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის. აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში 2014 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები/ღონისძიებები:

- საქართველოს პარლამენტში გაიგზავნა 63 აუდიტის ანგარიში და შესაბამისი მასალები;
- საქართველოს პარლამენტს მიენოდა ბიუჯეტის შესრულებასთან/ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებული მოხსენებები/დასკვნები. აღნიშნული ანგარიშებით გამოვლენილ 89 სისტემური დონის ხარვეზზე გაცემულ იქნა 60 რეკომენდაცია;
- გასულ წელს პარლამენტში განხორციელდა 6 აუდიტის ანგარიშის შედეგების საკომიტეტო განხილვა, მათ შორის, 1 - შესაბამისობის, 4 - ეფექტიანობის ანგარიშისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით 2012-13 წლებში განხორციელებული აუდიტების შესახებ ანგარიშის განხილვა.

სას-ის საქმიანობასთან დაკავშირებით, პარლამენტარების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, გასულ წელს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წარმომადგენლებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრები, სადაც მხარეებმა განიხილეს პარლამენტსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის მომავალი თანამშრომლობის განმტკიცების, აუდიტის უმაღლესი ორგანოს დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებისა და სხვა საკითხები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესში, პარლამენტის როლის გაზრდის მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საპილოტო რეჟიმში დაწერა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შიდა პოლიტიკა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. ელექტრონული სისტემის მეშვეობით, აღნიშნულ პროცესში საქართველოს პარლამენტის აქტიური ჩართვა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს გაცემულ რეკომენდაციებზე აუდიტის ობიექტების მხრიდან რეაგირების მაჩვენებლის ზრდას.

თანამშრომლობა საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, ასევე, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, 2014 წელს სამსახურმა არასამთავრობო უწყებებისა და მედიის წარმომადგენლებთან ერთად ორგანიზება გაუწია შემდეგ ღონისძიებებს:

- **მედიატრენინგი**, რომელიც მიზნად ისახავდა საჯარო ფინანსების თემატიკაზე მომუშავე მედიის წარმომადგენლებისათვის აუდიტის სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით სამსახურის საქმიანობისა და შედეგების შესახებ ინფორმირების ხარისხის გაუმჯობესებას. ტრენინგი გაიარა ბექდური, ტელე, რადიო და ინტერნეტმედიის 20-მდე წარმომადგენელმა. ტრენინგის მიზანი იყო უწყებისა და მედიის წარმომადგენელთა კომუნიკაციის გაუმჯობესება, მედიის ინფორმირება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის შესახებ.
- **შეხვედრა ეკონომიკის სფეროში მომუშავე ჟურნალისტებთან**. შეხვედრაზე განიხილეს ეფექტიანობის აუდიტის არსი, ეფექტიანობის აუდიტის თავისებურებები ფინანსურ და შესაბამისობის აუდიტებთან შედარებით. შეხვედრის ფარგლებში ასევე ჩატარდა პრეზენტაცია „საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანობის აუდიტის“ ძირითად შედეგებთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: პროფესიული სასწავლებლების პრიორიტეტების შესაბამისობა ბაზრის მოთხოვნებთან, სასწავლო პროცესის მართვა და პროფესიული განათლების დაფინანსების საკითხები, აგრეთვე აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გაცემული რეკომენდაციები.
- ტრადიციულად, 2014 წელსაც გაიმართა შეხვედრები აჭარაში მოქმედ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა ინფორმაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2013-2014 წლებში დაგეგმილი და ფაქტობრივად განხორციელებული აუდიტების შესახებ.
- პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებმა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს გააცნეს მონიტორინგის სამსა-

ხურის მიერ განხორციელებული საქმიანობა და მიაწოდეს სტატისტიკური ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ.

● **აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით:**

- გასულ წელს სას-მა გამართა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან პროფესიული განათლების სისტემასთან დაკავშირებით.
- აუდიტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით მომზადდა ტელესიუჟეტი – „პროფესიული განათლება საქართველოში - მიმდინარე რეფორმები და გამოწვევები“; ასევე, აღნიშნული აუდიტის შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მედიის, არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა.
- მომზადდა ტელესიუჟეტი „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეფექტიანობის აუდიტის“ შესახებ.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამართა პროფესიული შეხვედრა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ეფექტიანობის აუდიტთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდნენ გერმანიის ფედერალური საანგარიშო პალატის ეფექტიანობის აუდიტის ექსპერტი, ასევე სამინისტროებისა და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები.
- ჩატარდა სამუშაო შეხვედრები საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. შედეგად, სას-მა გამოთქვა მზაობა მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიის შემუშავების თაობაზე, რითაც ხელს შეუწყობს საზოგადოებასთან თანამშრომლობის მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას.

ასევე, სას-მა აუდიტის შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით გასულ წელს:

- **მომზადდა ეფექტიანობის აუდიტის საინფორმაციო ბროშურა**, რომელშიც წარმოდგენილია 2013 წელს განხორციელებული 4 ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის მოკლე მიმოხილვა. ბროშურა განკუთვნილია დაინტერესებული მხარეებისა და მოქალაქეთა ფართო წრისათვის. აუდიტის შედეგების ადაპტირებული სახით წარმოდგენა, მიზნად ისახავს ეფექტიანობის აუდიტის შინაარსის მარტივი ფორმით გადმოცემასა და ფართო საზოგადოებაში მისი ცნობადობის ზრდას.
- გამოიყენა ინოვაციური მეთოდი, რომელიც გულისხმობს ვებგვერდზე ატვირთული აუდიტის ანგარიშებისათვის **ვიდეო მიმართვების მომზადებას**. ვებგვერდზე განთავსდა 50-ზე მეტი ვიდეოპრეზენტაცია და გადამზადდა 12 პრეზენტატორი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მედიასში

კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტმა (IPM) გასულ წელს ჩაატარა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მედიამონიტორინგი, რომელმაც მოიცვა 10-მდე ტელევიზია, 12 რადიოსადგური, ათეულობით ჟურნალ-გაზეთი და ინტერნეტგამოცემა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბეჭდური, ტელე და ინტერნეტმედიის უმრავლესობა სას-ის საქმიანობას დადებითად აფასებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ აუდიტის სამსახურის მიერ 2013 წელს განხორციელებული საქმიანობა დადებითად შეაფასა. არასამთავრობო ორგანიზაციის

შეფასებით, სას-ის საქმიანობა გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ პრეზენტაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელიც დაესწრო.

საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოში საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, ცოდნის გაზიარების, საერთაშორისო გამოცდილების გაცნობისა და ინსტიტუციური განვითარების მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებთან და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციისა (INTOSAI) და მისი რეგიონული გაერთიანებების (EUROSAI, ASOSAI) წევრი. INTOSAI არის ავტონომიური, დამოუკიდებელი და აპოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს საჯარო აუდიტის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას საერთაშორისო დონეზე. სამსახური მონაწილეობას იღებს INTOSAI-ის 3 კომიტეტში, 4 - ქვეკომიტეტსა და 4 - სამუშაო ჯგუფში; იგი აგრეთვე წარმოდგენილია EUROSAI-ის 2 - სამიზნე და 2 - სამუშაო ჯგუფში. **2014 წელს სამსახური განეწიანდა 4 ახალ სამუშაო ჯგუფში:** INTOSAI-ის ეფექტიანობის აუდიტის ქვეკომიტეტში, ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სამუშაო ჯგუფში, მოპოვებითი ინდუსტრიების აუდიტის სამუშაო ჯგუფსა და EUROSAI-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სამუშაო ჯგუფში.

2014 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 24-მა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო და რეგიონული გაერთიანებების INTOSAI, EUROSAI და ASOSAI-ის მიერ ორგანიზებულ 14 ღონისძიებაში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიულ პარტნიორებს წარმოადგენენ: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისი (SNAO), რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამსახურის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბების პროცესში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს **თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული 8 უმაღლეს აუდიტორულ ორგანოსთან** (შვედეთის, ლიტვის, ლატვიის, ბულგარეთის, პოლონეთის, სომხეთის, ყაზახეთისა და რუმინეთის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებთან).

2014 წელს გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი პოლონეთის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოსთან ინსტიტუციური გამოცდილების გაზიარების მიზნით. ასევე, აღსანიშნავია, რომ ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში, სამსახური ხელს უწყობს ყაზახეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაკონტროლებელ აუდიტის კომიტეტს, შესაძლებლობების განვითარებაში.

ეფექტიანობის აუდიტის განვითარების მიმართულებით, შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის მხარდაჭერით, სამუშაო შეხვედრები გაიმართა ლატვიის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციისა და მოლდოვის რესპუბლიკის საანგარიშო სასამართლოს წარმომადგენლებთან. ასევე, გასულ წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ სლოვენის რესპუბლიკის მიერ ორგანიზებულ სემინარში, რომლის მიზანიც აუდიტის სფეროში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება იყო.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა, ექსპერტების რანგში, მონაწილეობა მიიღეს არა ერთ ღონისძიებაში, რომელთაგან აღსანიშნავია:

- ფასილიტატორის როლში მონაწილეობა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციის ინიციატივაში, კერძოდ, შესაბამისობის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში ცვლილების შესატანად გამართულ წლიურ შეხვედრაზე (ოსლო, ნორვეგია);
- ექსპერტად მონაწილეობა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მეორე და მეოთხე დონის ISSAI-ის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დოკუმენტის შესამუშავებლად (აბუ-დაბი, არაბთა გაერთიანებული ემირატები);
- მონიტორინგის ექსპერტად მონაწილეობა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) მე-14 შეხვედრაზე უკრაინის მიერ რეკომენდაციების შესრულებაში პროგრესის შესაფასებლად (სტამბული, თურქეთი);
- სპიკერის რანგში მონაწილეობა მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ სემინარში - „ორგანიზაციული რეფორმა უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებში“ (ქ. ამანი, იორდანია);
- სპიკერის რანგში მონაწილეობა აზიის განვითარების ბანკის მიერ ორგანიზებულ სემინარში - „სახელმწიფო პროგრამების შეფასება“ (ქ. სუძოუ, ჩინეთი);

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის (EUROSAI) რიგით მე-9 კონგრესზე, სადაც სამსახურში მიმდინარე რეფორმების შედეგებსა და აუდიტორულ საქმიანობაში ინოვაციური მიდგომების გამოყენებასთან დაკავშირებით, უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებს გამოცდილება გაუზიარა შემდეგ თემებზე:

- სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტზე დასკვნის მომზადებისას გამოყენებული მიდგომა - საშუალოვადიანი ფისკალური მდგრადობის მიმოხილვა სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე;
- რეკომენდაციების შესრულების გასაძლიერებლად შემუშავებული ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც სამსახური უზრუნველყოფს რეკომენდაციების შესრულების პროცესის გამჭვირვალე და სრულყოფილ მონიტორინგს;
- აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის ფორმირების პროცესის გამჭვირვალობისა და სტანდარტიზებისთვის შექმნილი აუდიტორული საქმიანობის რისკზე დაფუძნებული მიდგომა.

საჯარო სამსახურების დაქმნობის პროგრამა (TWINNING)

2014 წელს ხელი მოეწერა საჯარო სამსახურების დაქმნობის პროგრამის (TWINNING) ხელშეკრულებას გერმანიისა და პოლონეთის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის.

საჯარო სამსახურების დაქმნობის პროგრამა გულისხმობს, ევროკავშირის გაფართოებისთვის მომზადების კონტექსტში, ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებთან თანამშრომლობას,

ადმინისტრაციული და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით.

პროექტი ფინანსდება ევროკავშირის მიერ და მისი ბიუჯეტი შეადგენს 1.17 მილიონ ევროს. პროექტი პირდაპირ უკავშირდება საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით¹⁶ განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას.

საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ითვალისწინებს გერმანიისა და პოლონეთის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებთან მრავალწლიანი, მჭიდრო ორმხრივი ურთიერთობის დამყარებას პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. დაძმობილების პროგრამა 2014-2016 წლებში განხორციელდება და მოიცავს 3 კომპონენტს:

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კორპორაციული და რესურსების მართვის გაძლიერება.
2. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტისა და ანგარიშგების გაუმჯობესება.
3. აუდიტორების პროფესიული განვითარება და მათი შეფასება.

TWINNING-ის განხორციელების პროცესში ჩართული იქნება 40-მდე საერთაშორისო ექსპერტი, ხოლო სახელმწიფო აუდიტის სამსახურში პროექტის სრული პერიოდის განმავლობაში იქნება TWINNING-ის მრჩეველი, რომელიც ადგილზე გაუწევს კოორდინაციას პროექტის წარმატებით განხორციელებას.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური წარმატებით აგრძელებს მრავალწლიან თანამშრომლობას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ). 2014 წელს ხელი მოეწერა მემორანდუმის გაგრძელებას, რომელიც მოიცავს 2014-2016 წლებს. მემორანდუმის მიზანია საჯარო ფინანსების მართვისა და კონტროლის სფეროში მიმდინარე რეფორმების, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და დემოკრატიის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის გაძლიერება, საბიუჯეტო რეფორმებისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების გამოყენების თვალსაზრისით; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სამართლებრივი საფუძვლების, შიდა სტრუქტურული ორგანიზაციისა და სამუშაო პროცესების შემდგომი გაუმჯობესება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ეფექტიანობის აუდიტის დანერგვა, ერთობლივი აუდიტების ჩატარება, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის განვითარება და სხვ.

2014 წელს ურთიერთთანამშრომლობა ორი მიმართულებით წარიმართა: პირველი მიმართულება ორიენტირებულია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა, პარლამენტთან, როგორც მთავარ დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობა და ურთიერთობა, ასევე, კანონმდებლობის ანალიზი INTOSAI-ის სტანდარტებთან მიმართებით. მეორე მიმართულება ორიენტირებულია აუდიტის სამსახურის შიდაორგანიზაციულ განვითარებაზე, მათ შორის, ეფექტიანობისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის გაძლიერებასა და

¹⁶ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების 1.2 ქვემუხლი - „დემოკრატიის გაძლიერებისა და პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური სტაბილურობის ხელშეწყობა საქართველოში“.

ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

2014 წელს GIZ-ის ორგანიზებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებისათვის ჩატარებულ იქნა სხვადასხვა სამუშაო შეხვედრა, მათ შორის:

- ეფექტიანობის აუდიტის განვითარების მიზნით - 5 სამუშაო შეხვედრა და 1 კონფერენცია;
- პარლამენტთან სას-ის ურთიერთობის გაძლიერებლად - 4 „მრგვალი მაგიდა“;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის ანგარიშგების გაუმჯობესების მიზნით, საერთაშორისო ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაციები.

შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისი (SNAO)

შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისი (SNAO) წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთ-ერთ სტრატეგიულ პარტნიორს. ორი უმაღლესი აუდიტორული ორგანო 2010 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში. მხარეებს შორის თანამშრომლობა მიზნად ისახავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციურ განვითარებას. SNAO-ს დახმარებით განხორციელდა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის, მომზადდა ფინანსური აუდიტის, ეფექტიანობის აუდიტის, აგრეთვე ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის თანამედროვე სახელმძღვანელოები. ოთხნობიანი წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, 2014 წელს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმის გაგრძელებას 2017 წლამდე.

პროექტის „ინსტიტუციური განვითარების თანამშრომლობა საქართველოსა და შვედეთის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოთა შორის 2014–2016“ გეგმის თანახმად, უმაღლესი აუდიტორული ორგანოები შეთანხმდნენ ორმხრივ თანამშრომლობაზე, რომლის მიზანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ეფექტიანობის აუდიტის ფუნქციის გაძლიერება ISSAI-ის საერთაშორისო სტანდარტებისა და პრინციპების შესაბამისად.

აღნიშნული თანამშრომლობა ეფექტიანობის აუდიტის განვითარების 4 ძირითად მიმართულებას მოიცავს:

- ▶ ხარისხის კონტროლის მექანიზმების განვითარება;
- ▶ აუდიტის პროცესში ობიექტთან კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- ▶ სისტემური მიდგომის დანერგვა აუდიტის სფეროების სტრატეგიული მიმართულებების შესარჩევად;
- ▶ აუდიტის ახალი თემების შერჩევის, წინასწარი კვლევისა და ძირითადი კვლევის კოლეგიალური ხარისხის უზრუნველყოფა.

2014 წელს, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და აუდიტის ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, SNAO-ს ორგანიზებით გაიმართა 7 სამუშაო შეხვედრა და 1 სემინარი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საერთაშორისო პუბლიკაცია

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თავისი საქმიანობის გაცნობის, უკეთესი პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, მოამზადა სტატიები საერთაშორისო ჟურნალებისთვის. პუბლიკაციებში სას. მიმოიხილავს და ანალიზს უკეთებს სამსახურში დაგროვილი გამოცდილებისა და ინოვაციური მიდგომის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რაც მნიშვნელოვანია საჯარო მმართველობისა და საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. მსოფლიოს პარტნიორ ორგანიზაციებთან აღნიშნული ფორმით კომუნიკაცია კიდევ უფრო უწყობს ხელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობისა და მიღწევების საერთაშორისო საზოგადოებისთვის გაზიარებას.

გასულ წელს საერთაშორისო პროფესიულ ჟურნალებში გამოქვეყნდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის **3 სტატია**:

- ▶ სტატია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ჟურნალში, რომელსაც ხელმძღვანელობს აშშ-ის ანგარიშვალდებულების ოფისი: „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა“.
- ▶ სტატია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის (EUROSAI) ჟურნალისთვის: „ინოვაციების კულტურის დანერგვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში“.
- ▶ სტატია ჟურნალისათვის - „ინოვაციები უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში“ (EUROSAI Innovations): „კომუნიკაცია, როგორც ინსტრუმენტი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიმართ ნდობის ასამაღლებლად“.

4.2 დამოუკიდებლობის ხარისხის განმტკიცება

2014 წელს „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონსა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც შეეხებოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შემოწმებული საპარლამენტო კომისიის მანდატის დახვეწასა და უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს დამოუკიდებლობის გარანტიების განმტკიცებას. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით შექმნილი კომისია განახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის **ფინანსურ აუდიტს, ნაცვლად სამართლებრივი და ორგანიზაციული საქმიანობის, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და შიდა კონტროლის პროცედურების შემოწმებისა**.

აღნიშნული ცვლილება წარმოადგენდა საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულების შესრულებას, რომელიც განისაზღვრა 46 მილიონი ევროს ოდენობის მაკრო-ფინანსური დახმარების (MFA) ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ევროკომისიას შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის¹⁷ ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ ცვლილების განხორციელებამდე საპარლამენტო კომისიის არსებული ფართო მანდატი ასევე გაკრიტიკებული იყო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების

¹⁷ http://ec.europa.eu/economy_finance/international/neighbourhood_policy/doc/mou_georgia_en.pdf

რების ორგანიზაციის (OECD-is) 2013 წლის საშემფასებლო მისიის ანგარიშში¹⁸, რომელიც მიუთითებდა საპარლამენტო კონტროლის ხარვეზებსა და წინააღმდეგობაზე უმაღლესი აუდიტორული ორგანოების დამოუკიდებლობის შესახებ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება OECD-ის საშემფასებლო მისიის რეკომენდაციის შესრულებასაც წარმოადგენს.

4.3 მართვის სისტემები

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ინოვაციური და თანამედროვე აუდიტორული მიდგომებისა თუ ტექნიკების პრაქტიკაში დანერგვით, ხელს უწყობს ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერებას.

გასულ წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში საფუძველი ჩაეყარა არა ერთ ინოვაციურ პროექტს, რომელთა მიზანი იყო არსებული რესურსებით აუდიტორული და არააუდიტორული საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა. ეს პროექტებია:

1. აუდიტის მართვის სისტემა

სას-მა 2014 წლის ბოლოს დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება - „აუდიტის მართვის სისტემის დანერგვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში“.

აუდიტის მართვის სისტემას (Audit Management System _ AMS) – ელექტრონულ აუდიტორულ პროგრამას საფუძვლად უდევს გაერთიანებული სამეფოს, შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისსა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებში დანერგილი აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემების კონცეფცია.

აუდიტის მართვის სისტემა წარმოადგენს ცენტრალიზებულ ელექტრონულ სისტემას, რომელშიც წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, აუდიტორები ასრულებენ აუდიტორულ პროცედურებს. სისტემაში გათვალისწინებულია აუდიტის ძირითადი პრინციპები, რაც გულისხმობს აუდიტორული საქმიანობის წლიური დაგეგმვისა და შესრულების, ასევე აუდიტის ანგარიშის მომზადებისა და რეკომენდაციების მონიტორინგის შესაძლებლობას. აღნიშნული პროგრამა საშუალებას მისცემს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, რომ გააუმჯობესოს:

- აუდიტორული საქმიანობის წლიური დაგეგმვა;
- ხარჯებისა და დროის მონიტორინგი;
- ადამიანური და დროითი რესურსების უფრო ზუსტი და ეფექტიანი განაწილება;
- აუდიტის პროცესის სტანდარტიზაცია;
- აუდიტის მიმდინარეობისა და თანამშრომლების დატვირთვის მონიტორინგი;
- აუდიტის მიმდინარეობის შესახებ დროული და ზუსტი ანგარიშგება.

¹⁸ <http://www.oecd.org/corruption/acn/GEORGIAThirdRoundMonitoringReportENG.pdf>

ამასთანავე:

- სისტემა ხელს უწყობს ინსტიტუციური მეხსიერების ჩამოყალიბებას, რაც მომდევნო აუდიტებში დაზოგავს დროს აუდიტორული პროცედურების განხორციელებისას;
- ელექტრონული სამუშაო დოკუმენტები უზრუნველყოფს კონსოლიდირებულ დოკუმენტში თითოეული აუდიტორის მიერ განხორციელებული ცვლილების იდენტიფიცირებას.

აღნიშნული პროგრამული პაკეტის შეძენა და დანერგვა მოხდება გრანტის ფარგლებში, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოიპოვა ნორვეგიის მთავრობისაგან (2,100,000 ნორვეგიული კრონა = 0.28 მილიონი დოლარი).

2. მონაცემთა ანალიზის აუდიტორული პროგრამა (CAAT)

აღნიშნული პროგრამის მეშვეობით, ის აუდიტორები შეძლებენ ინფორმაციული სისტემების კონტროლების ტესტირებასა და მონაცემთა ანალიტიკური მიმოხილვების მომზადებას. CAAT-ის საშუალებით შესაძლებელი გახდება განსაკუთრებით დიდი მოცულობის მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, ფინანსური და არაფინანსური ოპერაციების წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით დახარისხება და თაღლითობის რისკების იდენტიფიცირება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2014 წელს მოიპოვა მსოფლიო ბანკისაგან 0.5 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტი, რომლის ფარგლებშიც მოხდება აღნიშნული სისტემის შეძენა და დანერგვა ორგანიზაციაში. ასევე, პროექტის ფარგლებში განხორციელდება თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება მონაცემთა ანალიზის მიმართულებით.

3. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2013 წელს შეიმუშავა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ რეკომენდაციების ხარისხის გაუმჯობესებას, არამედ რეკომენდაციების შესრულების პროცესში პარლამენტის როლის გაზრდას და მთელი ამ პროცესის ფასილიტაციას.

რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა მუდმივად განვითარებისა და დახვეწის პროცესშია, შესაბამისად, 2014 წელს პორტალი განახლდა სხვადასხვა მოდულითა და ანალიტიკური ინსტრუმენტით, რაც მომხმარებლებს კიდევ უფრო მრავალფეროვან ვიზუალსა და ფუნქციონალს სთავაზობს. ამჟამად სისტემა მუშაობს საპილოტო რეჟიმში.

გასულ წელს ასევე განახლდა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს რეკომენდაციების შემუშავებისა და შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიას, ელექტრონულ სისტემაში მუშაობის ინსტრუქციასა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

რეკომენდაციების შესრულების ელექტრონული სისტემა ინოვაციური პროდუქტია, რომლის მუდმივი დახვეწითა და გაუმჯობესებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს აუდიტორული საქმიანობით მოტანილი სარგებლის გაზრდასა და ამ პროცესში შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ინტეგრირებას.

4. აუდიტის შედეგების აღრიცხვა, კლასიფიცირება და ანგარიშგება

აუდიტის შედეგების სისტემატიზებული აღრიცხვის, კლასიფიცირებისა და ანგარიშგებისათვის, სამსახურმა დანერგა აუდიტის ელექტრონული ბარათი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა აუდიტის პერიოდში გამოვლენილი ნაკლოვანებების დახარისხება და მათთვის სპეციფიკური - ფინანსური და არაფინანსური კატეგორიების მინიჭება. სისტემაში სრულად არის ასახული ბოლო 3 წლის განმავლობაში ჩატარებული აუდიტები და შესაბამისი ინფორმაცია.

აუდიტის ბარათის დანერგვით სამსახური უზრუნველყოფს ჩატარებული აუდიტების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, როგორც ცალკეულ უწყებათა საქმიანობის სფეროების, ისე, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისა და დროულობის მიმართულებით. ასევე, აუდიტის ბარათი ხელს უწყობს სამსახურს წლიური საქმიანობისა და ორგანიზაციული განვითარების მიმართულებების განსაზღვრის პროცესში.

4.4 ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაქლიერება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა კონტროლდება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ. ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს სისტემის მიმოხილვას, სხვადასხვა პროცედურებსა და ორგანიზაციულ პრაქტიკას, რომლებიც დადგენილია, რათა სამსახურის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილ იქნას დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, აუდიტის ანგარიშები შეესაბამება თუ არა ფაქტობრივ გარემოებებსა და პროფესიულ სტანდარტებს.

2014 წელს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა განახორციელა 14 აუდიტის ანგარიშის ხარისხის მიმოხილვა, რაც ჩატარებული აუდიტების 12%-ს შეადგენს, მათ შორის, 2 - ფინანსური, 5 შესაბამისობის და 7 ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის. აღსანიშნავია, რომ 2013 წელთან შედარებით, გაუმჯობესდა აუდიტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპები საშუალოვადიანი დაგეგმვის პროცესი, აგრეთვე დაიხვეწა აუდიტის დოკუმენტაციის შესაბამისად, სისტემატიზება და დადოკუმენტირება. თუმცა ხარისხის კონტროლის შემომწმებების შედეგად გამოვლინდა აუდიტის ის კონკრეტული სფეროებიც, რომლებიც საჭიროებს დახვეწასა და გაუმჯობესებას როგორც ინსტიტუციურ, ასევე ინდივიდუალური აუდიტების დონეზე. კერძოდ:

1. სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების შეფასების შედეგზე ორიენტირებული, ობიექტური, რეალისტური და გაზომვადი ინდიკატორებისა და მათი მიზნობრივი საბაზისო მაჩვენებლების განსაზღვრა და შესაბამისი მეთოდოლოგიური ბაზის, ინსტრუქციების შემუშავება.
2. გამოვლენილი აუდიტის შედეგების შეფასების, წლიური ანგარიშის მომზადების მიზნებისათვის მათი კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა.
3. ბიუჯეტის შესრულებაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის ხარისხის გაუმჯობესებისა და აუდიტორული საქმიანობის დროულობის ამაღლების მიზნით, შუალედური აუდიტის მექანიზმის დანერგვის პროცედურები.


4. ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის ქმედითი, სისტემატიზებული მექანიზმისა და შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტების დანერგვა.
5. აუდიტორული საქმიანობის მაქსიმალურად რეალისტურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად დაგეგმვის პროცესი გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებში.
6. აუდიტის წინასწარი დაგეგმვისა და სტრატეგიის შემუშავების პროცედურები.
7. საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის გარემოს შესწავლა.
8. იდენტიფიცირებულ სისტემურ და შიდა კონტროლის სხვა არსებით ნაკლოვანებებზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.
9. ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის მიზნებისა და მასშტაბის განმსაზღვრელი საკანონმდებლო ნორმების 2013 წელს დამტკიცებულ საჯარო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან (ISSAI 100-400) შესაბამისობის უზრუნველყოფა და შესაბამისი ცვლილებების შეტანა აუდიტის სახელმძღვანელო დოკუმენტებში.
10. დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება თითოეული აუდიტის ტიპის მიმართ.
11. აუდიტის მიზნებისათვის ექსპერტის სამუშაოს გამოყენებისას ექსპერტის მიერ ჩატარებული სამუშაოს ხარისხის კონტროლისა და ზედამხედველობის სტანდარტების განსაზღვრა და მისი საქმიანობის მიმდინარე აუდიტის პროცესში სათანადოდ გამოყენება.
12. შესაბამისობის აუდიტის, როგორც განცალკევებული აუდიტის სახეობისათვის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება და საპილოტო რეჟიმში მისი დანერგვა.
13. აუდიტის პროცესში აუდიტორული არსებითობის გამოთვლა და მიღებული მაჩვენებლის გათვალისწინებით აუდიტორული მსჯელობის შესაბამისად გადაწყვეტილებების მიღება, ფინანსურ ანგარიშგებებში არსებითი უზუსტობების რისკების შეფასება.
14. აუდიტის ობიექტის მიერ კანონშესაბამო ქმედებების განხორციელების რისკების შეფასება და არსებული შიდა კონტროლის გარემოს შესწავლა, შიდა კონტროლის ტესტირებისათვის კონტროლის ეფექტიანი მექანიზმის შერჩევა.
15. ყველა არსებით ანგარიშთან და ოპერაციათა ჯგუფთან დაკავშირებით შემაჯამებელი სამუშაო ფაილების წარმოება.
16. აუდიტის დეტალურ დაგეგმვასთან დაკავშირებული პროცედურები.

4.5 ადამიანური რესურსების მართვა


სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და შემდგომი განვითარება, უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

2014 წლისათვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო 325 თანამშრომელი (შტატგარეშე თანამშრომლების გარდა), საიდანაც 70%-ს შეადგენს პროფესიული შტატი (აუდიტორები, ექსპერტები და ანალიტიკოსები), ხოლო 30%-ს - დამხმარე პერსონალი.

გენდერული განაწილების ცხრილი



ასაკობრივი განაწილება



სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად ცდილობს ხელი შეუწყოს თითოეული თანამშრომლის განვითარებას, საკუთარი შესაძლებლობებისა და პოტენციალის გამოვლენისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას. სწორედ ამ მიზნით, 2014 წელს სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისთვის დაწინაურდა 9 თანამშრომელი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასევე ზრუნავს ახალი თანამშრომლების მოზიდვასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე. უნივერსიტეტიდან და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებიდან წარმატებული და პერსპექტიული სტუდენტების მოზიდვის მიზნით, 2014 წელს მემორანდუმი გაფორმდა 4 უნივერსიტეტთან:

- თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)
- შპს - „კავკასიის უნივერსიტეტი“
- საქართველოს უნივერსიტეტი
- შპს - „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“.

აღსანიშნავია, რომ მემორანდუმების ფარგლებში 25-მა წარმატებულმა სტუდენტმა 2014 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში გაიარა 3-თვიანი სტაჟირების პროგრამა.

სას-ის თანამშრომელთა გამოკითხვა

გასულ წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ჩატარდა თანამშრომელთა აზრის კვლევა, შიდაორგანიზაციული პროცესების გაუმჯობესებას მიზნით.

კითხვარის მეშვეობით თანამშრომლებმა შეაფასეს ისეთი მნიშვნელოვანი შიდაორგანიზაციული საკითხები, როგორებიცაა:


- ადამიანური რესურსების მართვა და მასთან დაკავშირებული პროცესები;
- კომუნიკაციის არსებული მეთოდები და საშუალებები;
- სას-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა.

გამოკითხვის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ თანამშრომელთა 87% კმაყოფილია სას-ში მუშაობით. გამოკითხულებმა ასევე შეაფასეს შეფასებისა და ანაზღაურების არსებული სისტემა, რომელიც თანამშრომლების უმრავლესობისთვის დამაკმაყოფილებელია.


კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული განვითარება

პროფესიულ შტატში დასაქმებულ თანამშრომელთა 100%-ს აქვს უმაღლესი განათლება, მათ შორის, მაგისტრის ხარისხს ფლობს 62%, ხოლო დოქტორის ხარისხს - 5%. ამასთანავე, სამსახურის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული პროფესიული განვითარებისა და სხვადასხვა სასერტიფიკატო პროგრამაში. საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატებს (ACCA, ISSAI საერთაშორისო სერტიფიკატები) ფლობს 67 თანამშრომელი.

სას-ის თანამშრომელთა პროფესიული სერტიფიკატები სფეროების მიხედვით



უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) სერტიფიცირების პროგრამის ფარგლებში, 2014 წელს IT აუდიტის თემაზე სას-ის **სამმა წარმომადგენელმა** წარმატებით გაიარა 2-ეტაპიანი კურსი და დაჯილდოვდნენ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) დიპლომებით.



თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 2014 წელს სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ 33 ტრენინგ/სემინარში, 45 სამუშაო შეხვედრასა და 3 კონფერენციაში, რომლებიც ძირითადად აუდიტის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების, საერთაშორისო ურთიერთობების, საჯარო მმართველობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებს ეხებოდა.

ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება TWINNING-ის პროექტის ფარგლებში

სამსახურში მიმდინარე TWINNING-ის პროექტის სამი ძირითადი მიმართულებიდან, ერთ-ერთს ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის მოდელისა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად 2 წლის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური:

- განაახლებს პროფესიული განვითარების სტრატეგიას;
- შეიმუშავებს უწყვეტი პროფესიული განვითარების სქემას;
- გააუმჯობესებს თანამშრომელთა შეფასების სისტემას.


ადამიანური რესურსების მართვის როლის გაძლიერების მიზნით, TWINNING-ის ფარგლებში მოწვეულ ექსპერტებთან 2014 წელს გაიმართა 3 სამუშაო შეხვედრა, რომელთა შედეგადაც მომზადდა:

- ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის სამუშაო ვერსია;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები;
- საჭირო კომპეტენციების მონახაზი თანამშრომლების შესაფასებლად.

4.6 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის ასიგნებები 2014 წელს განისაზღვრა **12,250** ათასი ლარის ოდენობით. ფაქტობრივად განეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა **11,988.2** ათასი ლარი.

სახელმწიფო აუდიტის ასიგნება (12,250 ათასი ლარი)



სამუშაო პროცესის პროდუქტიულობის ასამაღლებლად, ასევე მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის, შენარჩუნებისა და კონკურენტული ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, 2014 წლის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასწია შემდეგი სახის ხარჯები:

- აუდიტორთა პროგრამის ანაზღაურება 2014 წელს 2013 წელთან შედარებით 45%-ით გაიზარდა, ხოლო 2014 წლის განმავლობაში დამატებით განხორციელდა აუდიტორთა ხელფასის მატება, რის საფუძველზეც აუდიტორთა თანამდებობრივი სარგო საშუალოდ 30%-ით გაიზარდა;
- თანამშრომელთა მოტივირებისა და წახალისების მიზნით, 2014 წელს შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მოხდა თანამშრომელთა პრემირება. გაცემული პრემიის 70% დაერიცხათ აუდიტორებს, ხოლო 30% - აპარატის თანამშრომლებს;
- სამსახური, საჭიროების შემთხვევაში, კორპორაციული სოლიდარობისა და დახმარების მიზნით, თანამშრომლებისთვის მუდმივად გამოყოფს თანხას. 2014 წელს 86 თანამშრომელს „სოციალური დახმარების“ მუხლიდან გამოეყო 159.6 ათასი ლარი;
- სამსახურის ინფრასტრუქტურული და სისტემური განვითარებისათვის და თანამშრომელთათვის კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, მოხდა საოფისე ინვენტარის შესყიდვა;
- გასული წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს სამსახურის IT ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, როგორც საოფისე IT ტექნიკის, ასევე ქსელების ადაპტაცია-დაცვის მიმართულებით;

- 2014 წელს დაინერგა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა-ანგარიშების ავტომატიზირებული სისტემა - FMG-ის სასაწყობე, შესყიდვებისა და საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით. აღნიშნული სისტემა დაკავშირებულია სახელმწიფო ხაზინისა და შემოსავლების სამსახურის შესაბამის ელექტრონულ მოდულებთან. სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს ინვენტარის სრული მონაცემთა ბაზის შექმნასა და ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფას.

დანართი 1. 2014 წელს ჩატარებული და დამტკიცებული აუდიტები

1	შპს „ბათუმის წყლის“ 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
2	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
3	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
4	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
5	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
6	შუახევის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
7	შუახევის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
8	თვითმმართველ ქალაქ ბათუმის კუთვნილი ქონების მართვისა და განკარგვის მდგომარეობის 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი
9	თვითმმართველ ქალაქ ბათუმის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
10	თვითმმართველ ქალაქ ბათუმის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
11	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
12	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
13	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
14	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
15	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის 6 თვის ფინანსური აუდიტი
16	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
17	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
18	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
19	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 6 თვის ფინანსური აუდიტი

20	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
21	სსიპ „ბათუმის ბულვარის“ 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
22	სსიპ „ბათუმის ბულვარის“ 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
23	შპს „სავაჭრო ცენტრი 2009-ის“ 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
24	შპს „სავაჭრო ცენტრი 2009-ის“ 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
25	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
26	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
27	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
28	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის 6 თვის ფინანსური აუდიტი
29	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის 6 თვის ფინანსური აუდიტი
30	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
31	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საარქივო სამმართველოს 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
32	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საარქივო სამმართველოს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
33	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 6 თვის ფინანსური აუდიტი
34	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის 6 თვის ფინანსური აუდიტი
35	შპს „ბათუმის N1 პოლიკლინიკის“ 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
36	შპს „ბათუმის N1 პოლიკლინიკის“ 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
37	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის ფინანსური აუდიტი
38	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური აუდიტი
39	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური აუდიტი
40	განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი

41	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური აუდიტი
42	მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების - ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს 2013 წლის ფინანსური აუდიტი
43	რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის 2011-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
44	აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის 2013 წლის ფინანსური აუდიტი
45	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2013 წლის ფინანსური აუდიტი
46	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის 2013 წლის ფინანსური აუდიტი
47	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის ფინანსური აუდიტი
48	სსიპ სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა პროფესიული თეატრის - „თეთრი ტალღის“ 2011-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
49	აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის 2011-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
50	სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ 2011-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
51	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის 2013 წლის ფინანსური აუდიტი
52	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
53	ახმეტის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
54	ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
55	ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
56	გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
57	გორის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
58	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
59	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
60	თიანეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
61	მარნეულის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი

62	მარნეულის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
63	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
64	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
65	ონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
66	სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
67	ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
68	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
69	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
70	ცაგერის მუნიციპალიტეტის 2011-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
71	ხობის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
72	თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
73	თვითმმართველ ქალაქ ფოთის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
74	ადიგენის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
75	ახალციხის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
76	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
77	დუშეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
78	მესტიის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
79	მცხეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
80	სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
81	ქარელის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
82	ყვარლის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
83	ხაშურის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
84	ხონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური აუდიტი
85	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი
86	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის 2013 წლების ფინანსური აუდიტი
87	საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი
88	საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2013 წლის ფინანსური აუდიტი

89	სსიპ „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის“ 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი
90	სსიპ „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის“ 2013 წლის ფინანსური აუდიტი
91	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2010-2012 წლების შესაბამისობის აუდიტი
92	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2013 წლის ფინანსური აუდიტი
93	ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი
94	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი
95	სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი
96	იუსტიციის სამინისტროს აპარატის 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი
97	სსიპ „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ 2011 – 2013 წლების შესაბამისობის აუდიტი
98	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2011-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
99	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2011-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
100	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
101	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
102	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2011-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
103	სამხრეთ-ოსეთის ადმინისტრაციის 2011-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
104	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის - აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში 2011-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
105	სს „ქართული ფილმის“ 2008-2012 წლების შესაბამისობის აუდიტი
106	ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის 2010-2012 წლების შესაბამისობის აუდიტი
107	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი

108	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი
109	წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების ეფექტიანობის აუდიტი
110	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საწარმოების მართვის ეფექტიანობის აუდიტი
111	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფერმერებისთვის წყალმომარაგების სისტემის უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი
112	სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტი
113	შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ეფექტიანობის აუდიტი
114	სახელმწიფო ვალის მართვის ელექტრონული სისტემის ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი

შენიშვნა: *-ით აღნიშნული აუდიტის ანგარიშები დასრულდა 2014 წელს, თუმცა დამტკიცდა 2015 წელს.

დანართი 2. სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაგზავნილი ანგარიშები

N	აუდიტის დასახელება	თარიღი
1	სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ 2010–2012 წლების შესაბამისობის აუდიტი	05.03.2014
2	სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ 2011–2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	05.03.2014
3	სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ 2011–2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	05.03.2014
4	პროფესიული განათლება საქართველოში: მიმდინარე რეფორმები და გამოწვევები 2011–2012 წლების ეფექტიანობის აუდიტი	07.03.2014
5	ქ.თბილისის მერიის მიერ 2009-2011 წლების ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის დამტკიცებული ანგარიშის ასლი/ინფორმაცია შპს „შუქნიშნის“ პრივატიზებისა და თბილისის მოძრაობის კონტროლისა და მართვის ცენტრის მოწყობისა და მასში 19 შუქნიშნის ობიექტის ჩართვის სამონტაჟო საექსპლუატაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით	11.03.2014
6	საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის 2011-2012 წლების ეფექტიანობის აუდიტი	19.03.2014
7	ვანის მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების მდგომარეობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	25.03.2014
8	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - ქუთაისის №2 საჯარო სკოლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	25.03.2014
9	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახ. №1 საჯარო სკოლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	25.03.2014
10	ხარაგაულის მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ს 2009-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	25.03.2014
11	დმანისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური აუდიტი	25.03.2014
12	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	25.03.2014
13	ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	25.03.2014
14	ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2009-2012 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	25.03.2014

[illegible]

30	აბაშის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესაბამისობის აუდიტი	25.03.2014
31	ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესაბამისობის აუდიტი	25.03.2014
32	ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში „სოციალური დაცვის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	25.03.2014
33	ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განხორციელებული პროექტების შესაბამისობის აუდიტი	25.03.2014
34	ქ.ქუთაისის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის 2009-2011 წლების შესაბამისობის აუდიტი	25.03.2014
35	ქ.ქუთაისის მერიის მიერ 2009-2011 წლებში გამწვანების ღონისძიებების შესაბამისობის აუდიტი	25.03.2014
36	ქ.ქუთაისის მერიის მიერ გარე განათებისა და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებებისთვის 2008-2010 წლებში ქ.ქუთაისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი	25.03.2014
37	ქ.ფოთის მერიის მიერ 2009-2011 წლებში განმავლობაში გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის და ქალაქის გამწვანების შესაბამისობის აუდიტი	25.03.2014
38	შპს „ლაბორატორიის“ 2009-2011 წლების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ანგარიშები	25.03.2014
39	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	16.05.2014
40	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2011-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	04.06.2014
41	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	09.06.2014
42	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური აუდიტი	11.06.2014
43	სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2011-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	25.07.2014
44	აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში და მასალები	14.08.2014
45	ონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი და შესაბამისი მასალები	19.08.2014
46	სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი	20.08.2014

47	ცაგერის მუნიციპალიტეტის 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი	26.08.2014
48	თვითმმართველ ქალაქ ფოთის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	08.09.2014
49	მარნეულის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	08.09.2014
50	მარნეულის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი	08.09.2014
51	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2011 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	15.09.2014
52	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2011-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი და მასალები	19.09.2014
53	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის 2013 წლის ფინანსური აუდიტი	24.09.2014
54	სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	08.10.2014
55	მარნეულის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	08.10.2014
56	ცაგერის მუნიციპალიტეტის 2011-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	08.10.2014
57	თვითმმართველ ქალაქ ფოთის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	08.10.2014
58	სს „ქართული ფილმის“ 2008-2012 წლების შესაბამისობის აუდიტი	27.10.2014
59	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი	01.12.2014
60	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	02.12.2014
61	სსიპ „ბათუმის ბულვარის“ 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	05.12.2014
62	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	30.12.2014
63	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	30.12.2014
64	შპს „ბათუმის წყლის“ 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	30.12.2014
65	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	31.12.2014
66	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	31.12.2014